# ლელო

№056 (12 126) 9 მარტი პარასკევი 2007
გამოდის 1934 წლიდან
ფასი 50 თეთრი




**ფაჩულიას ბენეფისი**
კარიერის რეკორდი და კიდევ სხვაც 11

დასრულდა უეფას პრეზიდენტის ვიზიტი საქართველოში

# სტადიონი ბრწყინვალეა! უეფას თასის ფინალი? შემოიტანეთ განაცხადი...

## მიშელ პლატინი

...ბეკენბაუერს არ ვეთანხმები. ძლიერი და სუსტი მოედანზე ირკვევა. მიმაჩნია, რომ ძლიერი ნაკრებიც ყველასთან უნდა თამაშობდეს, საფრანგეთი იქნება ეს, თუ გერმანია.

მეორე დღის 2 ქრონიკა





## ქართულ გუნდს ჩემპიონთა ლიგაში თამაშის პერსპექტივა გაუჩნდება

მიშელ პლატინის ვიზიტის ირგვლივ. ინტერვიუ რევაზ არველაძესთან 3

**გახდება გრიგოლეთი ქართული კვიპროსი?**
იმედისომცემი რეპორტაჟი ლანჩხუთიდან 4



**კაპელოს ბედი ბარსაზე ჰკიდია**
მსოფლიო ფეხბურთი 6-9

## შოთა და იმედის გოლი

გუშინ, უეფას თასის პირველ მერვედფინალურ მატჩში, შოთა არველაძე და "ალკმაარი" "ნიუკასლს" სტუმრობდნენ. ჰოლანდიელებს პირველი ტაიმი კოშმარად ექცათ. 23-ე წუთისთვის "კაჭკაჭები" 3:0-ს იგებდნენ. მერე, შოთამ თავურით "დაასველა" ანგარიში და თანაგუნდელები ცოტა ფერზე მოიყვანა. "ალკმაარმა" მეორე ნახევარი შედარებით უკეთ ჩაატარა. მარტინსის გოლით "ნიუკასლმა" სამბურთიანი უპირატესობა კი აღადგინა, მაგრამ შოთა და კომპანია ბედს მაინც მეტოქის კართან ეძებდა. 73-ე წუთზე, კუვერმანსმა დემბელეს მიერ გაფუჭებულ საეჭვო პენალტს დაამატა - 4:2 და მერე არაფერი შეცვლილა. შოთამ ბოლომდე ითამაშა. გადაწყვეტილი ჯერ არაფერია. ვფიქრობთ, "ალკმაარს" რევანშის ძალა შესწევს... ოღონდ, თუ დაცვას მეტ ყურადღებას მიაქცევს.




სხვა მატჩებიდან აღნიშვნის ღირსია "შახტარის" გასვლითი ფრე (2:2) ესპანეთის ჩემპიონატის ლიდერ "სევილიასთან". ანდალუსიელები ნაგებას ბოლო წუთზე გატანილი 11-მეტრიანის წყალობით გადაურჩნენ...



15 ტექნიკური შედეგები

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

# ბეკენბაუერს საქართველოზე არ ვეთანხმები

## მიშელ პლატინი მსოფლიო ჩემპიონობას 2018 წელს გვისურვებს

**შეხვედრებით, ბანკეტებითა და წვეულებებით გადატვირთული გუშინდელი დღის შემდეგ, უეფას პრეზიდენტი დილაუთენია უნდა დაბრუნებულიყო ევროპაში. სხვა რა გზა იყო? პრესკონფერენცია დილის ათის ნახევარზე დაინიშნა, ანუ მისთვის ჩვეული პარიზული დროით დილის შვიდის ნახევარზე და თავადაც მიხვდებით, რა ხასიათზე იქნებოდა მიშელ პლატინი. აშკარად ეტყობოდა გამოძინება ვერ მოესწრო, თუმცა ხალისობდა და დაღლილობის გადაფარვას ცდილობდა.**

**პრესკონფერენცია ეროვნული სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში ჩატარდა. მანამდე პლატინიმ ჯერ ქართული ფეხბურთის ამსახველი ფოტოები დაათვალიერა.**

**ფოტოკორესპონდენტები, ვიდეოოპერატორები სამუშაოდ მოემზადნენ, მაგრამ საპატიო სტუმრის მაგიდაზე დაწყობილი "ბორჯომი" მათ გადაღებაში ხელს უშლიდა და ბოთლები გადადგეს. ამაზე ვიღაცამ გაიხუმრა - ჩააბარეთ ბოთლები. ახალკაცმაც იხუმრა: - ჩვენც ხომ არ გავიწიოთ?**

**ხუმრობა-ხუმრობაში პრესკონფერენციაც დაიწყო, რომელზეც სულაც არ იყო სახუმარო კითხვები დასმული.**

- ძალიან მიხარია, რომ საქართველოში მეორედ მოვხვდი. აქ ყოველთვის შესანიშნავი დახვედრით გამოირჩევიან. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში არც გოლი გამიტანია და არც არასდროს მომიგია, თუმცა არც წამიგია - აქ ყოფნა მახარებს.

ვიცი, რომ აქ ძალიან ბევრ ადამიანს უყვარს ფეხბურთი. ისიც მშვენივრად მომეხსენება, თქვენი ფეხბურთი რა სირთულეებს აწყდება. მომახსენეს ბავშვთა ფეხბურთის, ნაკრების სირთულეები, თუმცა, პრობლემები საფრანგეთის ნაკრებსაც აქვს და, არ მიკვირს.

ნოდარმა (ახალკაცმა - რედ.) ამიხსნა, რომ ჩამოვედი ფეხბურთზე უზომოდ შეყვარებულ ქვეყანაში და მოხარული ვარ, თქვენს კითხვებს ვუპასუხო.

**- მერაბ ჟორდანია თქვენი მეგობარი და თანამოაზრეა. მას უეფაში რაიმე პოსტს ხომ არ შესთავაზებთ?**

- ამჟამად არა.

**- უეფას პრეზიდენტის რანგში პირველი ვიზიტი საქართველოში მოაწყვეთ. ეს ქართული ფედერაციის მხარდაჭერის გამო გადაწყვიტეთ, თუ მადლიერების ჟესტი იყო?**

- ორივეს გამო. მე საქართველოს ფედერაციასთან თავიდანვე მშვენიერი ურთიერთობა დავამყარე - ჟორდანიასთან, ახალკაცთანაც. ორივეს ვუთხარი, რომ პირველი საქართველოში ჩამოვიდოდი. ეს არაა ეკონომიკური საკითხი, ფილოსოფიურია. ჩვენი აზრები ერთმანეთს ემთხვევა.



მიშელ პლატინი პრესკონფერენციაზე

ნუგზარ სუარიძის ფოტო

**- ბლატერმა ჩემპიონატების გაზაფხული-შემოდგომის სისტემაზე გადაყვანის იდეა წამოაყენა. თქვენ ამის შესახებ რას ფიქრობთ?**

- ასეთი ცვლილება ასი პროცენტით შეცვლის ეროვნული პირველობების სისტემას. მე ჩამოვაყალიბე სტრატეგიული განვითარების კომისია, რომელშიც ფედერაციისა და კლუბების წარმომადგენლებთან ერთად, მნიშვნელოვან საკითხს განვიხილავთ. საერთაშორისო კალენდარზეც ვისაუბრებთ.

**- გავეცანით თქვენს მიმართვას ჩემპიონთა ლიგის მონაწილეებისადმი, სადაც ძალადობას გმობთ და ფეირ-პლეის პრინციპების დაცვას მოუწოდებთ. ხომ არ მიგაჩნიათ, რომ მოედანზე გამოჩენილ პროვოკაციებზე მეტი სიმკაცრით უნდა უპასუხოთ?**

- ფეხბურთში ძალადობის მოძალება აშკარაა. ბევრი რთული პერიოდი გავიარეთ და, ალბათ, ეს პრობლემა სამთავრობო სტრუქტურების დახმარებით უნდა გადაიჭრას. ჩვენ გულშემატკივარს ვერ დავსჯით, ეს ადგილობრივი მთავრობების პრეროგატივაა.

რაც შეეხება "ინტერი"-"ვალენსიას" მატჩს, იმ დღეს მომხდარი აბსოლუტურად მიუღებელია. ასეთ მოვლენებს ვერ შევეგუებით. ჩვენ ფეხბურთი უნდა დავიცვათ.

**- აპირებს თუ არა უეფა ეროვნულ ჩემპიონატებში მონაწილეთა რაოდენობის 18-მდე შემცირებას?**

- სწორედ ამ საკითხს განვიხილავთ სტრატეგიული განვითარების კომიტეტში. ეს მაინც ფედერაციების გადასაწყვეტია. ბევრ წამყვან ლიგაშია 18 და მეტი მონაწილე.

**- აპირებთ თუ არა ლეგიონერების ლიმიტსა და ტრანსფერებზე ევროკავშირთან ურთიერთობის დარეგულირებას?**

- ეს პოლიტიკური საკითხია. მე არ შემიძლია ევროპული ქცევების წესების წინააღმდეგ გავილაშქრო. არსებობს თავისუფალი მიმოსვლის ნორმები, რომელსაც ევროკავშირი არეგულირებს საერთოდ, მე მხარს ვუჭერ "6+5" სისტემას, ანუ ხუთი ლეგიონერის თამაშს. მომხრე ვარ, რომ ფეხბურთის განვითარებას შევხედო როგორც მოყვარულმა, მაგრამ მე ევროპელი ვარ.

**- ქართულ ფეხბურთს რა ფორმით დაეხმარებით?**

- მე წარმოვადგენ ევროპის 53 ნაციონალურ ფედერაციას. არ შეიძლება მე ქართული ფეხბურთის განვითარებაზე განცალკევებულად ვიფიქრო. მასზე ზრუნვა კი ახალკაცსა და ტოპმიოლერს ევალებათ. იმედია, 2018 წლის მსოფლიო თასს მოიპოვებთ.

**- ცოტა ადრე მოგვაგებინეთ, რა?!**

*ამ რეპლიკაზე მიშელ პლატინის გაეცინა და მხრები აიჩეჩა, თითქოს მე ამაში როგორ დაგეხმაროთო.*

**- საქართველოს აზრს პრინციპული გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინებთ?**

- ჩვენ ევროპის 53-ვე ქვეყნის ინტერესს ვიცავთ. გერმანიისა და მალტის მოსაზრებას თანაბარი ძალა გააჩნია. ასევე თქვენსას.

**- დიდ ქვეყნებს ჩემპიონთა ლიგაში კვოტებს შეუმცირებთ?**

- ჩემს პროგრამაში ამაზე დეტალურადაა მინიშნებული. ქვეყნები მაქსიმალურად თანაბარ პირობებში უნდა ჩავაყენოთ. მე არ მითქვამს, რომ ვინმეს შეღავათს გავუწევთ.

**- შესაძლებელია, სომხეთ-აზერბაიჯანის მატჩის თბილისში ჩატარება?**

- ჯერ არ ვიცი, სად ითამაშებენ.

**- ბეკენბაუერის ცნობილ შეხედულებაზე, რომ გერმანია და საქართველოს დონის გუნდები ერთად არ უნდა თამაშობდნენ, რას ფიქრობთ?**

- ბეკენბაუერს არ ვეთანხმები. ძლიერი და სუსტი მოედანზე ირკვევა. მიმაჩნია, რომ ძლიერი ნაკრებიც ყველასთან უნდა თამაშობდეს, საფრანგეთი იქნება ეს თუ გერმანია.

**- ევროპის ჩემპიონატის მონაწილეთა რაოდენობის გაზრდა რეალურია?**

- ეს, ალბათ, 2016 წლისთვის თუ მოხერხდება. მანამდე გამორიცხულია.

**მერაბ მამულაშვილი**

---

უეფას პრეზიდენტის ვიზიტი სტადიონზე

# აქ შეიძლება უეფას ფინალის ჩატარება

**მიშელ პლატინი ჩვენს ეროვნულ სტადიონზე უეფას თასის ფინალის ჩატარებას რეალურად მიიჩნევს. გუშინ, სტადიონზე გამართულ პრესკონფერენციაზე "ლელომ" უეფას პრეზიდენტს კითხვა დაუსვა: შესაძლებლად თვლის თუ არა თბილისში უეფას თასის ფინალის გამართვას?**

- სურვილის შემთხვევაში, შეიკრიბება უეფას კომისია და სტადიონის მდგომარეობას შეაფასებს. თუმცა როგორც ვიცი, უეფას წარმომადგენელი უკვე იყო თბილისში და შესაბამისი შეფასებაც გააკეთა.

პრესკონფერენციის ბოლოს კი პლატინიმ თქვა, რომ სტადიონი ძალიან მოეწონა.

კითხვა შემთხვევით არ დაგვისვამს. ეროვნული სტადიონის დირექცია რეალურად აპირებს თბილისში ამ დიდი საფეხბურთო ზეიმის მასპინძლობას.

გუშინ, სტადიონის გენერალურმა დირექტორმა, ირაკლი მეძმარიაშვილმა ძალიან მნიშვნელოვანი სიახლე გაგვიმხილა.

**- ბატონო ირაკლი, უეფას თასის მასპინძლობის სურვილზე პლატინის თუ ესაუბრეთ?**

- ჩვენ სტადიონის რეკონსტრუქციის დაწყებისთანავე გვსურდა ასეთი დიდი ტურნირის მასპინძლობა. ჩემპიონთა ლიგის ფინალისთვის გაცილებით მკაცრი პირობების შესრულებაა საჭირო, რომელსაც გარკვეული დროის განმავლობაში დავაკმაყოფილებთ. ახლა კი პლატინის შევთავაზეთ უეფას თასის ფინალის თბილისში გამართვა.

**- ეს როდის შედგა?**

- პრესკონფერენციის შემდეგ, როდესაც ქვევით ჩავედით.


სტუმარი სტადიონზე

ნუგზარ სუარიძის ფოტო

**- და რა პასუხი მიიღეთ?**

- გვითხრა, რომ წინააღმდეგი არ იქნება, როდესაც სტადიონი საამისოდ მზად იქნებაო. თან გვითხრა, რომ ფედერაციასთან ერთად, ამის თაობაზე ოფიციალური განაცხადი წარმოადგინეთო.

**- მზადყოფნაში რა იგულისხმება?**

- გარკვეული მოთხოვნების შესრულება. მაგალითად, პრეს-ლოჟა 800-დან 1000-მდე ადამიანზე უნდა იყოს გათვლილი, მანქანების სადგომზე 600 ადგილია საჭირო და ა.შ. ეს ძალიან იოლად მოგვარდება.

მოთხოვნას გავაგზავნით და არაა გამორიცხული, 2010 წლისთვის მოვითხოვოთ ფინალის ჩატარება.

**- თქვენ როგორ მიგაჩნიათ, პლატინის სიტყვები დიპლომატიური იყო თუ გულწრფელი?**

- პლატინი დიპლომატია, მაგრამ ის პირველად არ იყო თბილისში და ვთვლი, რომ გულწრფელად მოეწონა სტადიონი. გასვლამდე შემობრუნდა და თქვა - ძალიან ლამაზი სტადიონიაო. ადრეც ხომ ნანახი ჰქონდა და კაცი გაოცებული დარჩა.

პრესკონფერენციაზე, გაიხსენეთ, რა თქვა, ამ სტადიონის მზადყოფნაზე შესაბამისი დასკვნა არსებობსო. ეს არ იყო შემთხვევითი ფრაზა. თბილისში მყოფმა უეფას წარმომადგენელმა დადებითი დასკვნა დაწერა. უეფაში პოლონეთს, უკრაინას, მოლდოვასა და უნგრეთს სტადიონების რეკონსტრუქციამდე ჩვენი გამოცდილების გაზიარება ურჩიეს. ეს იცოდა პლატინიმ და ამიტომაც ახსენა ეს დასკვნა.

**მერაბ მამულაშვილი**

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ რევაზ არველაძესთან

# პლატინის იდეები

## ქართულ გუნდს ჩემპიონთა ლიგაში თამაშის პერსპექტივა გაუჩნდება

**მიშელ პლატინიმ გუშინ დატოვა თბილისი და ათენს გაემგზავრა, სადაც დღეს ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალის წილისყრას ჩაატარებს. უეფას პრეზიდენტის გამგზავრების მერე ყველას აინტერესებს რა საუბარი იყო პლატინისა და ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის და საერთოდ რა მოჰყვება უეფას პრეზიდენტის თბილისურ ვიზიტს.**

**ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე ამჯერად ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ რევაზ არველაძეს დავუკავშირდით.**

- მიშელ პლატინის, როგორც უეფას პრეზიდენტის პირველი სამუშაო ვიზიტი საქართველოში შედგა. თავად ეს ფაქტი მნიშვნელოვანი და მრავლისმთქმელია. საერთოდ კი პლატინის ვიზიტისას არაერთ მნიშვნელოვან საკითხს შევეხეთ, რომლის გადაწყვეტა ქართული ფეხბურთისთვის უდავოდ მნიშვნელოვანია.

**- მაინც რა საკითხებზე იყო საუბარი გიორგი გაბაშვილსა და დავით ნამგალაურთან შეხვედრისას?**

- უეფას პრეზიდენტს ვუთხარით, თუ რა გააკეთა ფეხბურთის ფედერაციამ ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში, ანუ მას მერე, რაც ნოდარ ახალკაცმა გაიმარჯვა არჩევნებში. ასევე გავაცანით ჩვენი გეგმები, გამოვყავით პრიორიტეტები. პლატინი ყოველივე ამით კმაყოფილი დარჩა.

**- რა გეგმები აქვს ფედერაციას და პრიორიტეტებზე რას გვეტყოდით?**

- ჩვენთვის უმთავრესი ეროვნულ ნაკრებთან ერთად საფეხბურთო ინფრასტრუქტურის მიხედვაა. რაღა თქმა უნდა, მაღალხარისხიანი მინდვრის საფარი უნდა იყოს ქართული ფეხბურთის პროგრესის საფუძველი. ამ მხრივ კი უეფას დახმარებაც დაგვჭირდება. პლატინის მოეწონა საგურამოში მშენებარე ბაზის პროექტი. ასევე მოიწონა ჩვენი იდეა, ტექნიკურ ცენტრ "ბასაში" ხელოვნურსაფარიანი მოედნის გაკეთებაზე. სხვათა შორის, უეფას პრეზიდენტი კმაყოფილი დარჩა, როცა სახელმწიფოსა და ფედერაციის ერთობლივი ძალისხმევით, მთელი საქართველოს მასშტაბით გაკეთებული მინი-ფეხბურთის მოედნების სტატისტიკა გავაცანით.

**- საინტერესოა პლატინისა და პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელის საუბარი რა საკითხებს შეეხო. ამაზე რას გვეტყვით?**

- ამ შეხვედრას მე არ ვესწრებოდი და ვერაფერს გეტყვით. სჯობს, ამის თაობაზე ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცს ჰკითხოთ.

**- უეფას არჩევნების წინ ნოდარ ახალკაცმა ღიად დააფიქსირა მიშელ პლატინისადმი მხარდაჭერა. წლეულს ჩვენი ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებია და ალბათ პლატინიც მხარს დაუჭერს ახალკაცის კანდიდატურას...**

- პლატინის მოსწონს ჩვენი ფედერაციისა და ხელმძღვანელობის მუშაობა და ბუნებრივია, სიმპათია აქვს ნოდარ ახალკაცის მიმართ, რაც არაერთხელ გამოხატა. თუმცა ფედერაციის ხელმძღვანელებს ადრეც არაერთხელ გვითქვამს და თუ საჭირო იქნება საჯაროდ კიდევ ვიტყვით, რომ არჩევნები სამართლიანად ჩატარდება.

**- პლატინიმ საქართველოს უეფასგან სრული მხარდაჭერა აღუთქვა. ეს მაინც რაში გამოიხატება?**

- უეფას სხვადასხვა პროგრამაში საქართველო დღესაც მონაწილეობს და ეს სამომავლოდაც გაგრძელდება. ამას გარდა, თუკი რაიმე ახალ პროექტს წარვუდგენთ უეფას და მჯერა, რომ წარვუდგენთ კიდეც, მხარდაჭერა გვექნება.

სხვათა შორის, მიშელ პლატინის ძალიან მოეწონა ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი. ისიც კი თქვა, კარგი არენაა და აქ უეფას თასის ფინალის ჩატარებაც კი შეიძლებაო.


კლაუს ტოპმიოლერი და რეზო არველაძე

**- ეს უახლოეს მომავალში ხომ არ იგეგმება?**

- არა მგონია ეს დღეს და ხვალ მოხდეს, მაგრამ, ვფიქრობ, შორეული პერსპექტივაც არ უნდა იყოს. მთავარი ისაა, რომ მიშელ პლატინიმ ღიად დააფიქსირა თავისი დამოკიდებულება და მხარდაჭერა ქართული ფეხბურთისა და ჩვენი ფედერაციისადმი. ევროპამ და მთელმა მსოფლიომ გაიგო, რომ უეფას პრეზიდენტს პირველი სამუშაო ვიზიტი საქართველოში ჰქონდა, ეს კი ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია.

**- პლატინი ორი წლის წინაც იყო საქართველოში და მაშინ ძმებ არველაძეებს "გრეხეტბოლიც" კი გეთამაშათ. ძმებს მასთან ახლო ურთიერთობა გაკავშირებთ...**

- (იცინის)... მისი ახლანდელი გრაფიკი ძალზე საქმიანი და გადატვირთული იყო. ერთი კი მითხრა, "გრეხეტბოლში" კარგად მოემზადეთ, მერე დროს გამოვნახავ და ვითამაშოთო.

**- უეფას პრეზიდენტი თანამედროვე ფეხბურთში გარკვეულ ცვლილებებს გეგმავს. ეს კი უეფას საკლუბო ტურნირებსაც შეეხება. მის პროექტებზე რისი თქმა შეგიძლიათ?**

- მისი პროექტის მიხედვით, იტალიის, გერმანიის, ინგლისის, ესპანეთისა და მსგავსი ქვეყნებიდან მოწინავე ოთხის ნაცვლად პირველი ორი გუნდი გავა ჩემპიონთა ლიგაზე, მომდევნო ორი კი უეფას თასზე იასპარეზებს. ამით ჩემპიონთა ლიგის ფორმატიც იცვლება და ჩვენნაირი რეიტინგის ქვეყნების გუნდებს ორი საკვალიფიკაციო ეტაპის გავლა აღარ მოუწევთ, პირდაპირ შეხვდებიან ერთ გუნდს და მოგების შემთხვევაში ჯგუფურ ტურნირზე ითამაშებენ. ამასთან უეფას თასის გათამაშებაზე უკეთესი გუნდები იასპარეზებენ და ეს ტურნირიც უფრო საინტერესო იქნება. ჩვენნაირი ქვეყნებისათვის ეს მოდელი აბსოლუტურად მისაღებია. ჩვენი ქვეყნის ჩემპიონს წამყვანი ფეხბურთელების დამატებისა და კარგად მომზადების შემთხვევაში მართლაც შეუძლია ერთი ეტაპი გადალახოს და ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვდეს. ვფიქრობ, პლატინის ამ იდეას ბევრი მომხრე ეყოლება და ფორმატიც შეიცვლება.

**დავით ცაბაძე**

# თბილისის ჩემპიონატი

გუშინ სპორტკომპლექს "ქარიშხალაში" ფუტზალში ქვეყნის მორიგმა ჩემპიონატმა აიღო სტარტი. სამწუხაროდ, ჩემპიონატს საქართველოსი მხოლოდ პირობითად შეგვიძლია ვუწოდოთ, რადგან რეგიონის ორმა გუნდმა გათამაშებაში ჩართვა უფინანსობის გამო ვერ შეძლო - ჩემპიონატს "ზესტაფონი" და "გორი" გამოეთიშნენ.

ფუტზალის ასოციაცია რთული პრობლემის წინაშე დადგა, მაგრამ ჩემპიონატი არ ჩაშლილა და ასპარეზობა ოთხმა დედაქალაქურმა კლუბმა დაიწყო. გუშინ "საბურთალომ" საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი "იბერია" 7:3 გაანადგურა, "ცენტრ პოინტმა" კი "ქარიშხალას" კიდევ უფრო დამაჯერებლად, 8:2 სძლია.

დღეს მეორე ტურია. "იბერიასა" და "ქარიშხალას" რევანშის საშუალება მიეცემათ, რადგანაც მოედანზე იგივე წყვილები გავლენ. საქართველოს ჩემპიონატი წრიული სისტემით, ფლეი ოფების გარეშე გაიმართება და მაისში დასრულდება.

# მუჯირი ფორმაში შედის

ტრავმის მოშუშების შემდეგ, **დავით მუჯირი** ნელ-ნელა იბრუნებს სასურველ ფორმას. "კრილიასთან" ერთად იგი ხანმოკლე თურქულ შეკრებაზე იყო, სადაც საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. სამარელებმა სპარინგმატჩი ბელარუსულ "მტზ-რიპოსთან" გამართეს და ფრედ, 0:0 ითამაშეს. მუჯირმა მოედანზე 90 წუთი გაატარა და თანაგუნდელთა შორის ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

"კრილიას" მთავარი მწვთნელის, **სერგეი ობორინის** განცხადებით, ქართველი ნახევარმცველი ახალ სეზონშიც გუნდის ერთ-ერთი ლიდერი იქნება. მუჯირი უკვე ისეთ კონდიციებშია, რომ ოფიციალურ მატჩებშიც შეეძლება სრულად დახარჯვა. სავარაუდოდ, რუსეთის ჩემპიონატის პირველი ტურის შეხვედრას იგი ძირითად შემადგენლობაში დაიწყებს. 10 მარტს "კრილია" პრემიერლიგის დებიუტანტ "ხიმკის" უმასპინძლებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# გამოხმაურება

გუშინდელ "ლელოში" ზესტაფონელი გულშემატკივრის, **თამაზ შარიქაძის** წერილი გამოქვეყნდა სათაურით "ზესტაფონო, გშორდები".

ამასთან დაკავშირებით, გუშინვე საფეხბურთო კლუბ "ზესტაფონის" პრეს-ატაშე **სერგო ფუტკარაძის** რეაქციამ არ დაახანა.

*"ვფიქრობ, ბატონი შარიქაძესაც იგივე საფიქრალი გააჩნია, რაც "ზესტაფონის" ხელმძღვანელებს. ჩვენ ვაფასებთ, რომ ჩვენს ქალაქში არიან ადამიანები, რომლებიც ბავშვთა ფეხბურთის როლში ზესტაფონელების პოზიციას იზიარებენ. თითქოს პარადოქსულია, ასეთი პასუხი, მაგრამ რეალურად ასეა. საქმე ისაა, რომ ჩვენი პოლიტიკა სწორედ ადგილობრივი კადრების აღზრდას ითვალისწინებს. და არა მარტო ითვალისწინებს, "ზესტაფონი 2"-ში ადგილობრივი საფეხბურთო სკოლის სამი გაზრდილი თამაშობს - ლაშა საცერაძე, ოთარ ბოჭორიშვილი და ლაშა გაბრიჭიძე. სამივე გურამ მაზმიშვილის მოსწავლე იყო. ასე რომ, ნაღდად არ ვაპირებთ მხოლოდ მოწვეულების ხარჯზე გუნდების დაკომპლექტებას. ეს მცდარი აზრია და ბატონ თამაზს ვერ დავეთანხმებით. მის გულწრფელობაში ეჭვი არც გვეპარება, ეტყობა მას სრული ინფორმაცია არ გააჩნია. ამიტომაც, ვურჩევდი, გაიაროს "ფეროს" სამმართველოსთან, სადაც მდებარეობს ბავშვთა სკოლა, იქ სტანდარტული ხელოვნურსაფარიანი მოედანი კლუბმა გააკეთა და არა ვინმე სხვამ. ეს კი ზესტაფონში ბავშვთა ფეხბურთის განვითარებაზე ზრუნვით იყო გამოწვეული. ასე რომ, ვფიქრობ, უკეთესი იქნებოდა, თუკი ბატონი თამაზი ინფორმაციებს გადაამოწმებდა.*

*რაც შეეხება "ზესტაფონში" ლეგიონერთა ჩამოყვანას: მგონი, 21-ე საუკუნეში ეს ყველგან მიღებული წესია. უბრალოდ, ყველა გუნდს არ აქვს საშუალება, "რეალს", "ჩელსის", "მილანს" და სხვებს ვარსკვლავების შეძენაში შეეჯიბროს. ამის მიუხედავად, ჩვენ ბრაზილიაში საკმაოდ მაღალი კლასის მოთამაშეები შევიძინეთ და ვფიქრობ, მათი თამაშით ისევ ბატონი შარიქაძის მსგავსი გულშემატკივრები გაიხარებენ. ლეგიონერები რომ არ ჰყავდეს "ზესტაფონს", დღეს ასეთი ძლიერი არ იქნებოდა. ვერც ის წარმომიდგენია, მაგალითად, "არსენალიდან" ანრი და ლეგიონერები რომ გაუშვან, კლუბი ამით იხეირებს? ან გაუხარდება, კალაძე "მილანში" რომ არ თამაშობდეს? არა მგონია.*

*ისიც ვერ გავიგეთ, რატომ შორდება "ზესტაფონი" ზესტაფონს? მთელი ქალაქი ჩვენს შეხვედრებს ესწრება და რაში გამოხატება ქალაქისგან, გულშემატკივრებისაგან გუნდის დაშორება, ძნელი გასაგებია."*

**მერაბ მამულაშვილი**

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადახდა ხაზიდან გაუთიშავად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge



ყოფილი თანაგუნდელები: კახა კვეტენაძე (ბურთით) და გია ნერგაძე

ინტერვიუ გიორგი ნერგაძესთან

# არჩევანში არ შევმცდარვარ

**მიშელ პლატინის** თბილისურმა ვიზიტმა მცირე ხნით, ერთგვარად მოგვწყვიტა კიდეც საშინაო ფეხბურთს. თუმცა მხოლოდ ერთი დღით და ჩვენც ისევ დავუბრუნდით შინაურ ასპარეზს.

თასის მეოთხედფინალის საპასუხო მატჩებში ერთი მოულოდნელი შედეგი დაფიქსირდა. ბათუმში ნულოვანი ფრის შემდეგ აჭარლებმა "ტორპედო" ქუთაისში სამი ბურთით დაამარცხეს და ნახევარფინალში გავიდნენ. ამ სამი გოლიდან, "დინამოდან" "ბათუმში" განათხოვრებულ გიორგი ნერგაძეს არცერთი გაუტანია, მაგრამ ყველა ერთხმად აღნიშნავს, რომ ნერგაძე იმ შეხვედრაში საუკეთესო იყო. ბათუმის ერთ-ერთ გამორჩეულ ფეხბურთელს გუშინ გავესაუბრეთ.

- მეოთხედფინალის პირველ შეხვედრაში ფრეს მიუხედავად, შანსი გვქონდა ნახევარფინალში გავსულიყავით. "ტორპედო" ის გუნდი ნამდვილად არაა, გინდ ჩვენ და გინდ სხვა გუნდმა ქუთაისში 3:0 უპრობლემოდ რომ დაამარცხოს. მატჩის დასაწყისში მათ რომ გაეხსნათ ანგარიში, შესაძლოა მოვლენები სხვაგვარადაც კი განვითარებულიყო. თუმცა ჩვენ გავიტანეთ, რამაც "ტორპედო", ცოტა არ, იყოს გატეხა. ამასთან, ქუთაისელთა წაგება სხვა მიზეზებითაც იყო განპირობებული.

**- რას გულისხმობ?**

- "ტორპედოს" დაცვაში ლალაძე აკლდა, კვეტენაძე სათანადო ფორმაში არაა, ქუთათელაძეს არ უთამაშია. ეს ფეხბურთელები კი გუნდისთვის მცირედი დანაკლისი ნამდვილად არაა და ეს მატჩის საბოლოო შედეგმაც დაადასტურა.

**- ნერგაძეს ცენტრი ეჭირა და უმთავრესად ამან განაპირობა ბათუმელთა გამარჯვებაო...**

- ცენტრში სამნი ვიყავით. ასე რომ, ცანავა და დარჩიძე რომ არ დამხმარებოდნენ, მარტო რას გავხდებოდი?

**- თავად ქუთაისელი ხარ და იმ მატჩის შემდეგ თანაქალაქელები არ "გაგიბრაზდნენ"?**

- (იცინის)... რა უნდა ეთქვათ. რას ვიზამთ, ასეთია ფეხბურთი. ისე კი ლალაძემ, ზვიად ჩხეტიანმა და სხვებმა მითხრეს, ეს რა გვიქენითო...

**- ნახევარფინალში გასვლისთვის პრემიასაც ხომ არ მიიღებთ?**

- კლუბიდან არ ვიცი, მაგრამ პროფლიგის მიერ დაწესებული ფულადი პრემია კი გვერგება და მივიღებთ კიდეც. აქვე მინდა ერთი აღვნიშნო, მსგავსი წახალისება ძალიან კარგია და ერთგვარად დამატებითი მოტივაციაც კი არის გუნდებისთვის. ისიც კარგად ვიცით, რომ ფინალში გასვლისთვის კიდევაა დაწესებული ფულადი პრემია და მისი მოპოვებისთვისაც ვიბრძოლებთ.

**- ნახევარფინალში მეტოქედ ვის ისურვებდით?**

- ნახევარფინალში სუსტი გუნდი არ არის. როგორც მითხრეს ბოლნისელებს უნდათ "ბათუმთან" შეხვედრაო და თუ მათი სურვილია, ასე იყოს. თუ არა და ნებისმიერ მეტოქესთან ვიბრძოლებთ ფინალში გასასვლელად.

**- მეორე წრის განახლებიდანვე ნათლად გამოჩნდა, რომ "ბათუმს" კარგად მოერგე და უმალ ამ გუნდის ერთ-ერთ ლიდერად მოგვევლინე. ეს რით ავხსნათ?**

- უპირველესად ის მომეწონა, რომ ბათუმში ერთსულოვანი, შეკრული გუნდი დამხვდა. ფეხბურთელისთვის ეს ძალიან ბევრს ნიშნავს. როცა "დინამოდან" ჩემი განათხოვრება გადაწყვეტილი იყო, შემეძლო სეზონი "დილაში", "ჩიხურაში" ან სხვა გუნდში ჩამემთავრებინა. მაშინ "ბათუმი" ავირჩიე და ძალიან მიხარია, რომ არჩევანში არ შევმცდარვარ.

**- რამ განაპირობა არჩევანი "ბათუმის" სასარგებლოდ გაგეკეთებინა, ზღვა გიყვარს?**

- (იცინის)... არა, ზღვა არაფერ შუაშია. ზაფხული რომ იყოს კიდევ ჰო, მაგრამ... ისე ამასაც თავისი ახსნა აქვს. ჯერ ერთი ქუთაისთან, სახლთან ახლოს ვარ, მეორეც "ბათუმში" ჩემი ახლო მეგობრები ლობჟანიძე, კერესელიძე, სომხიშვილი, გალოგრე, თურმანიძე თამაშობენ. ამიტომაც ბათუმში წასვლა ვამჯობინე.

**- ისიც აშკარაა, რომ ხანგრძლივი უთამაშებლობის შემდეგ ათამაშდი. ჩვეულ ფორმამდე ბევრიც აღარ გიკლია...**

- როცა გუნდში სრული ერთსულოვნებაა და მწვრთნელებიც გენდობიან, ეს გადამწვეტი ფაქტორებია ფეხბურთელისთვის. "ბათუმში" სათამაშო პრაქტიკა მაქვს და ჩვეულ ფორმაშიც მალე შევალ.

**- მგონი ზამთრის პაუზისას გალეგიონერებაზეც ფიქრობდი...**

- ყაზახეთში კარიერის გაგრძელებას მთავაზობდნენ. ბოლო 2 წელია თითქმის არ მითამაშია და ერთი პერიოდი წასვლაზე მართლაც ვფიქრობდი. თუმცა, ახლა რომ დავფიქრდი, ვხვდები, აქ რომ დავრჩი სწორი გადაწყვეტილება მივიღე. ჯერ 24 წლის ვარ და მირჩევნია ცოტა მოვითმინო და მერე უკეთეს დონეზე ვითამაშო.

**- "ბათუმი" რა მიზნებისთვის იბრძოლებს?**

- ჩვენი უმთავრესი ამოცანაა, უმაღლეს ლიგაში ადგილი შევინარჩუნოთ. მერე კი, რაც უფრო მაღლა ვიქნებით გათამაშების ცხრილში, მით უკეთესია.

**- სეზონის ბოლოს ისევ "დინამოს" დაუბრუნდები?**

- კი, კიდევ ორი წლით "დინამოს" ვეკუთვნი. სეზონის ბოლომდე დარჩენილ პერიოდს ფორმის აღსადგენად გამოვიყენებ. ჩვეულ ფორმაში შევალ და "დინამოში" თუ დავიბრუნებ ადგილს ხომ კარგი, თუ არა და, მჯერა, ისე არ დავრჩები, ბოლო-ბოლო "ბათუმში" ჩინებული ატმოსფეროა.

**დავით ცაბაძე**

ორშაბათობით....
8 დღე

№ 1 (5-18 მარტი)

რეგიონი. გურია

# გახდება თუ არა გრიგოლეთის ბაზა ქართული კვიპროსი?

## გუბერნატორი გურიის ფან-კლუბში გაერთიანდა

**ლანჩხუთის** „გურიას" ბოლოსდაბოლოს შეიძლება საშველი დაადგეს. ყოველ შემთხვევაში, ასეთ განცხადებებს გურიის გუბერნატორი მიხო სვიმონიშვილი და ლანჩხუთის გამგებელი, „გურიის" დიდი ქომაგი და ბოლო ათწლეულების კლუბის სტატისტიკის შემგროვებელი ლევან გიორგაძე აკეთებენ. ისინი ყოველივეს საქმითაც ადასტურებენ და თუ დღეს „გურია" ჩემპიონატში ასპარეზობს, ეს სწორედ მხარისა და რაიონის თავკაცების დამსახურებაა. დაუდასტურებელი ინფორმაციით, სვიმონიშვილმა პრეზიდენტისგან თავის დროზე ის დავალებაც მიიღო, რომ სახელოვანი „გურია" და შავი ზღვისა და მდინარე სუფსის შესართავთან მდებარე მწვანეში ჩადგმული 6.5 ჰა უნიკალური ტერიტორია ყურადღების ქვეშ ჰყავდეს. ასეთ დავალებას სხვა რწმუნებულებიც იღებდნენ, თუმცა სვიმონიშვილი სპორტის მოყვარული პირველი გუბერნატორი გამოდგა. „გურია" დისკვალიფიკაციის გამო საშინაო მატჩებს ოზურგეთში ატარებს, რეგიონის პირველკაცი ქომაგებს ავტობუსს უგზავნის, რათა თამაშს მეზობელ ქალაქში დაესწრონ.



მიხეილ სვიმონიშვილი

„ახლა მარტო იმის გამო გავილებთ მაქსიმუმს, რომ ბატონმა მიხომ ასეთი სიურპრიზი მოგვიწყო. ვიცით, რომ მას ბევრი საქმე აქვს, ამიტომაც კიდევ უფრო დასაფასებელია, რომ გვერდით გვიდგას, ისევე, როგორც ჩვენი გამგებელი ლევან გიორგაძე. უნდა გენახათ, როგორ გაუხარდა გოლის გატანა და რა ემოციებში იყო. თამაშის შემდეგ გასახდელში მინერალური წყალი შემოგვიგზავნა და ყურადღება არ მოგვაკლო. მართლა მაგარი კაცია და თან ფეხბურთიც ძალიან კარგად ესმის" — გვითხრა „გურიის" მოთამაშე-მწვრთნელმა, **ზვიად ენდელაძემ**.

ახლა სვიმონიშვილი გრიგოლეთის ბაზაზე ინვესტორის შემოსვლაზე მუშაობს. უკრაინის პრეზიდენტის **ვიქტორ იუშენკოს** ვიზიტი ამ მხრივ შესაძლოა გადამწყვეტიც გამოდგეს. გურიის დღევანდელმა გუბერნატორმა რეგიონში ამ მხრივ გარღვევა უკვე მოახდინა და პირველად, ბოლო 15 წლის მანძილზე გურიაში შემოსვლით ბიზნესმენებიც დააინტერესა. სააკაშვილის გურიაში ვიზიტი ალბათ ამის მხარდაჭერის დადასტურება იყო.

ჩვენ თავის დროზე გაცნობეთ, რომ მას შემდეგ, რაც რუსეთის ნაკრებისა და „ლოკომოტივის" მწვრთნელმა **იური სიომინმა** HTB-ზე განაცხადა — გურიაში პირობები რომ იყოს, არც კვიპროსში წავიდოდით და არც თურქეთშიო, მისი კლუბის თავკაცები გურულებს დაუკავშირდნენ. რუსებმა ემისრებიც მოავლინეს, ბაზა და სტადიონი ვიდეოზეც გადაიღეს, მაგრამ შემდგომში ორ ქვეყანას შორის გართულებული ურთიერთობის გამო, მოსკოველებმა ურთიერთობისგან თავი შეიკავეს.

გრიგოლეთის ბაზა თავის დროზე კიევის „დინამოს" მთავარ მწვრთნელ **ვალერი ლობანოვსკისაც** ძალიან მოეწონა და ზამთრის პირობებში ხასხასა მოედანზე გუნდი არ ავარჯიშა, მინდორი გაფუჭდებაო. დღეს კი არ გამორიცხავენ, რომ გურიაში „ქართული კვიპროსისა" თუ „ქართული ანტალიის" მოწყობაში ინვესტიციები უკრაინელებმა ჩადონ. ასეთი მიზანი წლების წინ, **აკაკი ჩხაიძესაც** ჰქონდა, თუმცა შემდგომში რკინიგზამ პირობები აღარ შეასრულა.

როგორც ამბობენ, საქართველოსა და უკრაინის პრეზიდენტებმა შეკვეთილის აკვაპარკიდან გრიგოლეთის ბაზაზეც შეიარეს. აღნიშნულ საკითხზე მიხო სვიმონიშვილმა კომენტარის გაკეთება არ ისურვა, თუმცა მისი ღიმილი, ალბათ, ფაქტის დადასტურებად უნდა ჩავთვალოთ. სამაგიეროდ, გურიის პირველკაცი „ლელოს" „გურიის" პერსპექტივებზე ესაუბრა:

**- ბატონო მიხეილ, თქვენ პირველი გუბერნატორი ხართ, „გურიის" თამაშებსაც რომ ესწრებით, ახლაც კლუბის ვარჯიშიდან მოდიხართ...**

- გურიაში და განსაკუთრებით ლანჩხუთისთვის „გურია" ერთგვარი ბრენდია, სავიზიტო ბარათი, აქ ყველას ძალიან უყვარს ეს კლუბი და მე, უბრალოდ, უფლებაც არ მაქვს, მას გვერდით არ დავუდგე. ვპირდები „გურიის" ქომაგებს, რომ იმისთვის, რათა კლუბმა დიდება დაიბრუნოს, მაქსიმუმს გავიღებ.

**- აქამდე ფეხბურთთან რა შეხება გქონდათ?**

- არანაირი... ნამდვილად არანაირი, გარდა იმისა, რომ საფეხბურთო მატჩებს ვუყურებდი. ახლა კი, აი როგორი ქომაგი გავხდი... (იცინის)

**- რა ეშველება „გურიას", სპონსორზე თუ არის რეალური საუბარი?**

- რა თქმა უნდა, გამგებელთან ერთად ამაზე ვმუშაობ, თუმცა მე კონკრეტული საუბარი მიყვარს და ჯერ ვერაფერს გეტყვით.

**- „გურიის" პატრონობა ბევრს მოუსურვებია, მაგრამ დიდი ვალების გამო, ყველა თავს იკავებს...**

- ამ საკითხზე სერიოზულად ვმუშაობთ, ყველაფერი უნდა გაირკვეს და დამერწმუნეთ, მოუგვარებელი პრობლემა არ არსებობს.

**- გრიგოლეთის ბაზის 50% ისევ საქართველოს რკინიგზას ეკუთვნის, თუმცა პირობებს არ ასრულებს...**

- ამაზეც ვმუშაობთ, რომ 100% „გურიის" გახდეს. მართალია, რკინიგზაც 100%-იანი სახელმწიფო შპს-ა, მაგრამ მოლაპარაკება შედეგს გამოიღებს.

**- კიდევ ერთი საკითხი, სახელმწიფო შპს-ს ყველა გაურბის, ხომ არ სჯობს „გურიამ" სტატუსი შეიცვალოს?**

- აბსოლუტურად გეთანხმებით, კლუბი კერძო საკუთრება უნდა გახდეს. გრიგოლეთის ბაზაც კერძო პირის ხელში უნდა გადავიდეს, ინვესტიცია შემოვიდეს.

**- ალბათ, პროფილის შენარჩუნებით, ხომ?**

- ეს, რა თქმა უნდა, უკეთესია, თუმცა პროფილის შენარჩუნების გარეშეც შეიძლება. „გურიას" ქალაქშიც მშვენიერი ბაზა აქვს.

**- ჰო, მაგრამ გრიგოლეთის ბაზის გარეშე „გურია" და მისი ქალაქის ბაზა ვის რად უნდა?**

- უმჯობესია, ბაზა პროფილის შენარჩუნებით გაიყიდოს, მაგრამ ყველა შემთხვევაში დაცული იქნება ერთი პირობა — „გურია" არ უნდა დაზარალდეს და ამ კლუბმა უნდა იარსებოს, თან ძველი დიდება დაიბრუნოს.

**მამუკა ქანთარია**
ლანჩხუთიდან

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

# ჯინჭარაძე მეოთხედფინალში


პაატა ჯინჭარაძე

ქართველი ფეხბურთელის **პაატა ჯინჭარაძის** ბრიანსკის "დინამო" რუსეთის თასის მეოთხედფინალშია. საპასუხო მერვედფინალურ მატჩში, რომელიც ბრიანსკში გაიმართა "დინამომ" და მოსკოვის "ტორპედომ" ფრედ ითამაშეს - 0:0. პირველ მატჩში ბრიანსკელებმა იმარჯვეს 1:0 და სწორედ ამის წყალობით გააღწიეს შემდეგ ეტაპზე. საპასუხო მატჩში ქართველმა ნახევარმცველმა სრულად ითამაშა და 76-ე წუთზე ყვითელი ბარათიც მიიღო. მეორე მერვედფინალურ მატჩში ყაზანის "რუბინმა" შინაც წააგო "როსტოვთან" (0:1) და თასს გამოეთიშა. "რუბინის" რიგებში ქართველებს არ უთამაშიათ.

# ვაჟამ და შერიფმა გადაწყვიტეს

მოლდოვის ჩემპიონატი ზამთრის შესვენების შემდეგ განახლდა და უკვე ორი ტურის გამართვაც მოესწრო. ვფიქრობთ, ამ ორ ტურში ჩემპიონატის ბედიც გადაწყდა. ჩემპიონმა და ლიდერმა ტირასპოლის "შერიფმა" ორივე მატჩი მოიგო, მათ შორის კიშინიოვში ერთადერთ კონკურენტ "ზიმბრუსთან". თანაც "ზიმბრუმ" ამ ორ შეხვედრაში ქულა ვერ აილო. **მამუკა ლომიძის** "ზიმბრუ" პირველ ტურში სტუმრად "ოლიმპიასთან" 0:1 დამარცხდა, მაშინ როცა **ვაჟა თარხნიშვილის** "შერიფმა" შინ "ნისტრუ" გაანადგურა - 3:0. 7 მარტს ეს ორი კლუბი ერთმანეთს მოლდოვის დედაქალაქში დაუპირისპირდა. ახალნვეულ **იბრაჰიმ გნანუს** მიერ 88-ე წუთზე გატანილი გოლის წყალობით სტუმრებმა 2:1 იმარჯვეს. ახლა 23 ტურის შემდეგ "შერიფს" 59 ქულა აქვს, ტირასპოლური კლუბი უშუალო კონკურენტს 13 ქულით უსწრებს. ვაჟა თარხნიშვილი კვლავ კლუბის კაპიტანია, "ნისტრუსთან" მატჩში მის გარდა **პავლე ხორგუაშვილმაც** ითამაშა, რომელიც მოედანზე 61-ე წუთზე შევიდა. "ზიმბრუსა" და "შერიფის" დაპირისპრებაში მასპინძელთა სასტარო შემადგენლობაში იყო მამუკა ლომიძე, სტუმრებისაში ვაჟა თარხნიშვილი, ხორგუაშვილი კი ამჯერად სათადარიგოს როლით დაკმაყოფილდა. ლომიძემ ყვითელი ბარათი მიიღო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


ვაჟა თარხნიშვილი

## ტურნირი მინი-ფეხბურთში

გაიმართა გამოჩენილი ქართველი ფეხბურთელის, სპორტის დამსახურებული ოსტატის, **რამაზ შენგელიას** სახელობის თასის გათამაშება მინიფეხბურთში საქართველოს სამინისტროების, უწყებებისა და სასამართლო ორგანოების მოსამსახურეთა შორის. პირველი ადგილისა და თასის მფლობელი გახდა თბილისის მერიის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი.

მეორე ადგილზე გავიდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ხოლო მესამეზე - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს გუნდი.

ტურნირზე დაწესებული პრიზები ასე განაწილდა:

საუკეთესო ფეხბურთელი: საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე **ლევან გვაზავა;**

საუკეთესო ბომბარდირი: თბილისის მერიის საგანგებო სიტუაციების საქალაქო სამსახურის უფროსი **თეიმურაზ გიორგაძე;**

საუკეთესო ნახევარმცველი: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **კონსტანტინე ოჩიგავა.**

გამარჯვებული გუნდები და პრიზიორები საქართველოს სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა პროფესიულმა კავშირმა შესაბამისი დიპლომებით, ხოლო საქართველოს საჯარო მოსამსახურეთა პროფესიულმა კავშირმა საპატიო სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვა.

*ქალაქ თბილისის მერიის საგანგებო სიტუაციების საქალაქო სამსახურის პრესცენტრი*

მეტოქის ბანაკში

# ლიტვამ შემადგენლობა დაასახელა


ალგიმანტას ლიუბინსკასი

ლიტვის ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ალგიმანტას ლიუბინსკასმა** იმ ფეხბურთელების სია გამოაქვეყნა, რომელთაც ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მომდევნო ორი მატჩისთვის უხმობს. 24 მარტს ლიტველები კაუნასში ფრანგებს უმასპინძლებენ, 28-ში კი ოდესაში უკრაინელებს ესტუმრებიან.

მეკარეები: ჟიდრუნას კარჩემარსკასი ("დინამო" მ.), მინდაუგას მალინაუსკასი ("კაუნასი"), საულიუს კლევინსკასი ("სუდუვა"), პაულიუს გრიბაუსკასი ("ოცელული").

მცველები: დეივიდას შემბერასი (ცსკა მ.), ანდრიუს სკერლა ("ვეტრა"), ტომას ჟვირგჟდაუსკასი ("ჰალმსტადი"), როლანდას ძიაუკშტასი ("სატურნი"), მარიუს სტანკიავიჩუსი ("ბრეშა"), ირმანტას ზელმისკასი ("ტავრია"), მარიუს ჟალიუკასი ("ჰართსი"), გედიმინას პაულაუსკასი ("ეკრანასი"), არუნას კლიმავიჩუსი ("დინამო" მ.), ვიდას ალუნდერისი ("ზაგლემბე").

ნახევარმცველები: ედგარას ჩესნაუსკისი ("სატურნი"), ტომას ტამოშაუსკასი ("მეტალურგი" ლიეპაია), მინდაუგას კალონასი ("მეტალურგი" ლ.), დარიუს მიცეიკა ("მეტალურგი" ლ.), საულიუს მიკოლიუნასი ("ჰართსი"), მანტას სავენასი ("ეკრანასი"), ანდრიუს გედგაუდასი ("ინტერი" ბაქო), იგორ ალუნდერისი ("ზაგლემბე").

თავდამსხმელები: ტომას დანილიავიჩუსი ("ბოლონია"), ედგარას იანკაუსკასი ("ჰართსი"), ანდრიუს ველიჩკა ("ჰართსი"), ტომას რაძინიავიჩუსი ("კლადნო"), რობერტას პოშკუსი ("ზენიტი"), რიჩარდას ბენიუშისი ("კაუნასი"), ვიტალიუს კავალიაუსკასი ("ეკრანასი").

**ლევან ჯანეზაშვილი**

| | წავიდნენ | მოვიდნენ |
|---|---|---|
| ოლიმპი | კიკნაძე, ზამთარაძე (მწვრთნელები, ტორპედო) რ. ონიანი (ზესტაფონი), ხოჯავა, ნაჭყეპია (ამერი), სირბილაძე (დინამო), მიმინოშვილი, მიქიაშვილი, ვ. კვარაცხელია, ხოხონიშვილი (ორივე- ბათუმი), გ. თოდუა (მგლები) | რ. ძოძუაშვილი (მწვრთნელი, ტორპედო) ვ. კილასონია (მწვრთნელი) მერლანი (ვეტრა, ლიტვა), რ. გოცირიძე (კამაზ, რუსეთი), არზიანი (რუბინი), ნავალოვსკი (დინამო) ჩხარტიშვილი (დინამო ერევანი), ბერუაშვილი (ტორპედო), ჭიჭვეიშვილი (სიონი) |
| ვიტ ჯორჯია | დილმელაშვილი, ფეიქრიშვილი (ორივე - დინამო) | კიკნაძე (ბორჯომი), იმერლიშვილი (კახეთი) |
| ამერი | ჩანგელია (უკრაინა) კედელაშვილი (მერანი) | მესხი (ჩიხურა), ნაჭყეპია (ოლიმპი), კაკაშვილი (რილსკი, ბულგ.) |
| ზესტაფონი | იმედაძე (ტორპედო), თურმანიძე (ბათუმი), განუგრავა, ბ. გოცირიძე | რ. ონიანი (ოლიმპი), ლეანდრო, ჟონატასი |
| დინამო | ამბროზიო (გრემიო), ახალაია, ბაბუნაშვილი (სიონი), სტურუა (ჩიხურა), გრიგალაშვილი (ბორჯომი), მახარაძე (ჩიხურა) ნავალოვსკი , ნერგაძე (ბათუმი), გიგაური, ქუცურუა (ჩიხურა), დვალი (ჩიხურა) | დილმელაშვილი (ვიტ ჯორჯია) ზელიჩი (ავსტრალია, თავისუფალი აგენტი) კრშკო (ჟილინა), ფეიქრიშვილი (ვიტ ჯორჯია), სირბილაძე, სპასოევიჩი |
| ტორპედო | ძოძუაშვილი (მწვრთნელი, ოლიმპი), გამეზარდაშვილი (სკონტო) ბერუაშვილი (ოლიმპი) მ. ღონღაძე (ლოკომოტივი) | კიკნაძე, ზამთარაძე (მწვრთნელები), კ. კვეტენაძე, მერკვილაძე, ხურცილავა, გ. იმედაძე |
| სიონი | სიჭინავა, შავგულიძე, ბათიაშვილი, ჭიჭვეიშვილი | მამალაძე (ჩიხურა), სილაგაძე, დარასელია (შახტიორი ყარაღანდა), ბაბუნაშვილი (დინამო), ექონია (ბათუმი), კორღალიძე, სანიკიძე, ორბელაძე |
| ლოკომოტივი | ყიფიანი, მხეიძე, ებანოიძე, ცხომარია, მენაბდე, მიხაილიდი, ალავერდაშვილი | სოსელია, წუწუნავა (ორივე - კახეთი) მალიჩავა, სამხარაძე (გაგრა) |
| ბორჯომი | ნკემი, მონგუე, ნაკანი (მერანი), მოდებაძე, კიკნაძე (ვიტ ჯორჯია), ბენდელიანი, ლაბაძე | კვერნაძე, კაიდარაშვილი, კოშკაძე (ბათუმი) ლ. მერებაშვილი (ჩიხურა) საყვარელიძე, მძინარიშვილი (ორივე დილა), გრიგალაშვილი (დინამო), კაკალაძე (ჩიხურა) |
| მერანი | — | კუტივაძე (მწვრთნელი), კედელაშვილი (ამერი), ა. ნოზაძე |
| ჩიხურა | ფეხბურთელთა აბსოლუტური უმრავლესობა | სტურუა, დვალი, ქუცურუა, ჩარგეიშვილი, მახარაძე (ყველა დინამო), მ. მიქაძე, დარჩიძე |
| ბათუმი | ა. მუჯირი (ბაქი), კოშკაძე (ბორჯომი), ნაჭყებია | კერესელიძე, ბარამიძე (დინამო 2), თურმანიძე (ზესტაფონი), შალამბერიძე (მეშაქრე) |
| დილა | ბეგიაშვილი (პრეზიდენტი), მამესწარაშვილი (მწვრთნელი) | ლურსმანაშვილი (პრეზიდენტი), ვარდოსანიძე, ელიაური (მწვრთნელები), დ. ხანიშვილი, კ. ხანიშვილი, ბ. ჩიტაია, გ. ჩიტაია, გონჩაროვი |
| კახეთი | იმერლიშვილი (ვიტ ჯორჯია), ცინაძე, სოსელია, წუწუნავა (ორივე - ლოკომოტივი) | კუპრაშვილი (გურჯაანი) მედოევი, ე. მერებაშვილი |

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოხმაურება

# ევრორომა, სასწაული მიზერულ ფასებში

## 23 წლის შემდეგ რომა ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალშია. რა განსხვავებაა კაპელოს ვარსკვლავებსა და სპალეტის გუნდს შორის...

23-წლიანი პაუზის შემდეგ "რომა" ევროპის ყველაზე პრესტიჟული თასის მეოთხედფინალშია. ამიტომ საგმირო გამარჯვებას, რომელსაც **სპალეტის** გუნდმა ლიონში მიაღწია, იტალიაში ყველა ერთხმად უწოდებს ისტორიულს. სიხარული იმდენად დიდი იყო, რომ რომაელი ტიფოზები სამშაბთს ქალაქის ქუჩებში გამოეფინნენ და მთელი ღამე ზეიმობდნენ. მილანში ან ტურინში მსგავსი რამ წარმოუდგენელია. მეოთხედფინალში გასვლა ამ ქალაქებში არაფერს ნიშნავს. მაგრამ რომში სხვანაირადაა. ლიონური გმირობის პირველი ეფექტი ბირჟაზე დაფიქსირდა: მილანის სააქციო ბირჟაზე "რომას" აქციების ფასი 6,72 პროცენტით გაიზარდა, იმ დროს, როცა პარიზში "ლიონის" აქციები 4,35 პროცენტით გაუფასურდა. ჩემპიონთა ლიგა შედეგებთან ერთად ფულსაც ნიშნავს. სამშაბათამდე "ჯალოროსის" სალაროში 12 მილიონი ევრო იყო შესული, მეოთხედფინალში გასვლის შემდეგ კი 2,5 მილიონი შეემატა. თუმცა ამით არ მთავრდება: სულ ცოტა 2 მილიონით გამდიდრდება კლუბი მეოთხედფინალის საშინაო შეხვედრითაც, სადაც "ოლიმპიკოს" პირთამდე გავსებას ელოდებიან. მაყურებელი ადვილად შეამჩნევდა, რომ "რომას" მაისურაზე სპონსორის სახელი არ აწერია, ანუ გუნდს ოფიციალური სპონსორი არ ჰყავს. არადა, ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალი ძალიან მსუყე ლუკმაა, ასე ადვილად რომ გაუშვა ხელიდან. ამ ეტაპზე შეხვედრებს მთელი მსოფლიო უყურებს და გასაკვირი არაა, რომ ბევრ კომპანიას "რომას" სპონსორობის სურვილი გაუჩნდა. ეს კი სეზონში სულ ცოტა 6-7 მილიონს უდრის.

ლიონური გამარჯვებიდან ორი დღის შემდეგ "გაძეტა დელო სპორტმა" "რომას" სპეციალური სტატია მიუძღვნა, სათაურით: "ევრორომა, სასწაული იაფ ფასებში". საუბარია იმაზე, რომ დღევანდელ "რომას" ფეხბურთელების სატრანსფერო ფასი სამჯერ ნაკლებია 2001 წლისაზე, როცა გუნდი იტალიის ჩემპიონი გახდა. **ფრანჩესკო ტოტი** ერთადერთია, ვინც იმ გუნდიდან დღემდე შემორჩა. აი, ეს სტატია:

"ისინი, ვინც ძვირად ფასობდნენ და ჩემპიონები გახდნენ და ისინი, ვინც ბევრად ნაკლებად ფასობენ, მაგრამ უზომოდ დიდი ამბიციები აქვთ. "რომა": ოჯახური ფოტოები. წარსული და აწმყო, 2000/01 და 2006/07, ფაბიო კაპელოს ვარსკვლავები, რომლებმაც ბოლო ტიტულები მოიპოვეს და ლუჩანო სპალეტის კოლექტივი, რომელსაც ჯერ კიდევ მოსაგები აქვს. კვეთის წერტილი ერთია - ფრანჩესკო ტოტი, ერთადერთი ჯალოროსო, ვინც 6 წლის წინათ სკუდეტო და იტალიის სუპერთასი მოიგო, სამშაბათს კი ლიონური "ჟერლანის" სტადიონზე სპალეტის "რომას" ევროპული კურთხევის მონაწილე გახდა.

სამჯერ იაფი. ერთ დროს "რომას" დიდი სახელები ამშვენებდნენ: **კაფუ** - მსოფლიო ჩემპიონი ბრაზილიის კაპიტანი - და ბომბარდირების მეფე **გაბრიელ ბატისტუტა**, "ილ მურო" (კედელი) **სამუელი** და "ილ პუმა" **ემერსონი**. მოკლედ, 11 ვარსკვლავი, ვისი ჯამური სატრანსფერო ფასი (და ეს უკვე რეალობამ აჩვენა) 145 მილიონი ევრო იყო. აქ არ ითვლება სათადარიგოთა სკამი, სადაც ისეთი ხალხი იჯდა, როგორებიც არიან **ალდაირი, კრისტიანო ძანეტი, მარკო დელვეკიო** (რომელიც უფრო ხშირად ძირითადში თამაშობდა) და **ჰიდეტოში ნაკატა**. ამ ფეხბურთელების წლიურ ხელფასებზე გამოყოფილი ბიუჯეტი 100 მილიონს უახლოვდებოდა. სხვა დრო იყო, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ დღევანდელი "რომა" სახლში გამოზრდილი ტალანტებით (დე როსი) და თავისუფალი აგენტების გადაბირებით (**დონი, ტონეტო, მანსინი** და **ტადეი**) შეიქმნა. დღევანდელ ფეხბურთელებში კლუბს "მხოლოდ" 48 მილიონი ევრო აქვს გადახდილი, წლიური სახელფასო ფონდი კი 65 მილიონ ევრომდე ჩამოვიდა.

ინდივიდუალიზმი და კოლექტივი. მაგრამ თუ ციფრები ყველაფერზე ნათლად მეტყველებენ, რას გვეუბნება მოედანი? კაპიტანი ტოტი მარტივად სხნის: *"2001 წლის შემადგენლობაც ძალიან ძლიერი იყო, მაგრამ განსხვავება ბევრია. ის გუნდი ინდივიდუალიზმით იყო მდიდარი, თუ თამაში არ აეწყობოდა, ცაკლეული ვარსკვლავების ფანტაზიის იმედზე შეეძლო ყოფილიყო. ახლა კი პრივილეგია კოლექტივს, გუნდურობას ენიჭება".* კოლექტივი, გუნდურობა - მაგიური სიტყვები, რომლებიც გერმანული მუნდიალის დღეებში გვაბრუნებენ. *"სიმართლე გითხრათ, ლიონში ბერლინური ემოციები გამახსენდა - განაგრძობს ტოტი – მანამდეც ვთქვი, რომ მინდოდა, მეთამაშა 2009 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალში, რომელიც რომში ჩატარდება. მაგრამ ასე კარგად და სტაბილურად თუ გავაგრძელეთ, ფინალამდე ორი წლით ადრე მივალთ. გვაქვს იმის ურყევი რწმენა, რომ დიდი გუნდი ვართ. შეიძლება, ისეთი მჟღერალა სახელები აღარ გვყავდეს, როგორც 2001 წელს, მაგრამ ამ ფეხბურთელებითაც ნებისმიერი მეტოქის გამწარება შეგვიძლია".* მით უმეტეს ასე შთაგონებით მოთამაშე ტოტისთან ერთად, რომელმაც ამ სეზონში უკვე 21 გოლი გაიტანა. *"და ამაზე გაჩერებას ნამდვილად არ ვაპირებ – დასძენს კაპიტანი – მიზნად მაქვს დასახული, რომ წელს 30 გოლზე ავიდე. და იქნებ, მათი უმეტესობა სწორედ ჩემპიონთა ლიგაში გავიტანო."*

რომა 84. სანამ ტოტი დანარჩენ გოლებს გაიტანდეს, ერთი რამე უკვე ცხადია: კაპელოს ვარსკვლავურ "რომას" ჩემპიონთალიგური მეოთხედფინალისთვის არასდროს მიუღწევია. მსგავსი პრეცენდენტის საპოვნელად საჭიროა, რომ 1984 წელი გავიხსენოთ, როცა აწყვეტილი **ბრუნო კონტისა** და **ფალკაოს** "რომა" "ლივერპულმა" ფინალში, 11-მეტრიანების სერიით დაამარცხა. *"ამ გუნდს შეუძლია, რომ ჩვენი მიღწევა გაიმეოროს - ამბობს ბრუნო კონტი - თუმცა იმედი ვიქონიოთ, რომ საბოლოო შედეგი განსხვავებული იქნება."*

როზელას ვერდიქტი. ვიცე-პრეზიდენტი და კლუბის რეალური მმართველი, **როზელა სენსი** 2001 წლის ტრიუმფს არ ივიწყებს: *"სკუდეტოს წელიწადი დღემდე ეტალონად რჩება, თუმცა არც იმას ჭირდება ხაზგასმა, რომ დღევანდელი გუნდით უზომოდ ამაყი ვარ... მაგრამ იმედი დავიტოვოთ, 1983/84 სეზონის ბრწყინვალე შედეგს გავიმეორებთ. ასეა თუ ისე, დღეს ყველანი უზომოდ ბედნიერები ვართ. მამამ (პრეზიდენტი ფრანკო სენსი, რომელიც მძიმედ არის ავად) მთხოვა, რომ ბიჭებისთვის მისი სახელით მიმელოცა და კომპლიმენტები მეთქვა. ლიონში გამარჯვებამდე, პლატინისგან წერილი მივიღეთ, სადაც პრეზიდენტი ჩემპიონთა ლიგის მნიშვნელობასა და ფასს გვახსენებდა, ვფიქრობ, რომ ამ ტურნირის საკადრისი თამაში ვაჩვენეთ. "რომამ" არა მარტო საკუთარი თავი, არამედ იტალიური ფეხბურთი ასახელა."*

გოგა ახალაძე




ორი რომა: ქვემოთ კაპელოს მრავალმილიონიანი ვარსკვლავური შემადგენლობა, ზემოთ სპალეტის იაფი კოლექტივი




რეალი. იტალიელის ბოლო შანსი

# კაპელოს ბედი ბარსაზე ჰკიდია

## თუ სამეფო კლუბი კამპ ნოუზე დამარცხდება, სინიორ ფაბიოს ჩემოდნების ჩალაგება მოუწევს, კალდერონისთვის საკომპენსაციო თანხა პრობლემას არ წარმოადგენს, მადრიდელებს მოთმინების ფიალა აევსოთ...



ფაბიო კაპელო ჩემოდნებზე ზის

მიუნხენში განცდილმა კრახმა სამეფო კლუბში არსებული სიტუაცია კიდევ უფრო დაძაბა. "რეალი" ჩემპიონთა ლიგას გამოემშვიდობა. ამით, დიდ ტურნირში გამარჯვებისა და გაზაფხულზე სიბელესის მოედანზე ნანატრი ფიესტის მოწყობის იმედი მოკვდა. თუ აქამდე იტალიელ სპეციალისტს მადრიდული გიგანტის ხელმძღვანელობა ყოველმხრივ თანადგომას უცხადებდა, ამჯერად სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა. "ბაიერნთან" წაგების შემდეგ "კანალ პლუსის" ჟურნალისტი **პრედრაგ მიატოვიჩს** შეხვდა და ჰკითხა, სინიორ ფაბიოს მომავალთან დაკავშირებით რას ფიქრობდა. გენერალურმა დირექტორმა მედიელს ასეთი რამ უთხრა: *"ჯერჯერობით, კაპელო ჩვენი მწვრთნელია. დაზუსტებით შემიძლია მოგახსენოთ, რომ მომავალ უქმეებზე იტალიელი "ბარსელონის" წინააღმდეგ გაგვიძღვება. შემდეგ კი ვნახოთ, რა მოხდება. მწვრთნელის ბედი ყოველთვის შედეგებზეა დამოკიდებული. "ბაიერნთან" წაგება ჩვენთვის უმტკივნეულესი დარტყმა გახლდათ. ამ შედეგს არ ველოდით. გვჯეროდა, რომ მეოთხედფინალში გავიდოდით, მაგრამ გუნდმა ძალიან ცუდად იასპარეზა. პირველი გოლი იდიოტური შეცდომის გამო ვაჩუქეთ გერმანელებს. სამწუხაროდ, დროის უსასტიკესი დეფიციტის გამო, სიტუაციის გაანალიზების შესაძლებლობა არ გვაქვს. ვალდებულები ვართ, "ბარსელონასთან" გასამართ სუპერკლასიკოს მაქსიმალურად მომზადებულები შევხვდეთ. ახლა საქმეების გარჩევის დრო არ არის. კატალონიიდან დაბრუნების შემდეგ კი დირექტორატი შეიკრიბება, ყველაფერს აწონ-დაწონის და შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებს."*

საზოგადოებაში უმალ გაჩნდა მოსაზრება, რომ კაპელოს გაშვების შემთხვევაში, სამეფო კლუბს სოლიდური საკომპენსაციო თანხის გადახდა მოუწევს. მიმომხილველთა ერთი ნაწილი ფიქრობდა, **რამონ კალდერონი** ამ თანხის გადახდას მოერიდებოდა და ყველაფერს ილონებდა იმისთვის, რომ აპენინელი სპეციალისტი კლუბში დაეტოვეშინა. როგორც აღმოჩნდა, ამ ვარაუდს სიმართლესთან არაფერი აქვს საერთო: *"ჩვენ ეკონომიკურ პრობლემებს არ ვუჩივით. ყველაზე დიდი მნიშვნელობა იმ ღირებულებებს აქვს, რომელიც მადრიდის "რეალის" სავიზიტო ბარათია. მთავარმა მწვრთნელმა უნდა დაგვარწმუნოს, რომ გუნდის განვითარებისა და გამარჯვებებისკენ წაყვანის უნარი შესწევს. იმ შემთხვევაში, თუ კაპელოს თანამდებობიდან ვადამდე გავუშვებთ, მისთვის მხოლოდ სრული კონტრაქტით გათვალისწინებული თანხის ნახევრის გადახდა მოგვიწევს. მერწმუნეთ, ფული არანაირი პრობლემა არ არის. დარწმუნებული ვარ, ეს თავად კაპელოსთვისაც არ არის მთავარი ასპექტი. სიმართლე გითხრათ, შუა მარტში ახალი მწვრთნელის მოყვანა ძალიან რთულია. ჩემი აზრით, ვინმეს გაშვება, ან პირიქით, არგაშვება თვითმიზანი არ უნდა იყოს, მთავარია, რაციონალური გადაწყვეტილება მივიღოთ. ყველაფერი უახლოეს მომავალში გამოჩნდება."*

უახლოესი მომავალი კი შაბათია. ხვალ "ბარსელონა" "რეალს" უმასპინძლებს. თუ კატალონიური გრანდი მოსისხლე მტერს დაამარცხებს, კაპელოს შეეძლება მადრიდში აღარც დაბრუნდეს და პირდაპირ სამშობლოსკენ აიღოს გეზი.

### ვალენსიას დაისჯება და ინტერიც

უეფა "ვალენსია"-"ინტერის" მატჩისას მომხდარი ინციდენტის განსახილველად ემზადება. "გაძეტა დელო სპორტი" მოვლენების განვითარების სავარაუდო სცენარს გვთავაზობს. იტალიური გამოცემის აზრით, ვალენსიელი **დავიდ ნავარო**, როგორც მთელი ამ აურზაურის წამომწყები, 8-მატჩიანი დისკვალიფიკაციით დაისჯება. "ვალენსიის" კაპიტანი კარლოს მარჩენა 2 ან 4 მატჩს გამოტოვებს. ინტერელი **ნიკოლას ბურდისო**, რომელსაც ჩხუბისას ცხვირი გაუტეხეს, ასევე 2 ან 4-მატჩიან შეჩერებას გამოკრავს ხელს. დისკვალიფიკაციები არ ასცდებათ **ივან კორდობას, ხულიო კრუსსა** და **მაიკონს**, რომლებიც ნავაროს მკვლელების სახით მისდევდნენ. შეგახსენებთ, საქმის განხილვა 14 მარტს შედგება.

### მაკელელე ჩელსის შემოსწყრა

**კლოდ მაკელელე** "ჩელსიდან" წასვლით იმუქრება. 34 წლის ნახევარმცველს კონტრაქტის გაგრძელება სურდა. მისი დღევანდელი ხელშეკრულება 2008 წელს იწურება. "არისტოკრატებმა" ნახევარმცველს "სტემფორდ ბრიჯზე" დარჩენა 2009 წლამდე შესთავაზეს. მაკელელე განაწყენებულია. ის კონტრაქტის გახანგრძლივებას მინიმუმ ორი წლით ითხოვს. თუ რომელიმე სხვა კლუბი კლოდის მოთხოვნას დააკმაყოფილებს, ის სამსახურის გამოცვლაზე იფიქრებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაიერნი

# იმედია, ჰიტცფელდი... ან ულიე მაინც

## ტონი სასურველ კანდიდატად რჩება, რობენიც...



ოტმარ ჰიტცფელდი

„რეალთან" მოგებული მატჩის შემდეგ აბსოლუტურად ყველა გერმანული გამოცემა წერდა, იქნებ ამ უდიდესმა გამარჯვებამ მაინც გადააფიქრებინოს **ოტმარ ჰიტცფელდს** გუნდის დატოვებაო. ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გასვლამ „ბაიერნის" მიერ მიმდინარე სეზონში ჩაფლავებული მატჩების დიდი ნაწილი გადაწონა. რეკორდმაისტერი დაბრუნდაო, წერენ ჩვენი გერმანელი კოლეგები და ეჭვი არ ეპარებათ, რომ „სამეფო გუნდის" დამარცხებით ალფრთოვანებული „ბაიერნი" კვირას „ვერდერსაც" ჯეროვნად გაუმკლავდება. ადრეც ვწერდით, რომ ეს კვირა, რომელიც „ჰერტას" დამარცხებით დაიწყო და „რეალის" გაგდებით გაგრძელდა, მიუნხენური გიგანტისთვის გადამწყვეტია.

„რეალის" კარში გატანილი გოლები „გენერალს" ისე უხაროდა, რომ შეუძლებელია, წამით მაინც არ გაევლო თავში, იქნებ ვცდები, სეზონის დასრულების შემდეგ „ბაიერნიდან" წასვლა რომ მინდაო. მაგრამ ისიც აღსანიშნავია, ჰიტცფელდის ბოლო სიტყვები (ვიცი, რომ ფანებს ჩემი დარჩენა ძალიან უნდათ. მაპატიეთ, მაგრამ უნდა წავიდე) საკმაოდ დამაჯერებელი იყო. ვერ გეტყვით, დააფიქრა თუ არა ოტმარი „რეალის" გაგდებამ თავისი გადაწყვეტილების სისწორეში, ფაქტი კი ის არის, რომ „ბაიერნს" მომავალი სეზონიდან ჰიტცფელდი აღარ უხელმძღვანელებს.

ჩვენი გერმანელი კოლეგების აზრით, ახლა მთავარი ის არის, თუ როგორ იმუშავებენ ბავარიული გრანდის ბოსები – ვიცე-პრეზიდენტი **კარლ-ჰაინც რუმენიგე** და მენეჯერი **ული ჰიონესი**. მიმომხილველები ფიქრობენ, რომ თუკი ჰიონესი და რუმენიგე მოინდომებენ, ჰიტცფელდს მაინც დაიყოლიებენ. ცხადია, ბევრი რამ იქნება დამოკიდებული „ბაიერნის" მომდევნო მატჩებზეც – იქნებ რეკორდმაისტერი ჩემპიონთა ლიგაში კიდევ უფრო შორს წავიდეს. ფაქტია, რომ ჰიტცფელდს უფრო მეტი უნდა, როგორც სამომავლო პერსპექტივის თვალსაზრისით, ასევე ამ სეზონშიც. მაგალითად, ჩემპიონთა ლიგის ფინალში გასვლა, ან სულაც გერმანიის ჩემპიონობა, რაც ორი კვირის წინ წარმოუდგენელი გახლდათ, ახლა კი საკმაოზე მეტად რეალურია.

თუ არა და ოტმარის პოტენციური შემცვლელი **ჟერარ ულიეა**. ამ უკანასკნელის სახელი და გვარი „ბაიერნთან" პირველად როდი გაისმის - ჰიონესი და რუმენიგე ულიეზე ჯერ კიდევ მაშინ ფიქრობდნენ, როცა **ფელიქს მაგათის** გათავისუფლების შესახებ იღებდნენ გადაწყვეტილებას. „კიკერი" წერს, ულიე ჰიტცფელდის შეცვლის ნომერი პირველი კანდიდატიაო. თანაც, ჟერარის „ლიონი" ჩემპიონთა ლიგას უკვე გამოეთიშა და სულაც არ იქნება გასაკვირი, ჟერარმა წასვლა რომ მოინდომოს. „კიკერი" იმასაც გვამცნობს, რომ ულიე „ბაიერნში" მუშაობით დაინტერესებულია. ასე რომ, არ გაგიკვირდეთ, სულ მალე ჰიონესმა და რუმენიგემ ფრანგი სპეციალისტი „ბაიერნის" ახალ მწვრთნელად რომ გამოაცხადონ.

ამასობაში რეკორდმაისტერის შეფებმა **ანდრეას გიორლიტცის** კონტრაქტზე დაიწყეს მუშაობა. 25 წლის მარჯვენა მცველს, რომელიც „იუვენტუსისკენ" გეზაღებული **ჰასან სალიჰამიჯიჩის** პირველი ალტერნატივაა, „ბაიერნთან" კონტრაქტი 1 ივლისს უმთავრდება. მოლაპარაკებები ჯერ არ გამართულა, მაგრამ ტენდენცია იქითკენ მიდის, რომ გიორლიტცი ახალ ხელშეკრულებას გააფორმებს.

ამას გარდა, „ესტუდიანტესის" 21 წლის ფლეიმეიქერ **ხოსე ერნესტო სოსასთან** კონტრაქტის გაფორმების შემდეგ, ჰიონესმა და რუმენიგემ აქცენტი ისევ **ლუკა ტონიზე** გადაიტანეს. არაერთხელ ვიუწყებოდით, რომ „ბაიერნს" იტალიელი ბომბარდირის გადაბირება ძალიან უნდა. როგორც ირკვევა, ტონის ფლორენციული კლუბის დატოვება 10 მილიონ ევროზე ნაკლების საფასურად შეუძლია. სწორედ ასეთი გარანტია მიუცია „ფიორენტინის" პრეზიდენტ **დელა ვალეს** ტონისთვის გასულ ზაფხულს, რათა ამ უკანასკნელს „ინტერში" გადასვლაზე უარი ეთქვა და ფლორენციაში დარჩენილიყო. „ბაიერნის" გარდა ტონისთვის „მილანი", „იუვენტუსი" და „რეალი" იბრძვიან. „კიკერის" ცნობით, რეკორდმაისტერის სასურველ ფეხბურთელთა სიაში რჩება ჩელსელი **არიენ რობენიც**.

**გოტფრიდ ლენცი**

დორტმუნდი. ტრანსფერები

# ბილდი: მეტცელდერი რეალში მიდის

## კრისტოფმა სამეფო გუნდში უკვე სამედიცინო შემოწმებაც გაიარაო...



კრისტოფ მეტცელდერი

გუშინ „ბილდმა" სენსაციური ინფორმაცია გაავრცელა. ხსენებული გამოცემა წერდა, რომ დორტმუნდის „ბორუსიისა" და გერმანიის ნაკრების მცველი **კრისტოფ მეტცელდერი**, რომელსაც BVB-სთან კონტრაქტი სეზონის ბოლოს უმთავრდება, ახალი ხელშეკრულების გაფორმებას კი არ აპირებს, ზაფხულიდან მადრიდის „რეალის" ღირსებას დაიცავს. „ბილდი" საიდუმლო წყაროზე დაყრდნობით წერს, რომ 26 წლის მცველმა, რომელსაც ბუნდესლიგაში 117 თამაში აქვს ჩატარებული (2 გოლი), მადრიდულ გრანდში უკვე სამედიცინო შემოწმებაც გაიარა და „რეალის" ხელმძღვანელებს ოთხწლიან კონტრაქტზე მოურიგდა. თუ ეს მართალია, ცხადია, რომ მადრიდელებს მეტცეს სანაცვლოდ ერთი ცენტის გადახდაც კი არ მოუწევთ. „ბილდი" წერს, რომ მეტცელდერი სამშაბათს მიუნხენში ჩავიდა და „რეალის" ბოსებთან (მადრიდელები ოთხშაბათს „ბაიერნს" ხვდებოდნენ) დასკვნითი მოლაპარაკებები გამართა. „ბორუსია" ახალი კონტრაქტის გაფორმების შემთხვევაში მას წლიურად 2 მილიონ ევროს სთავაზობდა, „რეალში" კი 4 მილიონს მიიღებსო, წერენ ჩვენი ბილდელი კოლეგები.

კრისტოფის მრჩეველი **იორგ ნოიბაუერი** მადრიდელებთან შეთანხმებას ჯერჯერობით არ ადასტურებს, ტრანსფერი გადაწყვეტილი რომ იყოს, აუცილებლად გავახმაურებდითო. თუმცა ისიც ფაქტია, რომ როცა „ბილდი" ასეთ ინფორმაციებს წინასწარ ავრცელებს, ცნობა ყოველთვის მართლდება ხოლმე. მაგრამ მეტცელდერთან საბოლოო შეთანხმება უარყო „რეალის" სპორტულმა დირექტორმა **ფრანკო ბალდინიმაც**, რომელმაც განაცხადა: *„კრისტოფი ძალიან კარგი ფეხბურთელია და არ უარვყოფ, რომ მას დიდი ხანია ვაკვირდებით. მაგრამ ჩვენ იმდენ ფეხბურთელს ვაკვირდებით, რომ ყველა თუ ვიყიდეთ, სამ კარგ გუნდს გავაკეთებთ."* ფაქტი ის გახლავთ, რომ „რეალს" დაცვაში კვლავ პრობლემები აქვს და უმაღლესი კლასის უკანახაზელი სჭირდება. მით უმეტეს, რომ იმედები ბოლომდე ვერც **ფაბიო კანავარომ** გაამართლა.

თუ მეტცელდერი „რეალში" გადავა, ის მე-6 გერმანელი ფეხბურთელი გახდება, რომელიც „სამეფო გუნდის" მაისურას მოირგებს. თავის დროზე მადრიდულ კლუბში თამაშობდნენ **გიუნტერ ნეტცერი, პაულ ბრაიტნერი, ული შტილიკე, ბერნდ შუსტერი** და **ბოდო ილგნერი**.

■ ■ ■

ამასობაში „ბორუსიამ" მომდევნო სეზონისთვის მორიგი ფეხბურთელი გადაიბირა. გუშინ საბოლოოდ დადასტურდა, რომ მეორე ბუნდესლიგაში მოასპარეზე და ელიტაში გადმოსვლისთვის გამზადებული „კარლსრუეს" იტალიელი ნახევარმცველი **ჯოვანი ფედერიკო** ზაფხულიდან „დორტმუნდის" ღირსებას დაიცავს. 26 წლის ფორვარდმა, რომელსაც მიმდინარე სეზონის 24 თამაშში 13 გოლი აქვს გატანილი და მეორე ბუნდესლიგის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირია, BVB-სთან 3 წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. ვესტფალიელებს ფედერიკოს სანაცვლოდ 1 ცენტიც კი არ გადაუხდიათ, რადგან ამ უკანასკნელს „კარლსრუესთან" კონტრაქტი უმთავრდება. ფედერიკო მომავალი სეზონისთვის „დორტმუნდის" რიგით მეორე შენაძენია. როგორც იცით, ცოტა ხნის წინ შავ-ყვითლებმა ხელშეკრულება პოლონელ ტალანტ **იაკუბ ბლაჟჩიკოვსკისაც** გაუფორმეს.

**გოტფრიდ ლენცი**

### რომამ ახალი კონტრაქტების ფული იშოვნა

ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გასვლით "რომამ" 5 მილიონი ევრო იშოვა. "კორიერე დელა სერა" იუწყება, რომ "ჯალოროსი" ამ თანხას წამყვანი ფეხბურთელების, **კრისტიან კივუს, ფილიპ მექსესა** და **ამანტინო მანსინის** ახალ კონტრაქტებში დახარჯავს. რომაელები შეტევის გაძლიერებასაც აპირებენ. მათ "პარმისა" და "უდინეზეს" თავდამსხმელები, **იგორ ბუდანი** და **ანტონიო დი ნატალე** სურთ.

### ალბელდა ვალენსიიდან მიდის?

"ვალენსიის" კაპიტანმა **დავიდ ალბელდამ** კლუბთან ახალი კონტრაქტი გაფორმებაზე უარი განაცხადა. ის შეთავაზებულმა ხელფასმა არ დააკმაყოფილა. ალბელდას გარშემო შექმნილ სიტუაციას თვალყურს ადევნებს "ბარსელონა". ამასობაში, "ღამურები" ხეტაფელი მცველის, **ალექსის** ტრანსფერზე იწყებენ მუშაობას. ეს ბიჭი მადრიდის "რეალსაც" სურს. ალექსი 6 მილიონი გირვანქა ღირს. "ვალენსია" მზადაა, თანხის გარდა ორი სარეზერვო მოთამაშე, **დავიდ ნავარო** და **პაბლო ერნანდესიც** დათმოს.

### ვის აირჩევს იუვენტუსი?

**მაჰამადუ დიარა** მზადაა, "იუვენტუსში" წავიდეს. "ტუტოსპორტის" ცნობით, მალელი ნახევარმცველი მადრიდიდან მიემგზავრება. ტურინელებს კი კვალიფიციური საყრდენი ნახევარმცველი სჭირდებათ. მოლაპარაკებები ვერდერელ **ტორსტენ ფრინგსთან** უშედეგოდ დასრულდა. დიარას გარდა, ლიონელი **ტიაგოს** კანდიდატურაც განიხილება.

### ვეშტერმანი შალკეში!

„შალკეს" მენეჯერი **ანდრეას მიულერი** აცხადებს, რომ უკვე შეუთანხმდა ბილეფელდის „არმინიის" მცველ **ჰაიკო ვეშტერმანს** და რომ ეს ფეხბურთელი მომავალი სეზონიდან გელზენკირხენული კლუბის ღირსებას დაიცავს. თუმცა მხარეები ჯერ არ შეთანხმებულან სატრანსფერო თანხაზე. „კიკერის" ცნობით „შალკეს" ვეშტერმანის სანაცვლოდ დაახლოებით 2 მილიონი ევროს გადახდა მოუწევს. 23 წლის ვეშტერმანს ბუნდესლიგაში 57 თამაში აქვს ჩატარებული (3 გოლი).

არსენალი

# ანრი ისვენებს

## ეტოოს ქვირია, ლონდონელები მხოლოდ პიკიონს შესწვდებიან...

**ტიერი ანრი** ისევ დაშავდა და იძულებითი შვებულება გამოიწერა. ფრანგმა თავდამსხმელმა "ეინდჰოვენთან" განმეორებით მატჩში მხოლოდ 24 წუთი ითამაშა, მაგრამ ეს დროც საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ მას მუცლის პრესისა და საზარდულის ტრავმები მიეღო. **არსენ ვენგერმა** ის ძირითადში არ დააყენა. მიზეზი დაშავებული მუხლი იყო, რომელზეც ტიერიმ მთელი კვირის განმავლობაში ინტენსიურად იმკურნალა. მწვრთნელის სიფრთხილე ამაო გამოდგა. ვენგერი ამბობს, რომ მის შეგირდს რამდენიმე კვირა გაუცდება. ანრის უიღბლო სეზონი გამოუვიდა. "არსენალს" კი მძიმე პერიოდი უდგას. ათი დღის წინ "მეთოფეებმა" "ჩელსისთან" ლიგის თასის ფინალში წააგეს. გასულ უქმეებზე "ბლექბერნთან" გადათამაშებაშიც ვერაფერს გახდნენ და ასოციაციის თასიც გვერდზე დარჩათ. და აი, ჩემპიონთა ლიგაც შარშანდელის ფინალისტების გარეშე გაგრძელდება. აღარაფერს ვამბობთ პრემიერლიგაზე, სადაც "არსენალს" ლიდერი "მანჩესტერ იუნაიტედისაგან" 20 ქულა აშორებს.

ლიგიდან გავარდნა იმას ნიშნავს, რომ ვენგერსა და კომპანიას ამბიციურ ტრანსფერებზე უარის თქმა მოუწევთ. **სამუელ ეტოო**, როგორც ჩანს, "ემირიტს სთედიუმზე" არ ითამაშებს. სამაგიეროდ, "მეთოფეები" მონაკოელ თავდამსხმელ **ფრედერიკ პიკიონს** მიიწვევენ. პიკიონი საკმაოდ იაფი დაჯდება. ის პრინსიპატულ კლუბში იანვრის ფანჯრისას "სენტ ეტიენიდან" გადავიდა. ფრედერიკის ხელში ჩაგდება "ნიუკასლსაც" სურს.

მანჩესტერ იუნაიტედი

# კრისტიანოს ახალი კონტრაქტი

## პრობლემები თავდასხმაში: საა ერთი თვე დაისვენებს, სოლსკიაერი მკურნალობს, ლარსონი კი შინ ბრუნდება

**კრისტიანო რონალდო** "მანჩესტერ იუნაიტედთან" კონტრაქტის გაგრძელებას აპირებს. "ლილთან" განმეორებითი მატჩის შემდეგ პორტუგალიელმა ვარსკვლავმა მიმომხილველებს აუწყა, რომ მოლაპარაკებები დასასრულს უახლოვდება. იქვე რონალდომ კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ კარიერის გარკვეულ ეტაპზე ესპანეთში გადაბარგება სურს: *"იმედია, უმოკლეს დროში შევთანხმდებით. მანჩესტერში დარჩენა მინდა. ყველამ იცის, რომ ესპანეთი ძალიან მომწონს, მაგრამ დღეს ესპანეთზე არ ვფიქრობ. იქ შეიძლება ორი, სამი ან ხუთი წლის შემდეგ წავიდე. მანამდე კი "იუნაიტედში" ვითამაშებ. მე დიდი კლუბის წევრი ვარ."*

რონალდოს მოქმედი შეთანხმება 2010 წელს უმთავრდება, მაგრამ ესპანური გრანდების დაინტერესების გამო "მანჩესტერმა" თავის დაზღვევა გადაწყვიტა. კრისტიანო "ოლდ ტრეფორდზე" 2003 წელს, ლისაბონის "სპორტინგიდან" 12 მლიონ გირვანქად გადავიდა. მან თავდაპირველად 2008 წლამდე გააფორმა ხელშეკრულება. 2005 წლის ნოემბერში ის ორი წლით გაახანგრძლივა და აი, დღის წესრიგში ისევ მისი პირობების გადახედვა დგას. ფეხბურთელმა პრემიერლიგის მიმდინარე გათამაშებაში 16 გოლი შეაგდო და მხოლოდ ორი ბურთით ჩამორჩება ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირ **დიდიე დროგბას**.

ამასობაში, "იუნაიტედს" ფრანგი თავდამსხმელი **ლუის საა** გამოაკლდა. "ლილთან" მატჩის წინა დღეს, ვარჯიშზე, საამ მუხლის მყესი დაიზიანა და ერთი თვით ჩამოშორდა მინდორს. 28 წლის საამ ამ სეზონში ყველაზე ტურნირზე 32 მატჩი ჩაატარა და 13 გოლი შეაგდო. მისი ტრავმა "მენიუს" დიდ პრობლემებს შეუქმნის. **ჰენრიკ ლარსონი**, რომელიც იანვრის ტრანსფერებისას მის შემცვლელად გადაიყვანეს, "ჰელსინგბორგში" ბრუნდება. ნორვეგიელმა ვეტერანმა **ოლე გუნარ სოლსკიაერმა** კი მუხლის ოპერაცია გაიკეთა და მარტის ბოლომდე ვერ ითამაშებს. "მანჩესტერი" პრემიერლიგას 9 ქულით ლიდერობს და ამ უქმეებზე, ასოციაციის თასის მეოთხედფინალში "მიდლსბროს" ეთამაშება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩები

# მაგიური 11 წამი!

## ბერლუსკონი: ახლა უკვე სუპერფავორიტები ვართ














**ბაიერნი-რეალი 2:1 (2:3)**

**ბაიერნი:** კანი, სანიოლი (85. გიორლიტცი), ლუსიო, ვან ბუიტენი, ლამი, სალიჰამიჯიჩი, ვან ბომელი, ჰარგრივზი, შვაინშტაიგერი, მაკაი (69. პისარო), პოდოლსკი (88. დემიკელისი).

**რეალი:** კასილიასი, რობერტო კარლოსი, ივან ელგერა, სერხიო რამოსი, ტორესი, მ. დიარა, ემერსონი (32. გუტი), გახო (75. რობინიო), იგუაინი (46. კასანო), რაული, ვან ნისტელროი.

**გოლები:** მაკაი (1), 2:0 ლუსიო (66), 2:1 ვან ნისტელროი (83-პენ)

**გაძევება:** ვან ბომელი (82. ბაიერნი), დიარა (82. რეალი)

**მაყურებელი:** 66 000

**არბიტრი:** ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)

თამაშის წინ **ოლივერ კანმა** „ბაიერნის“ გულშემატკივრებს მოუწოდა, „ალიანს არენაზე“ „რეალს“ ჯოჯოხეთი უნდა დავახვედროთო. ფანებმა ოლის ეს თხოვნა შესანიშნავად შეასრულეს – მიუნხენის გრანდიოზული საფეხბურთო არენა დუღდა! 66 000 ქომაგი მთელი მატჩის განმავლობაში ერთ რიტმში სუნთქავდა და ერთ მთლიანობას წარმოადგენდა. მატჩის დაწყებამდე მოგვეცა საშუალება, თვალი გვედევნებინა ამ მთლიანობისთვის, წმინდა საფეხბურთო ატმოსფეროსთვის და ალბათ, იმ მომენტში, ბევრს უგრძნო გულმა, რომ „რეალი“ განწირული იყო.

11 წამი - აი, სულ ამდენი დასჭირდა „ბაიერნს“ ანგარიშის გასახსნელად. რეკორდიცაა და რეკორდიც - ეს კი წარმოუდგენელად მცირე დროა იმისათვის, რომ გოლი გაიტანო, თანაც ასეთ მატჩში. **როი მაკაიმ** არსენალელი **ჟილბერტო სილვას** რეკორდი (20 წამი) 9 წამით გააუმჯობესა და, ალბათ, დაგვეთანხმებით, რომ ამაზე სწრაფი გოლის გატანა უკვე თითქმის წარმოუდგენელია.

ახლა ერთი წუთით წარმოიდგინეთ, თუ რამდენ ხანს უხსნიდა **ფაბიო კაპელო** თავის შეგირდებს იმ ტაქტიკასა და სტრატეგიას, რომლითაც მადრიდელებს მიუნხენში სასურველი შედეგისთვის უნდა მიეღწიათ. მართალია, საბოლოოდ მაინც ვერ გავიგეთ, აირჩია თუ არა იტალიელმა მწვრთნელმა დაცვითი ტაქტიკა, რადგან მატჩის დაწყებიდან 11 წამში „სამეფო გუნდისთვის“ ყველაფერი თავდაყირა დადგა, მაგრამ ალბათობა იმისა, რომ „დონ ფაბიომ“ შეგირდებს კარის უსაფრთხოებაზე ზრუნვა უფრო დაავალა, ვიდრე გოლის გატანის მცდელობა, ძალიან დიდია. ასეა თუ ისე, ფაქტი ის გახლავთ, რომ კაპელომ და კომპანიამ 11 წამში ცივი შხაპი მიიღეს. მათი თითოეული გათვლა, შემუშავებული სტრატეგია 11 წამში ჩაიფუშა და აზრი დაკარგა.

თამაში მადრიდელებმა დაიწყეს და სწორედ ეს გამოდგა მათი უბედურება. „რეალის“ თავდამსხმელებმა ბურთი **გახოს** დაუგორეს, რომელმაც ბურთი, რა თქმა უნდა, მშვიდად მიიღო და გადაწყვიტა, მარცხივ, **რობერტო კარლოსისთვის** გადაეწოდებინა. გახოს პასი ნელი და უხიფათო გახლდათ, მაგრამ არა ბრაზილიელისთვის. კარლოსს ბურთი ოდნავ გვერდით გაუხტა, რითაც **ჰასან სალიჰამიჯიჩმა** ისარგებლა. ბოსნიელი ძალიან სწრაფია, მაგრამ მაინც გასაკვირია, რომ კარლოსისგან საკმაოდ შორს მდგარი, მყისვე ბრაზილიელთან გაჩნდა, ბურთი პატარა ბავშვივით წაართვა და გარღვევა წამოიწყო. ამასობაში მაკაიც ფხიზლად გახლდათ - ჰოლანდიელმა **იკერ კასილიასის** კარისკენ დაიწყო მოძრაობა. „რეალის“ დაბნეულმა მცველებმა მას ჯეროვანი ყურადღება ვერ მიაქციეს და „ბრაცოს“ გამოზომილი, უზუსტესი პასიც ჰოლანდიელმა გოლით დააგვირგვინა.

მოვლენების ასეთ განვითარებას არავინ რომ ელოდა, ამაზე ლაპარაკი არც ღირს. მაკაის გოლისა და სიხარულის შემდეგ რეჟისორმა **ოტმარ ჰიტცფელდი** გვიჩვენა – „გენერლის“ სახეზე ყველაზე დიდი დოზით გაკვირვება გამოიხატა, გაკვირვება და, რა თქმა უნდა, ბედნიერება. ჰიტცფელდის შემდეგ რეჟისორმა კაპელოს სახეც გვიჩვენა – კლდეს დაანგრევდა თავით, ისეთი სახე ჰქონდა „რეალის“ მწვრთნელს.

ჩემპიონთა ლიგის უსწრაფესმა გოლმა „რეალი“ შოკში ჩააგდო და ბავარიელებს ოდნავ მეტი სიმტკიცითა და სიმძაფრით რომ შეეტიათ, ალბათ, კიდევ გაიტანდნენ. ყოველ შემთხვევაში, შოკირებული „რეალის“ დასჯის საშუალება ჰქონდათ, მაგრამ თვითონ მიუნხენელებიც ველარ ხვდებოდნენ, შეეტიათ თუ არა. მერე მადრიდული გუნდი ნელნელა გონს მოვიდა და თამაშიც დალაგდა. მოუმატა თუ არა „რეალმა“, „ბაიერნმაც“ მეტი სიმწვავე შესძინა თავის თამაშს და, უნდა ითქვას, რომ მიუნხენური გიგანტი უფრო ახლოს იყო მეორე გოლის გატანასთან, ვიდრე „სამეფო გუნდი“ ანგარიშის გათანაბრებასთან. ხოლო ის, რომ რეკორდმაისტერმა ანგარიში ორამდე ვერ გაზარდა, კასილიასის დამსახურება გახლდათ, რომელმაც 21-ე წუთზე **ლუკას პოდოლსკის** დარტყმა მოიგერია, 27-ე წუთზე კი მასთან პირისპირ გასულ მაკაისაც აუღო. 38-ე წუთზე მადრიდელთა საჯარიმოში ჩასულ **დანიელ ვან ბუიტენსაც** შეეძლო კასილიასის დამწუხრება, მაგრამ აყლაყუდა მცველსაც სამეფო გუნდის კარის დარაჯი აღუდგა წინ. „რეალმა“ კი მომენტები მხოლოდ პირველი ტაიმის ბოლო წუთებზე შექმნა: **ოლივერ კანს ვან ნისტელროი**, შეცვლაზე შესული **გუტი, რაული** და **რობერტო კარლოსი** დაემუქრნენ, მაგრამ უშედეგოდ.

მეორე ტაიმიც ზუსტად ისე დაიწყო, როგორც პირველი: „ბაიერნს“ ისევ თითქმის 100 პროცენტიანი საგოლე მომენტი შეექმნა. კასილიასის კარის დალაშქვრა ამჯერად **მარკ ვან ბომელს** მართებდა, მაგრამ ვერ ივარგა. მერე კი იყო **ანტონიო კასანოსა** და ისევ ვან ნისტელროის მომენტები, ამ უკანასკნელს კანმა სასწაულებრივ ნახტომში აუღო. 66-ე წუთზე კი მიუნხენელებმა მეორე გოლი გაიტანეს: **სანიოლის** კუთხურს **ლუსიო** გამოეხმაურა და 10 მეტრიდან ბურთი თავით კასილიასის კარში ჩააჭედა. დიახ, სწორედ ლუსიო, რომელმაც მადრიდში პირველი გოლი გაუტანა „რეალს“. ბრაზილიელმა მცველმა გოლი დიდხანს იზეიმა, ბურთი მაისურის ქვეშ ამოიდო, ცერა თითი კი პირში იტაკა, რითაც ორსული ქალი და პატარა ბავშვი განასახიერა – მისი მეუღლე მესამე შვილს ელოდება და...

მაშ ასე, 2:0 და „ბაიერნი“ ცალი ფეხით უკვე მეოთხედფინალში გახლდათ. **ული ჰიონესი** და ჰიტცფელდი დიდხანს ეხუტებოდნენ ერთმანეთს. მაგრამ „რეალმა“ ადუღებული „ალიანს არენა“ მაინც აანერვიულა. ლუსიომ **რობინიოს** წინააღმდეგ საკუთარ საჯარიმოში წესები დაარღვია და დაინიშნა პენალტი, რომლის შესასრულებლადაც ვან ნისტელროი მოემზადა. მაგრამ სანამ დაარტყამდა, ვან ბომელი და **დიარა** უაზროდ წაკინკლავდნენ, რასაც ორივე მათგანის გაძევება მოჰყვა (ვან ბომელი მეოთხედფინალის პირველ მატჩს გამოტოვებს). ვან ნისტელროიმ თერთმეტმეტრიანი ზუსტად შეასრულა (83-ე წუთი) და "რეალს" იმედი დაუბრუნა. მერე კი იყო ერთი წამი, როცა ყველამ ვიფიქრეთ, რომ მადრიდელებმა წონასწორობა აღადგინეს, მაგრამ მსაჯმა **სერხიო რამოსს** გოლი არ ჩაუთვალა, რადგან ამ უკანასკნელს დარტყმამდე ბურთი ხელზე მოხვდა.

„რეალმა“ ეს ფიასკო თავის თავს უნდა დააბრალოს. პირველ რიგში იმის გამო, რომ მადრიდელებმა პირველ შეხვედრაში ფაქტობრივად გოლი აჩუქეს მიუნხენელებს. "სანტიაგო ბერნაბეუზე" „რეალს“ 3:1 უნდა მოეგო და ბოლოს ყრუ დაცვაში რომ არ ჩამჯდარიყო (თანაც, „რეალს“ ეს არასდროს ეხერხებოდა), მადრიდელები მეორე ბურთს ალბათ არ გაუშვებდნენ. როგორც ხედავთ, ამ წყვილის ბედი მეტწილად სწორედ ვან ბომელის იმ ერთმა გასროლამ გადაწყვიტა, გოლმა არსაიდან. გერმანიაში კი დიდი ზეიმია: ჩვენი ალემანი კოლეგები წერენ, „ბაიერნს“ არავისი აღარ უნდა ეშინოდესო. მოკლედ ზუსტად ისე, როგორც ეს „რეალის“ კალიბრის გუნდების გაგდების შემდეგ ხდება ხოლმე. ფაქტია, რომ „ბაიერნმა“ ამ სეზონში საუკეთესო თამაში ყველაზე მნიშვნელოვან შეხვედრაში აჩვენა, რაც უდავოდ დასაფასებელია.

**ოტმარ ჰიტცფელდი:** *„მადრიდში ჩატარებულმა თამაშმა აღმაფრენა და მოტივაცია შეგვმატა, რაც ბუნდესლიგაში ჩვენ მიერ გამართულ შეხვედრებშიც აისახა. დღევანდელი გამარჯვება კიდევ უფრო გაგვაძლიერებს და ამაში მალე დარწმუნდებით. ჩვენი მიზანი ის გახლდათ, რომ უპირატესობა მოგვეპოვებინა და შემტევი ფეხბურთი გვეთამაშა, რასაც მივაღწიეთ კიდეც. დიდი მადლობა ფეხბურთელებს, მათ დღეს ფასდაუდებელი სამუშაო გასწიეს.“*

**ფაბიო კაპელო:** *„სწრაფმა გოლმა ყველაფერი თავდაყირა დააყენა და შოკში ჩაგვაგდო. ის რობერტო კარლოსის ძალიან უხეშ შეცდომას მოჰყვა. ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნა, რა თქმა უნდა, ძალიან უსიამოვნოა, მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ „ბაიერნს“ ორი მატჩის ჯამში 4 გოლი გავუტანეთ.“*

**არსენალი-პსვ 1:1 (0:1)**

**არსენალი:** ლემანი, კოლო ტურე, ჟილბერტო სილვა, გალასი, კლიში (85. უოლკოტი), გლები, ფაბრეგასი, დენილსონი, ლიუნგბერგი (76. დიაბი), ადებაიორი, ჟულიო ბაპტიშტა (66. ანრი).

**ეინდჰოვენი:** გომეში, ფეჰერი, ალექსი, სალსიდო, სუნ სიანი, სიმონსი, მენდესი (90+2. ვაირინენი), კულინა, კოკუ, ა. კონე (41. აფელეი), ფარფანი (89. ადო).

**გოლები:** 1:0 ალექსი (58-საკ. კარში), 1:1 ალექსი (83)

**მაყურებელი:** 65 000

**არბიტრი:** ალენ ჰამერი (ლუქსემბურგი)

ჩემპიონთა ლიგას გასული სეზონის მეორე ფინალისტიც გამოემშვიდობა. "ბარსელონის" დარად მერვედფინალური ბარიერი "არსენალისთვისაც" გადაულახავი აღმოჩნდა. რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, "მეთოფეებმა" პსვ-ს განმეორებით პაექრობაში ვერ აჯობეს და ყველაზე პრესტიჟულ ევროტურნირში ასპარეზობა შეწყვიტეს. არადა, ლონდონელები უდავო უპირატესობას ფლობდნენ.

**არსენ ვენგერმა** ყველა პროგნოზის საწინააღმდეგოდ, **ტიერი ანრი** სათადარიგოთა სკამზე დასვა. ფრანგ სუპერვარსკვლავს თამაშამდე რამდენიმე დღით ადრე მიკროტრავმა აწუხებდა, თუმცა ექიმები ფიქრობდნენ, რომ ტიერი 90-წუთიან დატვირთვასაც გაუძლებდა. მიუხედავად ამისა, ის ძირითადში ვერ მოხვდა. თამაში კი საკმაოდ მაღალ ტემპში დაიწყო. საწყისი 15 წუთის განმავლობაში ორივე გუნდი ენერგიულად ასპარეზობდა. "არსენალს", რომელსაც ერთბურთიანი ჰანდიკაპი ჰქონდა ამოსაქაჩი უფრო მონდომებულად გამოიყურებოდა. პირველი საგოლე მომენტი **კოლო ტურემ** შექმნა. სხვათა შორის, ის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური ფეხბურთელი გახლდათ. "მეთოფეების" გამოხდომას სტუმრებმა მოგვიანებით უპასუხეს. მოვლენათა ეპიცენტრში **ჯეფერსონ ფარფანი** მოექცა. პერუელი ფორვარდი **იენს ლემანთან** პირისპირ გავიდა, მაგრამ არ გაუმართლა და უაღრესად ხელსაყრელი პოზიციიდან ანგარიშის გახსნა ვერ შეძლო. შემდეგ **ადებაიორმა** ცადა ბედი, თუმცა მასაც ხელი მოეცარა. ლონდონელის დარტყმას ჰოლანდიელთა გოლკიპერი **გომესი** გადელობა. მე-20 წუთისთვის "არსენალი" სრულ უპირატესობას დაეუფლა. მასპინძლები მოწინააღმდეგის საჯარიმოს გაუშინაურდნენ, მაგრამ დამაგვირგვი-











ნებელ ფაზაში ვერ ვარგოდნენ. ერთი სიტყვით, არსენ ვენგერის შეგირდები კარში ზუსტად დარტყმას ვერა და ვერ ახერხებდნენ. არადა, იმავე ადებაიორს, **სესკ ფაბრეგასსა** და **ჟულიო ბაპტიშტას** 100-პროცენტიანი მომენტები ჰქონდათ. პსვ-მ საშინელ შემოტევას გაუძლო და მოგვიანებით, თამაში მოედნის ცენტრში გადაიტანა. დრო და დრო ჰოლანდიელები სახიფათო კონტრ-იერიშებსაც აწყობდნენ. **ალექსმა** და **კოკუმ** ლემანი გვარიანად ანერვიულეს. მასპინძლები მიხვდნენ, რომ დაცვაში მეტი ყურადღებით თამაში მართებდათ. მათ ინიციატივა კვლავ ხელთ იგდეს და ისევ დიდი ძალებით შეუტიეს. გომესს რამდენიმე რთული დარტყმის მოგერიება მოუხდა.

მეორე ტაიმში "არსენალი" თავდასხმაში კიდევ უფრო აგრესიული გახდა. მათ სულ რაღაც 45 წუთი რჩებოდათ იმისთვის, რომ ორი მატჩის ჯამში წონასწორობა აღედგინათ. გამარჯვების გოლი კი, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო მეტ ძალისხმევას მოითხოვდა. მოკლედ, "მეთოფეები" საქმეს მთელი სერიოზულობით მოეკიდნენ და "ეინდჰოვენი", ფაქტობრივად, საკუთარ საჯარიმოს მიაჯაჭვეს. ჰოლანდიელები რის ვაი-ვაგლახით ახერხებდნენ იერიშების მოგერიებას. რამდენიმე სახიფათო სიტუაციის განმუხტვის შემდეგ სტუმრებმა მიუტევებელი შეცდომა დაუშვეს. 58-ე წუთზე ბრაზილიელმა ალექსმა ბურთი საკუთარ კარში გადაგზავნა. "ემირიტსზე" შეკრებილმა გულშემატკივრებმა ავტოგოლით უზომოდ გაიხარეს. მათ ირწმუნეს, რომ მეორე ბურთის შეგდება და მეოთხედფინალის საგზურის მოპოვებაც შეიძლებოდა. ბუნებრივია, ფეხბურთელებიც ასევე ფიქრობდნენ. სხვათა შორის, ზუსტად ერთ წუთში სესკ ფაბრეგასმა ფანტასტიკური მომენტი ვერ გამოიყენა. ესპანელ ნახევარმცველს სიზუსტემ ოდნავ უმტყუნა.

მოწინააღმდეგეზე ზეწოლის გაძლიერების მიზნით, ვენგერმა ბაპტიშტა თამაშიდან მოხსნა და მის ნაცვლად ტიერი ანრი შეუშვა. დიდი ფორვარდის გამოჩენას ფანების ყიჟინა მოჰყვა. ყველა დარწმუნებული გახლდათ, რომ მეორე გოლი მხოლოდ დროის საკითხი იყო. ანრი რამდენიმე წამის შესული იყო, როცა ბრწყინვალედ დაარტყა. გომესმა ბურთი უდიდესი თავგანწირვის ფასად მოიგერია. გულშემატკივრები ძალიან საინტერესო შეხვედრას ადევნებდნენ თვალ-ყურს, მაგრამ ყველაზე დრამატული მონაკვეთი მათ ჯერაც წინ ელოდათ. საფინალო სასტვენამდე შვიდი წუთით ადრე ალექსმა ცოდვა 100 პროცენტით გამოისყიდა. ბრაზილიელმა თავური დარტყმით ამჯერად არა საკუთარი, არამედ ლემანის კარი დალაშქრა და პსვ-ს მეოთხედფინალის საგზური აჩუქა.

არსენ ვენგერი, რა თქმა უნდა, ძალიან გულნატკენი და იმედგაცრუებული დარჩა: *"დასანანია, რომ ბრძოლას გამოვეთიშეთ. გულშემატკივრები ჩვენს გამარჯვებას ელოდნენ, მაგრამ მოლოდინი ვერ გავუმართლეთ. მიუხედავად იმისა, რომ ხარვეზები გვქონდა, წარუმატებლობას უიღბლობით ავხსნი. რამდენიმე შესაძლებლობა ვერ გამოვიყენეთ. იმედგაცრუებული ვართ. ჩემპიონთა ლიგიდან გამოვარდნა ჩვენთვის საშინელი დარტყმაა. დასამალი არაფერია, ამიტომ გულწრფელად ვსაუბრობ. ახლა, როცა მართლაც ძალიან დამწუხრებულები ვართ, ძნელია სრულყოფილი ანალიზის გაკეთება. ისღა დაგვრჩენია, გულშემატკივრებს ბოდიში მოვუხადოთ და მუშაობა გავაგრძელოთ. სამწუხაროდ, წლევანდელი სეზონი წარუმატებელი აღმოჩნდა. ყველა ჩვენგანი წუხს."*

სტუმართაგან ყველაზე გახარებული ალექსი ჩანდა. აი, რა განაცხადა შეხვედრის ორივე გოლის ავტორმა: *"როცა საკუთარ კარში შევაგდე, ნერვიულობისგან კინაღამ გული გამისკდა. საშინელება იყო. თანაგუნდელებმა მანუგეშეს და ძალების მოკრებისკენ მომიწოდეს. ვფიქრობ, დღეს ღმერთი ჩემ გვერდით იდგა. მან განსაცდელში არ მიმატოვა და საშუალება მომცა, რომ ჩემ მიერ ჩადენილი ცოდვა თავადვე გამომესყიდა. ანგარიშის გათანაბრებამ ისე გამაბედნიერა, რომ გრძნობების სიტყვებით გადმოცემა გამიჭირდება. ჩვენ მეოთხედფინალში ვართ. ვამაყობ, რომ პსვ-ს ღირსებას ვიცავ. მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთი უპირველესი გრანდი გამოვაგდეთ. "არსენალი" შარშანდელი ჩემპიონთა ლიგის ფინალისტი გახლდათ. ვგონებ, ამით ბევრი რამ არის ნათქვამი."*

**მანჩესტერი-ლილი 1:0 (1:0)**

**მანჩესტერი:** ვან დერ სარი, გ. ნევილი, რ. ფერდინანდი, ვიდიჩი, სილვესტრი, ქერიქი, სქოულზი, ო'ში, კრისტიანო რონალდო (82. რიჩარდსონი), ლარსონი (75. სმიტი), რუნი (82. ჟი-სუნ პარკი).

**ლილი:** სილვა, შალმე, ტავლარიდისი, პრესტანი, ტაფორო, მაკუნი, დუმონი (74. ფოვერგი), კეიტა, ობრანიაკი, ბასტოსი (46. დებუში), ოდემვინგი (74. მირალა).

**გოლი:** 1:0 ლარსონი (72)

**მაყურებელი:** 76 000

**არბიტრი:** ლუის მედინა კანტალეხო (ესპანეთი)

უცნაური სიტუაციაა, მაგრამ გამარჯვების გოლის ავტორს "ოლდ ტრეფორდზე" ყოფნის დრო ეწურება. **ჰენრიკ ლარსონთან** გაფორმებულ საიჯარო ხელშეკრულებას 12 მარტს გასდის ვადა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შვედი ფორვარდი ნისლიანი ალბიონიდან უნდა აიბარგოს და "ჰელსინგბორგში" დაბრუნდეს. ამის გათვალისწინებით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ვეტერანმა თავდამსხმელმა "წითელ ეშმაკებს" უკანასკნელი საჩუქარი გაუკეთა. გოლი მან **კრისტიანო რონალდოს** პასით შეაგდო. "იუნაიტედმა" "ლილი" მეორე შეხვედრაშიც მინიმალური ანგარიშით, 1:0 დაამარცხა. მართალია, მანჩესტერელი ფანები უფრო შთამბეჭდავ ანგარიშს ელოდნენ, თუმცა დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ამაზე ახლა არავინ წუხს. მთავარია, რომ **სერ ალექს ფერგიუსონის** ბიჭები მეოთხედფინალში გავიდნენ.

თამაშის დაწყების წინ ფავორიტის გამოვლენაზე აბსოლუტურად არავინ დავობდა. საფრანგეთში, **რაიან გიგზის** მიერ შეგდებული ბურთის შემდეგ ბრიტანულ გრანდს უკვე გამარჯვებულად მიიჩნევდნენ, თუმცა ისიც ცხადი იყო, რომ "იუნაიტედს" საპასუხო პაექრობა მაქსიმალური ყურადღებითა და კონცენტრაციით უნდა ჩაეტარებინა. ფეხბურთს სიურპრიზები ხომ ძალიან უყვარს.

სერ ალექს ფერგიუსონმა ტრადიციას არ უღალატა და ძირითად შემადგენლობაში ორი ფორვარდი დააყენა. შეტევის ხაზი მან **უეინ რუნისა** და ჰენრიკ ლარსონის ტანდემს მიანდო. მასპინძლებს ფლეიოფის ბედი საფრთხის ქვეშ ერთი წამითაც არ დაუყენებიათ. თამაშის მსვლელობას ისინი მთელი 90 წუთის განმავლობაში აკონტროლებდნენ. ოდნავ მეტი იღბლის შემთხვევაში კი "ლილი" შინ კიდევ უფრო დიდი ანგარიშით დამარცხებული დაბრუნდებოდა. ევროპელი მიმომხილველები ერთხმად აღნიშნავდნენ, ფრანგული კლუბი არ აღმოჩნდა იმ დონის, რომ ჩემპიონთა ლიგის საფლეიოფო სტადიაზე თამაში დაემსახურებინა. "ლილის" ჯგუფიდან გასვლა მათ დიდ მოულოდნელობად მონათლეს. მოკლედ, "წითელმა ეშმაკებმა" სტუმრებს ტყავი გააძრეს. მცველებს მუდმივი წნეხისა და დაძაბულობის ფანხლებით უწევდათ თამაში. ფრანგებს ერთადერთი არჩევანი ჰქონდათ, მათ მთელი ძალისხმევა შეტევისკენ უნდა მიემართათ, თუმცა თეორია თეორიად დარჩა, "ლილს" ღირებული არაფერი გაუკეთებია.

თავის მხრივ, "მანჩესტერი" სრულიად მშვიდად გამოიყურებოდა და გაცილებით სუსტ მეტოქეს ყოველგვარი ზედმეტი ძალისხმევის გარეშე უსწორდებოდა. ინგლისელები მოედნის ცენტრში იმას აკეთებდნენ, რაც მოეხასიათებოდათ. ზოგჯერ ტემპს უმატებდნენ, ზოგჯერ კი, პირიქით, საოცრად დაბალ რიტმში ასპარეზობდნენ. პირველ ტაიმში რუნიმ და ლარსონმა რამდენიმე კარგი მომენტი ვერ გამოიყენეს. გოლის გატანის შანსი **ო'შისაც** ჰქონდა, თუმცა არც მას გაუმართლა, ბურთი ძელს მოხვდა.

მეორე ტაიმში სიტუაცია ოდნავადაც არ შეცვლილა. "იუნაიტედი" მოედნის ბატონ-პატრონად რჩებოდა. ეს თამაში მათთვის ვარჯიშს უფრო ჰგავდა. "ლილს" ერთადერთი მეტ-ნაკლებად სახიფათო მომენტი ჰქონდა, მაგრამ **კლოდ პიუელის** შეგირდებმა შესაძლებლობა ვერ გამოიყენეს. ამასობაში, 72-ე წუთიც დადგა და მოხდა ის, რაც უკვე მოგახსენეთ. სამშობლოში დასაბრუნებლად გამზადებულმა ჰენრიკ ლარსონმა კრისტიანო რონალდოს მიერ წამოწყებული იერიში ეფექტური დარტყმით დააგვირგვინა. ამის შემდეგ "მანჩესტერმა" მოდუნების უფლება მისცა თავს. "ლილს" კი მდგომარეობის შესაცვლელად ძალა ისედაც არ ჰქონდა. ასე რომ, მასპინძლებმა სრულიად დამსახურებული გამარჯვება იზეიმეს.

სერ ალექს ფერგიუსონმა მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე ასეთი რამ განაცხადა: *"ბედნიერი ვარ, რომ მრავალი ტრავმის მიუხედავად, გუნდში არსებული სირთულეები თამაშზე არ ასახულა. ჩვენ უდავო უპირატესობას ვფლობდით. მოწინააღმდეგის დაკნინება არანაირად არ მსურს, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ მათი მხრიდან სერიოზულ წინააღმდეგობას არ წავწყდომივართ. "მანჩესტერი" შესანიშნავად გამოიყურებოდა. ახლა ბევრი ამბობს, რომ გუნდი ისევე კარგად თამაშობს, როგორც 1999 წლის სეზონში. შესაძლოა, ასეც იყოს, მაგრამ არ მინდა, რომ პარალელები ხშირად გავავლოთ. დღეს სულ სხვა ბიჭები თამაშობენ. მათ კონკრეტული ამოცანები აქვთ გადასაჭრელი. ცხადია, ისეთი დიდი კლუბისთვის, როგორიც "მანჩესტერ იუნაიტედია" დამაკმაყოფილებელი შედეგი მხოლოდ გამარჯვებაა, მაგრამ მაშინ, როცა მხოლოდ მეოთხედფინალში გავედით, ფინალზე საუბარი უპასუხისმგებლობად მიმაჩნია. წინ დიდი გზა გვაქვს გასავლელი, ამიტომ უკეთესი იქნება, თუ კონკრეტული ორთაბრძოლების მოგებას დავისახავთ მიზნად. საქმისადმი ამგვარი დამოკიდებულების შემთხვევაში, ფინალი არსად გაგვექცევა."*

ჟურნალისტებმა სერ ალექსს ლარსონზეც ჰკითხეს. მწვრთნელმა მედიელებს უპასუხა: *"ჰენრიკი გენიალური მოთამაშეა. მასთან მუშაობა ენით აუწერელი სიამოვნება იყო. სამწუხაროა, რომ ის გვტოვებს, თუმცა ჩვენ ხელშეკრულებებს პატივს ვცემთ. "ჰელსინგბორგს" შევუთანხმდით, რომ ლარსონს 12 მარტამდე გვათხოვებდნენ. ეს დრო ამოიწურა და ისღა დაგვრჩენია, გენიალურ ფორვარდს გზა დავულოცოთ. ვიცოდით, რომ შვედი გვტოვებდა და დიდი იმედი გვქონდა, რომ წასვლის წინ გოლს გაიტანდა. საბედნიეროდ, მართლაც ასე მოხდა. ბედნიერებას გისურვებთ, ჰენრიკ!"*

ლარსონმა ჩემპიონთა ლიგაში 93-ე პაექრობა ჩაატარა და 47-ე გოლი მიითვალა. ალბათ, დაგვეთანხმებით, რომ ფანტასტიკური მიღწევაა. მართლაც დასანანია, რომ ამიერიდან ის მოკრძალებულ "ჰელსინგბორგში" ითამაშებს და საშუალება აღარ მოგვეცემა, რომ პრემიერლიგასა და ჩემპიონთა ლიგაში ლეგენდარული შვედი ფორვარდის თამაშით დავტკბეთ.

**მილანი-სელტიკი 1:0 დ.დ. (0:0)**

**მილანი:** დიდა, ოდო (116. შიმიჩი), ბონერა, მალდინი, იანკულოვსკი, გატუზო (79. ბროკი), პირლო, ამბროზინი, ზეედორფი, კაკა, ფ. ინძაგი (73. ჯილარდინო).

**სელტიკი:** ბორუცი, ტელფერი, მაკმანუსი, ო'დი, ნეილორი, ნაკამურა (106. კ. მილერი), ლენონი, სნო (97. ბიტი), მაკგიდი, იაროშიკი (62. გრავესენი), ვენეგოორ ოფ ჰესელინკი.

**გოლი:** 1:0 კაკა (93)

**მაყურებელი:** 60 000

**არბიტრი:** კონრად პლაუტცი (ავსტრია)

ზედიზედ მეხუთედ "მილანი" ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალშია. და ვინ იცის, იქნებოდა თუ არა, **კაკა** რომ არ ჰყოლოდა. აი, ეს არის დიდი ფეხბურთელი, უცბად რაღაცას რომ გამოიგონებს და თამაშს მოგაგებინებს. თანაც რა თამაშს - მომქანცველს, ნერვულს, ისეთს, სადაც მილანელ "ეშმაკებს" სატანური ჯაფა დაადგათ, სელტიკელი "ბრეივჰართების" ციხე-სიმაგრეში რომ შეეღწიათ. აი, ეს არის კაკა და ამიტომაა, "რეალი" მისი გულისთვის რომ გიჟდება. დამატებით დროში რიკიმ ჩვეული ელეგანტურობით ჩაურბინა მცველებს და გამარჯვების გოლი გაიტანა. მეექვსედ წლევანდელ ჩემპიონთა ლიგაში. თუ ბოლომდე ამ ტემპით გააგრძელა, "ოქროს ბურთამდეც" მივა: ისეთი კონკურენტები, როგორებიც **რონალდინიო, ანრი** და **იბრაჰიმოვიჩი** არიან, ევროპის ყველაზე კეთილშობილ თასს უკვე გამოემშვიდობნენ. ნამატჩევს **ბერლუსკონიმ** თქვა, რაკი "ინტერი", "ბარსელონა", "რეალი" აღარ არიან, ლიგის ყველაზე ძლიერი გუნდი ჩვენ ვართო.

"მილანმა" იწვალა, მაგრამ დამსახურებულად მოიგო. ტაქტიკურად უნაკლო "სელტიკმა" **დიდას** მიმართულებით მხოლოდ ერთხელ დაარტყა, ერთხელაც ბურთს ხელით **მალდინი** გადაელობა (მსაჯმა პენალტი არ დადო), თავად კი მეკარე **ბორუცის** ბრწყინვალე თამაშმა და ერთ შემთხვევაში ზედა ძელმა იხსნა. საინტერესოა, რომ ლიგის მიმდინარე გათამაშებაში "მილანმა" ძირითად დროში მეოთხე 0:0 ითამაშა. **ანჩელოტის** აღარ ჰყავს ის საფეხბურთო მანქანა, რომელიც ყველას თავის თამაშს კარნახობდა და გოლებიც თავისუფლად გაჰქონდა. გუნდმა სახე იცვალა, მაგრამ ამბიციები უცვლელი დარჩა.

**სტრაჩანის** აწყობილი გალია ძალიან ეფექტური აღმოჩნდა. პირველი შეხვედრისგან განსხვავებით (4-4-2), მწვრთნელმა ორი საყრდენი გამოიყვანეს: **სნო** და **ლენონი** დაცვის წინ განლაგდნენ კაკასა და **ზეედორფის** შესაჩერებლად. **ნაკამურა, მაკგიდი** და **იაროშიკი** ერთადერთი ფორვარდის, **ვენეგოორის** უკან განაწილდნენ. ფეხმარდი მაკგიდი, რომელიც გლაზგოში ფლანგზე იღწვოდა, ამჯერად შუაში იდგა და ორ ამოცანას ასრულებდა: ვენეგოორის მომარაგება და პრესინგი **პირლოზე**, რომელიც ამის გამო, რიტმში ვერა და ვერ შედიოდა. სტრაჩანის გეგმამ გაამართლა და ამით აიხსნება "მილანის" გასაჭირიც პირველ ტაიმში. მასპინძლები ვერაფრით ახერხებდნენ ტემპის აკრეფას და კაკასთვის სივრცეების გახსნას. შოტლანდიელების ხუთი ნახევარმცველი ურთიერთშეთანხმებულად თამაშობდა, როგორც ბურთის ფლობის, ისე ჩამშლელ ფაზაში. მაგრამ სტუმრების სქემაში ერთი ბზარი მაინც გამოჩნდა: ნაკამურა უკან იშვიათად იხევდა და "მილანსაც" საშუალება ეძლეოდა, რომ მარცხნიდან დაუბრკოლებლად შეეტია. ასეც მოხდა: უკვე მე-4 წუთზე ზეედორფმა კაკა მოძებნა, ბრაზილიელმა კარგად დასცხო, მაგრამ ბორუცმა ნახტომში მოუგერია. ორ წუთში "სელტიკმა" იაროშიკის დარტყმით უპასუხა და სწორედ აქ იყო, როცა ვარდნაში წასულმა მალდინიმ ბურთი ჰაერში აწეული ხელით შეაჩერა: პენალტს ჰგავდა... მადლობის ნიშნად, "მილანმა" თავი დახარა და საქმე გააგრძელა. მასპინძლების თითქმის ყველა შეტევა მარცხნიდან იწყებოდა. **იანკულოვსკიმ ინძაგი** კინაღამ მეკარის პირისპირ გაიყვანა, მერე კაკამ ჩამოიშორა **მაკმანუსი** (ისევ მარცხნივ), 40 მეტრი გაირბინა და ცოტათი ააცილა. 38-ე წუთზე ისევ ბრაზილიელმა ცადა გატანა. ამჯერად მის დარტყმას **ო'დი** გადაელობა. ამ ყველაფერს "სელტიკმა" ერთადერთი შეტევით უპასუხა, რასაც მალდინის უხეში შეცდომა მოჰყვა, მაგრამ კაპიტნის გაფუჭებული საქმე **ოდომ** მაშინვე გამოასწორა. "სელტიკს" კარში ერთხელაც არ დაურტყამს, მაგრამ შესვენებაზე მაინც კმაყოფილი გავიდა.

10 წუთის განახლებული იყო თამაში, როცა კაკამ ინძაგი კარგ პოზიციაზე გაიყვანა. ფორვარდი **მეილორმა** წააქცია და მართალია, პიპო საჯარიმოში წაიქცა, მსაჯმა ჯარიმა საჯარიმოს გარეთ დანიშნა. "მილანის" მთელი თამაში კაკა იყო, ბრაზილიელი მოედნის ყველა წერტილში მოქმედებდა. საკმაოდ მოკრძალებული გამოდგა პირლოს, ზეედორფის, **ამბროზინისა** და ოდოს წვლილი. უბურთოდ თითქმის არავინ დარბოდა. 62-ე წუთზე სტრაჩანმა იაროშიკი **გრავესენით** შეცვალა და ამით თითქოს თქვა, თამაში დამატებითისკენ მიმყავსო. "სან სირო" ორმა კუთხურმა გამოაცოცხლა: ჯერ ინძაგის, მერე კი ამბროზინის თავური დარტყმები სტუმართა მცველებმა კარის ხაზზე შეაჩერეს. "მილანი" დაღლილი იყო, მაგრამ სიამაყე წინ უბიძგებდა. 84-ე წუთზე მალდინი შეტევაში ჩაერთო, მაგრამ ბორუცმა არ გაატანინა. ორ წუთში პოლონელმა მეკარემ ზეედორფის ჯარიმა ბრწყინვალე ნახტომით მოიგერია, კიდევ ორ წუთში კი ბედმა გაუღიმა, როცა კაკას დარტყმა ხარიხას მოხვდა. ასე გასრულდა ძირითადი დრო, მაგრამ დამატებითი დროის მე-3 წუთზე კაკას კლასმა მაინც თავისი ქნა: რიკიმ ცენტრში ლენონი ჩამოიშორა, მერე საჯარიმოში **მაკმანუსიც** მიაყოლა და დაბალი დარტყმით გამარჯვების გოლი გაიტანა. "მილანი" ევროპულ გზას აგრძელებს, "ინტერი" უკვე გამოაძევეს. კვირას მილანური დერბია...

**კარლო ანჩელოტი:** *"გამარჯვებას უბრალო და გააზრებული თამაშით მივაღწიეთ, თუმცა არც გარისკვის შეგვშინებია. შეხვედრის ბოლო წუთებში შეტევაში უკვე მთელი გუნდით მივდიოდით. ასეა თუ ისე, რამდენიმე საგოლე მომენტის შექმნა მაინც მოვახერხეთ და ამან დამატებით დროში თავდაჯერება შეგვმატა. კაკა უდიდესი ფეხბურთელია, ცუდს ვერაფერს ვხედავ იმაში, როცა ამბობენ, რომ "მილანი" დიდად არის დამოკიდებული ბრაზილიელის თამაშზე. "მილანი" ყოველთვის თავის საფირმო სტილში თამაშობს, იმისგან დამოუკიდებლად, თუ ვინ არის მეტოქე. ჩვენი ფილოსოფია ყოველთვის უცვლელი რჩება: ვცადოთ ყველა შეხვედრის მოგება. არა მგონია, რომ ფავორიტები ვიყოთ, თუმცა რამდენიმე ფავორიტი ბრძოლას უკვე გამოეთიშა. ასარჩევად რომ იყოს, მეოთხედფინალში მეტოქედ "ლივერპულს" ავირჩევდი".*

**გორდონ სტრაჩანი:** *"მილანის" თამაშში იყო მეტი ტექნიკა, ჩვენს მხარეს კი მეტი თავდაჯერება და მონდომება. ტექნიკური ასპექტების დახვეწა გვჭირდება, თუმცა მე მაინც ვამაყობ ჩემი გუნდის დღევანდელი გამოსვლით. ყველაფერი გავიღეთ, მაგრამ გოლი დაგვაკლდა. ვფიქრობ, შეტევაშიც ისევე კარგად ვთამაშობდით, როგორც დაცვაში. გუნდში ბევრი ახალგაზრდა გვყავს, ვინც ამ შეხვედრებში ფასდაუდებელი გამოცდილება შეიძინა. ტექნიკურად თუ მოვუმატებთ, მჯერა, რომ ნებისმიერ მოწინააღმდეგეს დიდ პრობლემებს შევუქმნით. მეშინოდა, რომ "მილანი" ძირითადი დროის ბოლო წუთებში გაგვიტანდა, რადგან ამ დროისთვის უკვე საჯარიმოსთან ვყავდით მიჯაჭვული. და მაინც, ბოლომდე გვჯეროდა, რომ გატანას შევძლებდით".*



არსენალი-ეინდჰოვენი. როგორ იქცა ანტიგმირი გმირად. ჰოლანდიელთა მცველ ალექსის (4) გადამწყვეტი გოლი ლონდონელთა კარში

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

## პროფესიული კრივი

# სტუმრებს ისევ მოუგეს

საქართველოს პროფესიული კრივის ფედერაციის დარბაზში გუშინ გაიმართა მორიგი სარეიტინგო ორთაბრძოლები. ორკვირიანი პაუზის შემდეგ, მეორედ გვესტუმრნენ აზერბაიჯანელები. ჩვენმა მეზობლებმა ამჯერადაც ორი მოკრივე გამოგზავნეს და როგორც წინა შემთხვევაში, ახლაც ორივე დამარცხდა.

დღის პირველი ბრძოლა შედგა **გიორგი გაჩეჩილაძესა და თემურ საბაშვილს** შორის (54 კგ). ოთხ რაუნდში, ქულებით გაიმარჯვა გაჩეჩილაძემ. ასევე უნოკაუტო ოთხი რაუნდი დასჭირდა **უშანგი რურუას** (62 კგ) **დავით ინასარიძის** დასამარცხებლად.

მესამე წყვილში რინგზე ვიხილეთ ცნობილი მოკრივეების, ზურაბ და რამაზ ფალიანების ბიძაშვილი **ზურაბ ფალიანი** (72), რომელმაც დინასტია არ შეარცხვინა და მეოთე რაუნდში, აშკარა უპირატესობით აჯობა **ჯუმბერ ბასილაძეს**. ამავე წონით კატეგორიაში **ლევან შონია** აზერბაიჯანელ **ზაურ იმანოვს** დაუპირისპირდა. აზერმა მხოლოდ ერთი რაუნდი გაუძლი ჩვენებურს, მეორეში კი დანებება არჩია და რინგზე აღარ გამოვიდა.

პირველი რაუნდის შემდეგ იმავეს აპირებდა **ლევან ჯომარდაშვილთან** მებრძოლი **გაბი გუმბათოვი**. მართალია, მწვრთნელთა დაჟინებული მოთხოვნით, მეორე რაუნდში მაინც გამოვიდა, მაგრამ ჯომარდაშვილს იმხელა უპირატესობა ჰქონდა, რომ გუმბათოვის სეკუნდანტი მიხვდა, მის შეგირდს ნოკაუტი ემუქრებოდა და დანებების მანიშნებელი პირსახოცი გადმოაგდო.

მომდევნო კვირიდან მოვლენათა ეპიცენტრი ოციოდ მეტრში, ვერის ბარის კალათბურთის სასახლეში გადაინაცვლებს, სადაც საქართველოს პირველი ქამრები გათამაშდება.

**კობა ხატისაშვილი**

## კრივი



კუპატაძისა და ლვამიჩავას საკითხი ბაქოში გაირკვევა

### ინტერვიუ ავთანდილ შოშიაშვილთან

# ნეიტრალურმა გადაწყვიტოს!

**საქართველოს მოკრივეთა ეროვნულმა ნაკრებმა გუშინ დაამთავრა ბორჯომში გამართული პირველი შეკრება. ახლა მოკრივეები რამდენიმე დღით დაისვენებენ, 12 მარტიდან კი თბილისში გააგრძელებენ სამზადისს. ბორჯომულ შეკრებასა და სამომავლო გეგმებზე გვესაუბრება საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი ავთანდილ შოშიაშვილი.**

- ბორჯომში საკმაოდ ნაყოფიერი საერთო ფიზმომზადების კურსი გავიარეთ. დაბანაკებულნი ვიყავით სპორტკომპლექს "ოლიმპში" და მინდა ალვნიშნო მასპინძელთა გულთბილი დახვედრა. ბორჯომელებმა ყოველგვარი პირობა შეგვიქმნეს და მთელი შეკრების განმავლობაში, პირდაპირ ზედ გადაგვყვნენ.

რაც შეეხება უშუალოდ ნაკრებს, როგორც იცით, ბორჯომში გვყავდნენ მხოლოდ საქართველოს ჩემპიონები - ზვიად ხადური (48 კგ), მერაბ თურქაძე (51), ნიკოლოზ იზორია (54), კობა ფხაკაძე (57), ვასილ ყაზიშვილი (60), ლევან ლვამიჩავა (64), კახა ჟვანია (69), რევაზ ქარელიშვილი (75), თორნიკე იველაშვილი (81), იაგო კილაძე (91) და ბექა ლობჟანიძე (+91). მეორე შეკრებას კი 12 მარტს დავიწყებთ გლდანის დკდ-ს დარბაზში, ახალგაზრდულ ნაკრებთან ერთად.

**- მეორე შეკრებაზე სხვა მოკრივეებსაც თუ დაიმატებთ?**

- რა თქმა უნდა. თუკი სხვა წონებში, ფაქტობრივად, ყველაფერი გარკვეულია, 64, 75 და 81 კილოგრამ წონით კატეგორიებში დილემის წინაშე ვდგევართ. საქართველოს ჩემპიონატზე, ლევან ლვამიჩავა - კონსტანტინე კუპატაძისა (64) და თორნიკე იველაშვილი - დავით ნიკლაურის (81) შეხვედრები დაძაბულ ბრძოლებში წარიმართა, მსაჯებმა შეცდომები დაუშვეს და გარკვეული კითხვის ნიშნები გაჩნდა. 75 კილოგრამში რევაზ ქარელიშვილს ფინალში ვერ გამოუცხადდა საკმაოდ ძლიერი მეტოქე - გიორგი ნაკანი. შესაბამისად, კუპატაძეს, ნაკანსა და ნიკლაურს მეორე შეკრებიდან დავიმატებთ.

**- როგორ აპირებთ ამ სამ წონაში პრობლემების გადაჭრას?**

- ალბათ გადამწყვეტი იქნება ბაქოს ტურნირი, რომელიც 26 მარტს დაიწყება. საქართველოს კრივის ფედერაციას აზერბაიჯანელებთან მეგობრული ურთიერთობა აქვს და მათ ვთხოვეთ, რომ ამ სამ სადავო წონაში პირველსავე წრეში ქართველები დაუპირისპირონ ერთმანეთს. იქ ნეიტრალური მსაჯები იქნებიან და გაიმარჯვებს ის, ვინც რეალურად უფრო ძლიერი იქნება. ისე, ერთი მხრივ, გულიც მწყდება, რომ აქამდე მივიდა საქმე. ყველაფერი საქართველოს ჩემპიონატზე უნდა გადაწყვეტილიყო. რატომ უნდა გვჭირდებოდეს პრობლემურ წონებში ჩვენი მოკრივეები საზღვარგარეთ რომ შევახვედროთ ერთმანეთს? მით უმეტეს, რომ სექტემბერში პეკინის ოლიმპიადის სალიცენზიო მსოფლიო ჩემპიონატია და ახლა ნამდვილად არ იყო ამის დრო. თუმცა, რაც არის, არის, ველარაფერს შევცვლით...

**- ბაქოს ტურნირის შემდეგ რა გეგმები გაქვთ?**

- ბაქოში, ფაქტობრივად, ბოლომდე გაირკვევა ის შემადგენლობა, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატისთვის გააგრძელებს სამზადისს. სექტემბრამდე, რა თქმა უნდა, გვექნება კიდევ რამდენიმე შეკრება და რაც შეიძლება, ბევრი საერთაშორისო ტურნირი. მსოფლიო ჩემპიონატამდე სულ მცირე, ოთხი ტურნირი მაინც გვჭირდება.

**კობა ხატისაშვილი**

## კალათბურთი



### ინტერვიუ ნიკოლოზ ცქიტიშვილთან

# მე არა, ჩვენ!

## აქ NBA არაა, პირადი სტატისტიკა ვერ გიშველის

**ნიკა ცქიტიშვილი "ნიუ იორკ ნიქსიდან" სევილიის "კახაში" იანვარში გადავიდა. მის შესახებ ესპანელების მომზადებულ სტატიებს ხშირად გთავაზობდით, მაგრამ ესპანეთში ჩასვლის შემდეგ ნიკას ინტერვიუ დღეს პირველად ქვეყნდება. ამას ობიექტური მიზეზები აქვს - ქართველი ფორვარდი ვიდრე სევილიაში არ დაბინავდა და სათანადოდ არ მოეწყო, ტელეფონის შესაძენადაც ვერ მოიცალა. გუშინ ცქიტოს ვარჯიშის შემდეგ დავუკავშირდით და ამერიკული კალათბურთიდან დაწყებული ესპანური ფეხბურთით დამთავრებული ბევრ საინტერესო თემაზე ვისაუბრეთ. პირველი კითხვა სევილიაში ჩასვლას ეხებოდა.**

**- როგორც ვიცით, ესპანელები ხმაურიანად დაგხვდნენ...**

- ხმაურიანად? რას გულისხმობ?

**- შენს ჩასვლამდეც ბევრს წერდნენ, ცქიტიშვილი NBA-დან ჩამოდისო და გუნდს რომ შეუერთდი, კარგი პრეზენტაციაც მოგიწყვეს.**

- შეიძლება პრესაში მართლაც ბევრი იწერებოდა, მაგრამ იმას მინც ვერ ვიტყვი, რომ ხმაურიანად დამხვდნენ. მიმიღეს როგორც წესი და რიგია - აეროპორტიდან სასტუმროში წამიყვანეს, ახალი გარემო გამაცნეს და მესამე დღეს ჩემთან შესახვედრად მასმედიელებს დაუძახეს.

**- რუსული "სპარტაკ-პრიმორიეს" მენეჯერ ნოსოვს ორჯერ დავურეკე. მისი თქმით შენი რუსეთში გადასვლა 90 პროცენტით იყო გადაწყვეტილი...**

- ამ გუნდთან წინასწარი კონტრაქტიც გავაფორმე. არავის ეგონა, რომ ვლადივოსტოკში ვიზის გამო ვერ ჩავიდოდი, არადა, სწორედ მას შემდეგ მოიხდა კონტრაქტის გაწყვეტა, რაც რუსეთის ვიზაზე უარი მითხრეს.

**- სევილიის "კახას" გარდა სხვა ვარიანტი თუ გქონდა?**

- მას შემდეგ რაც "სპარტაკში" გადასვლა გამოირიცხა, წინადადება "კახა სან ფერნანდოდან" მივიღე. გავარკვიე, რომ გუნდიც კარგი იყო, ქალაქსაც ვერ დაიწუნებ, ხოლო მთავარი კი ისაა, რომ ეს კლუბი ესპანეთის ჩემპიონატში ასპარეზობს. აქაურ ჟურნალისტებსაც ვუთხარი, რომ NBA-ს შემდეგ მსოფლიოს საუკეთესო ლიგა ესპანელებს აქვთ.

**- იტალიურსაც სჯობს?**

- იტალიურ "ბენეტონშიც" ვთამაშობდი და სერია A-ს კარგად ვიცნობ. მაგრამ სწორედ ამიტომ ვამბობ რომ ევროპაში ესპანელებს ყველაზე კარგი პირველობა აქვთ - NBA-დან წამოსული კალათბურთელები ხომ პირველ რიგში ესპანურ კლუბებს ეძებენ...

**- "კახას" მაისურით რამდენიმე კარგი მატჩი ჩაატარე, მაგრამ მათ ხშირად ნაკლებეფექტური შეხვედრები ენაცვლება. რა არის არასტაბილურობის მიზეზი?**

- აქაურ ჩემპიონატში კალათბურთელის ქულებს არავინ უყურებს. ესპანეთში სიტყვა "მეს" არ ხმარობენ, მის ნაცვლად "ჩვენ" გამოიყენება. იმის თქმა მინდა, რომ ინდივიდუალური თამაში აქ არ ფასდება - მთავარი გუნდური ერთიანობაა.

**- სწორიცაა...**

- შედეგი სწორედ გუნდურ თამაშს მოაქვს. ამერიკაში სხვაგვარი კალათბურთია - ერთი კაცი ბურთს რომ აიღებს, "დამკაში" სანამ არ გავა, პასს არავის მისცემს. ამიტომაცაა, NBA-ს ერთეულ კალათბურთელებს საოცარი სტატისტიკა რომ აქვთ, გუნდური თამაშით კი აშშ-ს ნაკრებს უკვე საბერძნეთი და სხვა ევროპული გუნდები ჯობნიან.

**- NBA-დან წამოსულს ესპანურ ჩემპიონატთან შეგუება ხომ არ გაგჭირვებია?**

- გუნდს ნელ-ნელა ვეწყობი. აქაურ სისტემასაც ავუღე ალღო, მოკლედ, სერიოზული პრობლემა არ მაქვს. ხოლო მას შემდეგ, რაც "კახას" მთავარი მწვრთნელი შეიცვალა, კიდევ უფრო მოვუმატეთ, წესრიგიც მეტია და შედეგიც სახეზეა - ახალი მწვრთნელის ხელში პირველივე მატჩი მოვიგეთ.

**- მანელ კომასის ნაცვლად პოსტზე ვინ დაინიშნა?**

- ესპანეთის ნაკრების თავკაცი ნაჩო სანჩესი, რომელიც ძალიან ძლიერი სპეციალისტია. გარდა იმისა, რომ მატჩების სწორად წარმართვა არ ეშლება, ინდივიდუალურად ყველა კალათბურთელს გვეხმარება.

**- "კახაში" შენი უშუალო კონკურენტი ვინ არის?**

- აქ კონკურენცია არ არსებობს - ყველას თავისი საქმე აქვს და იცის როდის რა გააკეთოს. წინა ხაზში ორი მოთამაშე მოედანზე 25 წუთს ატარებს, დანარჩენი ორი - 15 წუთს.

**- თანაგუნდელებმა როგორ მიგიღეს?**

- "კახაში" კარგი კოლექტივია შეკრებილი, როგორც ორგანიზაციაში, ასევე გუნდში. საერთო ენის გამონახვა არავისთან გამჭირვებია. ან რატომ უნდა გამჭირვებოდა? აქამდე სადაც მითამაშია, არცერთ თანაგუნდელთან ცუდი ურთიერთობა არ მქონია.

**- ორი კვირის წინ ვიქტორ სანიკიძის "ესტუდიანტესს" ეთამაშეთ...**

- ვიქტორის ნახვა ძალიან მესიამოვნა. სანიკიძისადმი თანაგუნდელთა მიდგომამ კი გამახარა - დიდიან-პატარიანად ყველას უყვარს, დიდ პატივს სცემენ.

**- საქმე ისაა, მწვრთნელს რამდენად უყვარს.**

- ვიქტორს გუნდის თავკაცთანაც შესანიშნავი ურთიერთობა აქვს. მართალია ბევრს არ ათამაშებენ, მაგრამ აშკარაა, რომ "ესტუდიანტესში" სანიკიძეს თავისი ადგილი ნაპოვნი აქვს. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ მას მომავალი სეზონისთვის ამზადებენ. გაისად ორჯერ მეტი თამაში მოუწევს.

**- "კახას" ამ სზეონში რა გეგმები აქვს?**

- ესპანეთის ჩემპიონატის 8 საუკეთესო გუნდს შორის მოსახვედრად ვიბრძვით, რათა ფლეი ოფში მოვხვდეთ და... პირველობის მოგებას არავინ გვთხოვს, მაგრამ რაც შეიძლება უკეთესი დაგილი უნდა დავიკავოთ, რათა გაისად ევროტურნირებზე ვითამაშოთ. ევროლიგაზე თუ არა, ულების თასზე მაინც უნდა მოვხვდეთ.

**- მაშ მომავალ სეზონში ევროტურნირებზე გიხილავთ...**

- ვხვდები, ამას რატომაც მეკითხები, მაგრამ დღეს ნამდვილად არ შემიძლია გადაჭრით ვთქვა - გაისად "კახაში" ვითამაშებ, თუ - არა. გუნდთან კონტრაქტი სეზონის ბოლომდე მაკავშირებს და ხელშეკრულების გახანგრძლივებაზე ან არგაგრძელებაზე სეზონის ბოლოს მომიწევს საუბარი. ახლა, თუ ნებას მომცემ, რამდენიმე კითხვით მე მოგმართავ.

**- გისმენ.**

- საქართველოს ჩემპიონატში რა ხდება, გვყავს ძლიერი გუნდები?

**- რუსთავის "აზოტი" ერთპიროვნული ფავორიტია.**

- სპორტის სასახლის ირგვლივ რა სიტუაციაა?

**- რემონტს უპირებენ, მაგრამ აგვისტომდე მოესწრება თუ არა, ძნელი სათქმელია.**

- საქართველოს ნაკრების შესახებ არაფერი ვიცი. ამ თემაზე არც ფედერაციის წარმომადგენლებთან მისაუბრია და არც მწვრთნელებთან. საზაფხულო მზადების გეგმა ხომ არ შეუდგენიათ?

**- ახალი მხოლოდ ისაა, რომ ბულგარეთი გვიწვევს ოთხთა ტურნირზე.**

- გიორგი შერმადინი წავიდა ამერიკაში?

**- NBA-ს ოლ სტარს დაესწრო. აპრილში კი მსოფლიოს ახალგაზრდულ ნაკრებში აპირებს თამაშს.**

- სწორედ მაგ ნაკრების ამბავი მაინტერესებდა. გიორგის სერიოზული მომზადება მართებს, რადგან სწორედ "ნაიკის" მიერ ორგანიზებულ მსოფლიოს რჩეულთა მატჩის შემდეგ გადაწყდა დირკ ნოვიცკის NBA-ში მოხვედრის ამბავი. იგი მანამდე ევროპაშიც არაფრით გამოირჩეოდა და მსოფლიო ნაკრებში ჩატარებული ერთი ეფექტური მატჩის შემდეგ დრაფტზე ულაპარაკოდ აიყვანეს.

**- ბოლო კითხვას ხომ დამითმობ? მაინტერესებს ესპანურ ფეხბურთს თუ ადევნებ თვალს.**

- "კახა სან ფერნანდოში" ჩემს ამხანაგს სევილიის "ბეტისში" ახლო მეგობარი ჰყავს და მისი ნაჩუქარი ბილეთებით თავისუფალ დროს სტადიონებზეც დავდივართ. ამასწინათ "ბეტისი"-"სევილიის" მატჩს დავესწარი. საოცარი სანახაობა იყო. შოუს მხრივ NBA ხომ გამორჩეულია, მაგრამ მას არაფრით ჩამოუვარდება ესპანეთის საფეხბურთო ჩემპიონატი. 90 წუთის განმავლობაში ფეხზე მდგარმა და მომღერალმა 80 ათასმა ქომაგმა ჩემზე დაუვიწყარი შთაბეჭდილება მოახდინა.

**- 90 წუთის განმავლობაში არა, ის მატჩი ხომ მეორე ტაიმის დასაწყისში შეწყდა - მწვრთნელს ბოთლი რომ მოარტყეს...**

- ამავე გუნდების მონაწილეობით მანამდე გამართულ შეხვედრაზე ვამბობ. სხვათა შორის, იქაც მოხდა ინციდენტი - მწვრთნელები ერთმანეთს დაერივნენ...

**ვაჟა სიმონიშვილი**

SAQARTVELOS EROVNULI OLIMPIURI KOMITETI GEORGIA

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

ქართველები NBA-ში

# ოცდაშვიდმა მოიგო!



ფაჩულია გილბერტ არენასს უფარებს

"ჰოქსმა" ექვსმატჩიანი წარუმატებელი სერია დაასრულა. მოგება "ვაშინგტონთან" და შეხვედრის თითქმის ყველა მონაწილის იდენტური კომენტარი - მატჩი **ზაზა ფაჩულიამ** და **ენტონი ჯონსონმა** მოიგესო. ერთი დღით ქართველი ცენტრი ტაბლოიდების მთავარ გმირად იქცა, ხოლო მისმა გუნდმა კი თითქმის შეუძლებელი გააკეთა - თავისზე ბევრად კარგად დაკომპლექტებულ ოპონენტს (რომელმაც უკვე თითქმის დაიბევა ფლეი ოფში მონაწილეობა) ლიდერის, **ჯო ჯონსონის**, ძირითადი გამთამაშებლის, **სპიდი კლექსტონისა** და ზაზას შემცვლელის (ფორმალურად პირიქითაა, მაგრამ არა უშავს), **ლორენცენ რაიტის** გარეშე მოუგო. არ უთამაშია ძირითადის კიდევ ერთ წევრს, ბოლო დროს შესანიშნავ ფორმაში მყოფ ფორვარდ **მერვინ უილიამსს**.

მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე "უიზარდსის" ვარსკვლავმა **გილბერტ არენასმა** აღნიშნა, დღეს სამარცხვინოდ ვითამაშეთ, თუ სამწამიანში ვილაც ფაჩულიას ვერ ვაჩერებთ, მაშინ ფლეი ოფში უშანსოდ ვყოფილვართო!

მთლად კორექტული გამონათქვამი არ იყო, თუმცა რა ჩვენი გასარჩევია. მოსალოცი გვაქვს - ფაჩულიამ 27 ქულით კარიერის რეკორდი დაამყარა, 3 დაფარებით კარიერის რეკორდი გაიმეორა და 4 შედეგიანი გადაცემით სეზონის საუკეთესო შედეგი მეოთხედ დააფიქსირა. ზაზამ თამაშიდან 10 ზუსტი ტყორცნით სეზონის პირადი რეკორდიც გააუმჯობესა. და, რაც მთავარია, წინა მატჩებისგან განსხვავებით, "ატლანტამ" ამჯერად ბოლომდე შეირგო ზაზას ბენეფისი და შეხვედრა გამარჯვებამდე მიიყვანა.

"ვაშინგტონთან" "ჰოქსს" ლამის ნახევარი შემადგენლობა აკლდა. ჯო ჯონსონის ნაცვლად მსროლელად ნომინალური გამთამაშებელი, ჯოს მოგვარე **ენტონი** დადგა, მას კი უკანა ხაზში **მაიკ ვუდსონმა ჯოშ ჩილდრესი** (13-დან 11 არაზუსტი სროლა) შეუწყვილა. ახალბედა **სოლომონ ჯოუნსმა** პირველად დაიწყო მატჩი სასტარტოში, მსუბუქი ფორვარდის ადგილზე კი ტრადიციულად **ჯოშ სმიტი** იდგა.

"ჰოქსისთვის" "ვაშინგტონი" ერთ-ერთი უხერხული მონინაალმდეგეა. გუშინდელ მატჩამდე ამ გუნდების უკანასკნელი 12 მატჩიდან ჯორჯიელებს მხოლოდ ორი მოეგოთ და არენასის, **ანტუან ჯეიმისონისა** და **კეირონ ბატლერის** გუნდთან არც ამჯერად ითვლებოდა ფავორიტად.

ყველაფერი ზაზამ შეცვალა. ის ყველგან ჩასვლას ასწრებდა. დაცვა? კი ბატონო - სამი დაფარება. ოპონენტ **ბრენდან ჰეივუდს** ფაჩულიამ სწრაფი დრიბლინგისა და მოედნის ბევრად უკეთესი ხედვის ხარჯზე აჯობა, ხოლო როდესაც "უიზარდსის" თავკაცმა **ედი ჯორდანმა** მასზე ჯეიმისონი გადაიყვანა, ამას არაფერი შეუცვლია - იმ დღეს ფაჩულიას გამჩერებელი "ვაშინგტონს" არ ჰყოლია. ჯეიმისონისა და ჰეივუდის ბედი გამოცდილმა **კელვინ ბუტმაც** გაიზიარა. 17-დან 10 ზუსტი "ცოცხალი" ტყორცნა და 9-დან 7 ზუსტი საჯარიმო - აი, ასეთი შთამბეჭდავი სტატისტიკით ჩაამთავრა მატჩი ფაჩულიამ.

"ვაშინგტონი" მატჩის მსვლელობისას 11 ქულასაც კი იგებდა, მაგრამ "ჰოქსმა" ეს ჩამორჩენა აღმოფხვრა და თავად დაწინაურდა. ძირითადი დროის დასრულებამდე 2 წუთითა და 24 წამით ადრე ფაჩულიამ ორივე საჯარიმო ტყორცნა გამოიყენა და "ატლანტამ" ყველაზე დიდი უპირატესობა (92:83) მოიპოვა. ამის მერე "უიზარდსი" მეტოქეს ორჯერ სამ ქულამდე მიუახლოვდა, მაგრამ საბოლოო მოიგო იმან, ვინც ამ გამარჯვებას მეტად იმსახურებდა.

### მატჩის შემდეგ

**ზაზა ფაჩულია:** - ამდენი ძლიერი მოთამაშე არ გვყავდა და ორმაგად სასიხარულოა, რომ ჩემმა აქტიურმა თამაშმა გუნდს მოაგებინა. ცხადია, მხოლოდ ფაჩულიას არ დაუმარცხებია ისეთი ძლიერი გუნდი, როგორიც "ვაშინგტონია". შესანიშნავად გაგვიწია დირიჟორობა ენტონი ჯონსონმა. ჯო არ იყო და ამან თავის გამოჩენის მეტი საშუალება მომცა. მართალია, სატურნირო მდგომარეობა წინა 6 შეხვედრის წაგებით სერიოზულად გავიუარესეთ, მაგრამ მაინც ბოლომდე ვიბრძოლებთ. ხომ ხედავთ, "ფილადელფიამ" აივერსონი რომ გაუშვა, გუნდი თავის საუკეთესო კალათბურთს თამაშობს. ასე რომ, "ჰოქსისთვის" რეგულარული ფორმალობად ჯერ არ ქცეულა. კარგი გუნდი გვყავს და დარჩენილი მატჩების კარგად ჩატარებას ვეცდებით.

**მაიკ ვუდსონი ("ატლანტის" მთავარი მწვრთნელი):** - ვინერვიულე, მაგრამ კარგია, რომ ყველაფერი ასე დასრულდა. საერთოდ, ჩემი გუნდიდან ვინმეს გამოყოფა არ მიყვარს, მაგრამ იმედი მაქვს, დანარჩენი მოთამაშეები გამიგებენ, თუ ვიტყვი, რომ ამ მატჩს ორი გმირი ჰყავდა - ფაჩულია და ჯონსონი. მათმა აგრესიულმა თამაშმა სხვებს, სოლომონ ჯოუნსსა და სალიმ სტაუდმაიერს მისცა თავის გამოჩენის მეტი მოტივაცია.

**ჯოშ სმიტი:** - ზაზას ორმაგი დუბლი ჯოს არყოფნაში მისწრება იყო. ძალიან ძლიერად ითამაშა, ჩემი კომპლიმენტები ზაზას. ჩვენთვის ჩემპიონატი ჯერ არ დასრულებულა.

**ედი ჯორდანი ("ვაშინგტონის" მთავარი მწვრთნელი):** - ზაზა მომეწონა. არა, ყოველთვის მომწონდა, მაგრამ დღეს იგი განსაკუთრებით მშიერი იყო, მხეცივით თამაშობდა. მან და ენტონი ჯონსონმა ყველა გადამწყვეტი სროლა გამოიყენეს. ფაჩულია თანამედროვე ცენტრის იდეალური მაგალითია - სწრაფი, მოქნილი, შესანიშნავი კოორდინაციის მქონე.

**ანტუან ჯეიმისონი:** - ვიცოდით, რომ მეტოქეს რამდენიმე ლიდერი არ ეყოლებოდა, მაგრამ ამ ლიგაში ერთი კონკრეტული მატჩის მოგება ხომ ყველას შეუძლია. მომეწონა "ატლანტის" ცენტრი, რომელმაც ყველა მნიშვნელოვან ეპიზოდში შეძლო თავის გამოჩენა. თავისი სიმაღლისთვის იგი ძალიან სწრაფია, მის გარდა კი ტრადიციულად, ჯოშ სმიტს გამოვარჩევდი.

**ზურაბ თალაკვაძე**

### ატლანტა-ვაშინგტონი 100:97

21:31, 23:21, 27:15, 29:30

**ატლანტა: ზაზა ფაჩულია (39 წუთი, 27 ქულა, 12 მოხსნა, 4 პასი, 3 დაფარება, 1 ჩაჭრა, 4 შეცდომა, 4 ფოლი)**, ე. ჯონსონი (44 წთ. 19 ქ. 4 პ. 3 მ. 1 ჩ. 1 დ), ჯოშ სმიტი (27 წთ. 13 ქ. 3 მ. 3 დ. 1 ჩ), ს. ჯოუნსი (23 წთ. 8 ქ. 4 მ. 1 ჩ. 1 დ), ჩილდრესი (45 წთ. 7 ქ. 13 მ. 2 პ. 1 დ) - ს. სტაუდმაიერი (32 წთ. 13 ქ. 5 მ. 4 პ), ლიუ (15 წთ. 7 ქ. 1 მ. 1 პ), შელდენ უილიამსი (12 წთ. 6 ქ. 1 მ. 1 ჩ. 1 დ), აივი

**ვაშინგტონი:** არენასი (38 წთ. 28 ქ. 5 მ. 4 პ. 4 ჩ. 1 დ), ჯეიმისონი (39 წთ. 22 ქ. 4 მ. 1 პ. 1 ჩ), კ. ბატლერი (40 წთ. 19 ქ. 11 მ. 3 პ. 2 ჩ), სტივენსონი (26 წთ. 6 ქ. 2 პ. 2 ჩ. 1 მ), ჰეივუდი (24 წთ. 4 ქ. 7 მ. 3 დ) - ბუტი (10 წთ. 4 ქ. 2 მ. 1 დ), ა. დენიელსი (17 წთ. 4 ქ. 2 პ), სონგაილა (14 წთ. 4 ქ. 1 მ. 1 პ), რ. მეისონი (16 წთ. 2 ქ. 2 მ), ჯ. ჰეიესი (9 წთ. 2 ქ. 2 მ. 1 პ), დ. ტეილორი (4 წთ. 2 ქ. 1 მ. 1 პ. 1 ჩ), ბლატჩე (5 წთ. უქულოდ, 3 მ)

#### I მეოთხედი

| | |
|---|---|
| 11:40 | მოხსნა: 1 (შეტ: 0, დაც: 1) |
| 11:22 | ორქულიანი ტყორცნა: 2 ქ (2:0) |
| 11:22 | მოხსნა: 2 (შეტ: 1, დაც: 1) |
| 10:42 | პასი: 1 (ე. ჯონსონი, 2 ქ. 4:2) |
| 07:35 | პასი: 2 (ს. ჯოუნსი, 2 ქ. 11:9) |
| 06:54 | ორქულიანი ტყორცნა: 4 ქ (13:9) |
| 04:25 | მოხსნა: 3 (შეტ: 2, დაც: 1) |
| 03:12 | ორქულიანი ტყორცნა: 6 ქ (19:22) |
| 02:45 | შეცდომა: 1 (არაზუსტი პასი) |
| 01:58 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 01:52 | ორქულიანი ტყორცნა: 8 ქ (21:27) |
| 01:52 | მოხსნა: 4 (შეტ: 3, დაც: 1) |
| 00:02 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |

#### II მეოთხედი

| | |
|---|---|
| 11:26 | მოხსნა: 5 (შეტ: 3, დაც: 2) |
| 11:16 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 10:42 | ორქულიანი ტყორცნა: 10 ქ (25:31) |
| 10:42 | ფაჩულიაზე ბუტი დაჯარიმდა |
| 10:42 | საჯარიმო: 11 ქ (26:31) |
| 10:07 | ფაჩულია ჯოშ სმიტმა შეცვალა |
| 07:29 | ფაჩულიამ ჯოშ სმიტი შეცვალა |
| 06:52 | ფოლი: 1 (არენასზე დაჯარიმდა) |
| 04:35 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 04:27 | ფოლი: 2 |
| 02:55 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 02:53 | მოხსნა: 6 (შეტ: 4, დაც: 2) |
| 02:52 | ორქულიანი ტყორცნა: 13 ქ (41:44) |
| 01:29 | შეცდომა: 2 (ჯეიმისონმა ჩაუჭრა) |
| 00:47 | მოხსნა: 7 (შეტ: 4, დაც: 3) |
| 00:36 | ფაჩულია აივიმ შეცვალა |

#### III მეოთხედი

| | |
|---|---|
| 12:00 | ფაჩულიამ აივი შეცვალა |
| 10:59 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 10:43 | ორქულიანი ტყორცნა: 15 ქ (48:56) |
| 10:07 | შეცდომა: 3 (გარბენი) |
| 09:14 | მოხსნა: 8 (შეტ: 4, დაც: 4) |
| 06:25 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 04:55 | პასი: 3 (ს. სტაუდმაიერი, 2 ქ. 58:62) |
| 04:04 | ფოლი: 3 |
| 03:51 | მოხსნა: 9 (შეტ: 4, დაც: 5) |
| 02:46 | მოხსნა: 10 (შეტ: 4, დაც: 6) |
| 02:45 | ფაჩულიაზე კ. ბატლერი დაჯარიმდა |
| 02:45 | საჯარიმოები: 2/2 (17 ქ. 65:64) |
| 02:34 | ჩაჭრა: 1 (ბუტს ჩაუჭრა) |
| 02:32 | ორქულიანი ტყორცნა: 19 ქ (67:64) |
| 02:32 | ფაჩულიაზე ბუტი დაჯარიმდა |
| 02:32 | საჯარიმო: არაზუსტი |
| 02:14 | დაფარება: 1 (ა. დენიელსს დაუფარა) |
| 01:59 | ფაჩულია ჯოშ სმიტმა შეცვალა |

#### IV მეოთხედი

| | |
|---|---|
| 09:05 | ფაჩულიამ ს. ჯოუნსი შეცვალა |
| 08:51 | დაფარება: 2 (სტივენსონს დაუფარა) |
| 08:24 | შეცდომა: 4 (სტივენსონმა ჩაუჭრა) |
| 07:31 | ორქულიანი ტყორცნა: 21 ქ (81:78) |
| 06:54 | ორქულიანი ტყორცნა: 23 ქ (83:78) |
| 06:54 | ფაჩულიაზე ჰეივუდი დაჯარიმდა |
| 06:54 | საჯარიმო: 24 ქ (84:78) |
| 06:14 | დაფარება: 3 (არენას დაუფარა) |
| 04:38 | მოხსნა: 11 (შეტ: 5, დაც: 6) |
| 03:55 | პასი: 4 (ჯოშ სმიტი, 2 ქ. 88:81) |
| 03:14 | ფოლი: 4 (არენასზე დაჯარიმდა) |
| 02:55 | ფაჩულიაზე ჯეიმისონი დაჯარიმდა |
| 02:55 | საჯარიმოები: 2/1 (25 ქ. 90:83) |
| 02:24 | ფაჩულიაზე კ. ბატლერი დაჯარიმდა |
| 02:24 | საჯარიმოები: 2/2 (27 ქ. 92:83) |
| 01:57 | მოხსნა: 12 (შეტ: 6, დაც: 6) |
| 00:26 | ფაჩულია ლიუმ შეცვალა |

**ატლანტა ჰოქსი:** 62 მატჩი, 23 მოგება, 39 წაგება, მეოთხე ადგილი სამხრეთ-აღმოსავლეთის დივიზიონში, მე-13 ადგილი აღმოსავლეთის კონფერენციაში; **მომდევნო მატჩი:** ატლანტა-მემფისი (9 მარტი)

## ჩოგბურთი

# ივონის ზღუდე


ანა ტატიშვილი

თუ არ ჩავთვლით რუსეთის მოქალაქეებს, **თეიმურაზ გაბაშვილსა** და **ანა ჩაკვეტაძეს**, ქართველ ჩოგბურთელთათვის ინდიან ველსის დიდი საერთაშორისო ტურნირი "პასიფიკ ლაიფ ოუფენი" დასრულებულია. ქალთა ტურნირის საპრიზო ფონდი 2,1 მილიონი დოლარია. კალიფორნიაში **მაკა ჩახნაშვილის** და **ანა ტატიშვილის** კარგი თამაშის იმედი გვქონდა, თუმცა პირველმა საკვალიფიკაციო ტურნირის პირველ წრეში, ხოლო "უაილდ ქარდით" დაშვებულმა ტატიშვილმა კი ძირითადი ბადის პირველ წრეში წააგეს. ბედის ირონიით, ორივე ქართველი ავსტრიელმა **ივონ მოისბურგერმა** (117) დაამარცხა.

ქართველთათვის მეექვსე კორტი უიღბლო აღმოჩნდა. სწორედ ამ კორტზე წააგო მაკა ჩახნაშვილმა დაძაბულ ბრძოლაში. ასევე დაძაბული გამოდგა ტატიშვილი-მოისბურგერის მატჩიც. ანამ პირველი სეტი ერთი ამოსუნთქვით მოიგო - 6:1, თუმცა ჩვენი იმედები მეორე და მესამე სეტებში დაიმსხვრა, როცა მოისბურგერმა ერთნაირი ანგარიშით 6:3 იმარჯვა, საბოლოოდ 6:1, 3:6, 3:6 და 17 წლის ქართველი ტურნირს უსახელოდ გამოეთიშა.

# ლაზარე გამოჩნდა, ოქსანაც

ავსტრალიის ღია პირველობის ახალგაზრდული ტურნირის შემდეგ პირველად ითამაშა 16 წლის ლაზარე კუხალაშვილმა. ლაზარე გამოდის პარაგვაიში, "ასუნსიონ ბოულში", რომელიც 18-წლამდელთა ასპარეზზე პირველი კატეგორიის ტურნირია. პარაგვაიში ლაზარე მე-13 ნომრად განთესეს. ბოულის პირველ წრეში ქართველი ისვენებდა, მეორეში კი ის ფრანგ **ნასიმ სლილამს** შეხვდა. სამწუხაროდ, ლაზარე ორ სეტში დამარცხდა - 1:6, 1:6. ახლა კუხალაშვილი წყვილთა თანრიგში ასპარეზობს, სადაც მეხუთე ნომრად არის განთესილი.

წლეულს პირველად თამაშობს 16 წლის **ოქსანა კალაშნიკოვაც**, რომელიც ლუქსემბურგის ღია პირველობაზეა. ეს ტურნირი 18-წლამდელთა ასპარეზზე მეორე კატეგორიისაა. ოქსანა მე-2 ნომრად განთესეს. მან პირველ წრეში პოლონელი **ოლა გრელა** დაამარცხა - 6:1, 7:6, მეორე კი ჰოლანდიელ **ანგელიკ ვან დერ მეეტს** მოუგო - 6:2, 6:4. კალაშნიკოვა ახალგაზრდულ მსოფლიო რეიტინგში 41-ე ჩოგანია, ლაზარე კუხალაშვილი - 43-ე.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## მშვილდოსნობა

საქართველოს თასი

# ლადიგინამ აჯობა

**გუშინ დიდუბის მძლეოსნობის მანეჟში დამთავრდა 8 მარტისადმი მიძღვნილი საქართველოს თასის გათამაშების პირველი ეტაპი მშვილდოსნობაში.**

მოგეხსენებათ, წლეულს ფედერაცია თასის გათამაშებას ახლებური პრინციპით, მსოფლიო თასის ანალოგიურად ატარებს. იგი სამ ეტაპად გაიმართება - მეორეს აპრილში ქუთაისი უმასპინძლებს, დასკვნითი, მესამე კი ოქტომბერში თბილისში ჩატარდება და თბილისობის დღესასწაულს დაემთხვევა. გამარჯვებულიც სამივე ტურნირის შედეგების მიხედვით გამოვლინდება და თასებიც მაშინ გადაეცემათ.

ფედერაციის ნოვაციაა ისიც, რომ მონაწილეთათვის საკვალიფიკაციო ქულები დააწესა - იგი საერთაშორისო მაჩვენებლებიდან გამომდინარეობს და ვინც მას ცოტათი მაინც თუ არ მიუახლოვდება, არც რესპუბლიკურ ტურნირებზე დაიშვება. თავისთავად, ამან ისედაც გაცხრილა მონაწილეთა რაოდენობა და შეჯიბრებაში 19 მონაწილე დაუშვეს, მაგრამ მწვრთნელ **ალექსანდრე მეჟევიძის** ჯგუფი ტურნირში ისევ არ გამოსულა. ამან გუშინდელ ეტაპს რამდენიმე ძლიერი მონაწილე გამოაკლო.

შესაძლოა, ესეცაა იმის ერთ-ერთი მიზეზი, რომ ტურნირი ბათუმელთა სრული უპირატესობით წარიმართა - ქალებშიც და ვაჟებშიც ყველა მედალი მათ მოიპოვეს, თუმცა თბილისელთაგან **ქრისტინე ესებუაც** ისროდა. ქალთა შეჯიბრება ბევრისთვის მოულოდნელი შედეგით დასრულდა - ფინალში **ოლგა ლადიგინამ ხათუნა ნარიმანიძე** დაამარცხა და სარვამარტოდ ჩინებული საჩუქარი გაუკეთა საკუთარ თავს. მესამე ადგილი **ასმათ დიასამიძემ** მოიპოვა. ლადიგინა ნაკრების წევრია და ევროპის ზამთრის პირველობებზე მოპოვებულ ვერცხ-ბრინჯაოში ორივეჯერ დიდი წვლილი დაიდო, მაგრამ ფავორიტები მაინც ოლიმპიური გუნდის წევრები - ნარიმანიძე და ესებუა იყვნენ. არადა, ლადიგინამ ესებუაც დაამარცხა, რომელმაც მერე მესამე ადგილისთვის შეხვედრაც წააგო დიასამიძესთან.

ვაჟებში **სერგო მირონოვმა** იმარჯვა, რომელმაც ფინალი **ტარიელ ქადიძეს** მოუგო, მესამეზე კი **ვლადიმერ ბოლქვაძე** გავიდა.

**ირაკლი თავაძ**

## თარიღი



9 მარტი, 1927 - დაიბადა მირიან ცალქალამანიძე (თავისუფ ჭიდაობა), 1956 წლის მელბურნის ოლიმპიური თამაშების ჩემპი მსოფლიო ჩემპიონატის მეორე (1957) და მესამე (1954) პრიზი მსოფლიოს თასის გათამაშების მეორე პრიზიორი (1956), სსრკ ჩემ ონი (1954), სსრკ ხალხთა I სპარტაკიადის ჩემპიონი (1956). სს სპორტის დამსახურებული ოსტატი, ღირსებისა და ვახტანგ გორგ ლის II ხარისხის ორდენების კავალერი.

9 მარტი, 1927 - დაიბადა გიორგი შარაშიძე (ხელბურთი). თბილისის "ბურევესტნიკის (1957-67) და სსრკ ნაკრების (1965-68) მთავარი მწვრთნელი. მისი ხელმძღვანელობით "ბურევეს ნიკი" ორჯერ გახდა სსრკ ჩემპიონი (1962, 64), სამჯერ - მეორე (1965, 66, 67) და მესამე (1963) პრ ზიორი. სსრკ ნაკრებმა მისი თავკაცობით მსოფლიოს ჩემპიონატში (1967) IV ადგილი დაიკავა. იყო თბილისის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე (1968-73). სსრკ დამსახურებული მწვრთნელი.

## თბილისის სპორტულ ბაზებზე

**9-10 მარტი**

მძლეოსნობა. დიდუბის მანეჟი. საქართველოს მოსწავლეთა პირველობა.

**დასაწყისი:** 9 მარტს 14:30; 10 მარტს 11:00.

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მემკვიდრეობა




რუბრიკას უძღვება მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში, სპორტის დამსახურებული ოსტატი

**გურამ სალარაძე**


# ოსი სპორტსმენები

ოს სპორტსმენებზე წერილს წმინდა იოანე ოქროპირის სიტყვებით დავიწყებ: "სიყვარული არი ძირი, წყარო და დედა ყოველი სიკეთისა". გავიხსენე ჩვენი სახელოვანი სპორტსმენები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან - აჭარიდან, აფხაზეთიდან, სამეგრელოდან, იმერეთიდან, ჩემი მშობლიური რაჭიდან... თუმც ყველა კუთხე ჩემთვის მშობლიურია. ახლა კი მინდა შევეხო საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ, ჩვენს ძვირფას თანამემამულე ოს სპორტმენებს, რომლებთანაც ათწლეულობით მეგობრობა და კეთილგანწყობა გვაკავშირებს...

ალარ მოვყვები დიდი თამარისა და დავით სოსლანის ისტორიას, ეს ბავშვმაც ისიც, მაგრამ იმას კი ვიტყვი გულწრფელად, რომ არ არსებობს ძალა, ქართველი და ოსი ხალხების საუკუნეებგამოვლილ სიყვარულზე რომ გაიმარჯვოს. ჩვენ ვიყავით და ვიქნებით ერთად მომავალშიც. ეს ფენომენალური ერი დედასაქართველოს უზრდიდა გამორჩენილ ადამიანებს, რომლებიც ქართველებთან ერთად ძმურ სიყვარულში იცავდნენ და დაიცავენ ქვეყნის პრესტიჟსა და კეთილდღეობას.

ჭიდაობის გარდა, დღევანდელ პუბლიკაციაში შევეხები ოსი სპორტსმენების მიღწევებს სპორტის სხვადასხვა სახეობაში. დავიწყებ ფეხბურთით. ოსი ფეხბურთელები ყოველთვის გამოირჩეოდნენ ინდივიდუალური ხელწერითა და ტექნიკით. ამის ბრწყინვალე მაგალითი იყო ფეხბურთელთა უფროსი თაობის წარმომადგენელი **ანდრო ზაზროევი** (ზაზროშვილი), 50-იანი წლების თბილისის "დინამოს" ღირსეული წევრი. დიდი ფეხბურთელობის გარდა, ის იყო უზადოდ დახვეწილი, რაფინირებული პიროვნება. პირადად ვიცნობდი მას. ნებისმიერი ადამიანი მოიხიბლებოდა მისი სიტყვა-პასუხითა და განათლებით, ჩაცმულობით დაწყებული, შესანიშნავი მუსიკალური გემოვნებით დამთავრებული. განუმეორებელ შთაბეჭდილებას ახდენდა ყველგან. 1948 წელს, თბილისის "დინამოში" ქართული ფეხბურთის ბერმუხამ **ანდრო ჟორდანიამ** მიიწვია. ნიჭიერი ფორვარდი ღირსეულად დაუდგა გვერდით ისეთ დიდოსტატებს, როგორებიც იყვნენ **ავთანდილ ღოღობერიძე, გრიგოლ გაგუა, ვიქტორ პანიუკოვი, რეზო მახარაძე** და სხვები. ერთხანს, კიევის "დინამოს" წევრიც იყო.

ვისაც უნახავს და ახსოვს **ზაურ კალოევის** თავურით ვირტუოზულად გატანილი გოლები, დაგვეთანხმება, როგორი ფენომენალური იყო ეს ფეხბურთელი. ანდა, გავიხსენოთ **გურამ ცხოვრებოვი**, რომელმაც ჯერ ქუთაისელი გულშემატკივრები აღაფრთოვანა და შემდგომ ეს მადლი თბილისშიც გადმოიტანა. 1964 წელს, თბილისის "დინამოსთან" ერთად, სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი დაისაკუთრა.

ქართული ფეხბურთის მშვენება იყო **ვლადიმერ გუცაევი**, რომლის ოსტატური თამაში მაყურებელში წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებდა. ის არის ზედმიწევნით კორექტული, პატივსაცემი ადამიანი.

ყველას გახსოვთ **ალექსანდრე აფშევიც**, ასევე 1964 წლის ჩემპიონი. ოსი ფეხბურთელებიდან კარგი თამაშით გამოირჩეოდნენ ქუთაისის "ტორპედოს" მოთამაშე **იგორ ჯანშიევი**, თბილისის "დინამოს" ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელი **ბახვა თედეევი**, აგრეთე **ზაურ ხაპოვი**, "დინამოს" გოლკიპერი. ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საფეხბურთო ცხოვრების ერთგვარი მაჯისცემა იყო ცხინვალის "სპარტაკი", რომლის ღირსებას იცავდნენ: **რ. შარაშენიძე, ლ. სახანოვი, მ. იგაევი, რ. თედეევი, ზ. თედეევი, რ. ჩიტოვი, ლ. გოცირიძე, ვ. გაბაევი, ლ. გაგიევი, ვ. ქიზაევი, ნ. მეგრელიშვილი, ა. ჯიჭოევი, ლ. გოგიძე, გ. კაზაროვი, ა. ჩეხოვი, ვ. ჟუკოვსკი, თ. ბაქრაძე** და **დ. გაზაევი**. გუნდს წვრთნიდა ზაურ კალოევი. თქვენ ხედავთ, რომ გუნდში ქართველებიც იყვნენ და რუსებიც, სუფევდა ჰარმონია, ურთიერთპატივისცემა და სიმშვიდე...

აქვე გავიხსენებ საქართველოს პირველობაზე მოასპარეზე "განთიადის" ფეხბურთელთა გუნდს, რომლის შემადგენლობაში გამოდიოდნენ: **კ. ცხოვრებოვი, ლ. გაგიეთი, რ. თედეევი, რ. ძიგოევი, ზ. თედეევი, ხ. ქიქოევი, ი. გაბაევი, ა. ჩეხოვი, რ. ჩიტაევი, ა. ქოზაევი, ა. ჯიჭოევი** და **გ. კარბოლაშვილი**. ცხინვალის ბავშვთა სკოლის ფეხბურთელთა გუნდმა კი ზედიზედ ორჯერ მოიპოვა საკავშირო "სიჭაბუკის თასი". სასიხარულოა, რომ გაისად, ცხინვალში, საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტული კლუბის "დინამოს" თავმჯდომარის **გოჩა ძასოხოვის** თაოსნობით, ამოქმედდება "ნორჩი დინამოელის" სკოლა თანამედროვე საფეხბურთო მოედნით. აქვე, მსურს, მადლიერების გრძნობით მოვიხსენიო საქართველოს ჩემპიონატებში, სხვადასხვა გუნდებში მონაწილე ცნობილი ოსი ფეხბურთელები: **გ. შუგაევი, ლ. ცხოვრებაშვილი, ზ. ჩოჩიევი, გ. ბესტაევი, ნ. ცხოვრებოვი, ა. ბესტაევი, გ. ხაბაევი, ზ. ბათიევი, ც. ელბაქიევი, ა. კაზაიევი, ა. ჯიოევი, ა. კალტაევი** და სხვები.

რაც შეეხებათ ოს მოჭიდავეებს, მათგან რჩეულებმა შორს გაუთქვეს სახელი ჩვენს ქვეყანას. **ლერი ხაბელოვი** - ჭიდაობის დიდი ოჯახის სული და გული, ყოველმხრივ გამორჩეული ზრდილობითა და თავმდაბლობით. ჩვენი ურთიერთდამოკიდებულებიდან გამომდინარე, ვიტოვებ უფლებას, ვეტერან მოჭიდავეთა სახელით გადავუხადო მადლობა იმ თანადგომისა და ყურადღებისთვის, რასაც ის თითოეული ჩვენგანის მიმართ იჩენს. ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიო ხუთგზის ჩემპიონობისთვის მიღებული მედლები შესანიშნავადაა შეხამებული მის პიროვნულ ღირსებებთან. ოსი ხალხი ამაყობს სახელოვანი მოჭიდავეებით, რომელთა აკვანი ცხინვალში დაირწა. ესენია: **ვადიმ ბოგიევი** - ატლანტის ოლიმპიური ჩემპიონი (რუსეთის სახელით ასპარეზობდა); **ელბრუს თედეევი** - ათენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი (უკრაინის სახელს იცავდა), ევროპის ჩემპიონი; რუსეთის თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი **ჯამბულაკ თედეევი**. რუსეთის დამსახურებული მწვრთნელი, საქართველოზე უზომოდ შეყვარებული **ბორის სიუკაევი**, ღვაწლმოსილი **ტოლიკ მარგიევი**. ისინი არ ივიწყებენ მშობლიურ ცხინვალს. ყველასთვის ცნობილი **ბორის შავლოხოვი** (კიევში მოღვაწეობდა)... **დავით გობეჯიშვილმა** მომაწოდა ცნობა ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონების, **პეტრე** და **ოლეგ ნანიევების** შესახებ, რომლებიც წარმოშობით ონის რაიონ სოფელ ჭვებარიდან ყოფილან.



ლერი ხაბელოვი, გოჩა ძასოხოვი, დავით გობეჯიშვილი

ვიდრე სხვა ოს მოჭიდავეებს მოვიხსენიებდე, არ დავივიწყოთ უფროსი თაობის წარმომადგენლებიც: მუხლმოუდრეკელი, მოჭიდავეთა რისხვა - **სერგო გაბარაევი**; სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორი, მსოფლიო ჩემპიონი, მსოფლიო თასის მფლობელი და სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი, ულამაზესი სტილით მოჭიდავე **ალიმბეკ ბესტაევი**; ჩვენი თაობის წარმომადგენელი **ანდრო ცხოვრებოვი** - ევროპის ჩემპიონი, სსრ კავშირისა და თბილისის საერთაშორისო ტურნირების მრავალგზის გამარჯვებული. გულშემატკივრებს, ალბათ, კარგად ეხსომებათ **ალიკ ცხოვრებოვის** ჭიდაობის თამამი სტილი; **ამირან მუზაევი** ჭიდაობის დიდი ოჯახის შესანიშნავი წარმომადგენელი ძიუდოსა და სამბოში. მსურს, მკითხველს შევახსენო **ესტატე ქარქუსაშვილის, ნიკოლოზ მუზაშვილის, ხარიტონ კორაევის, ბათუ თედეევის**, ცხინვალელი **ანატოლი მარგიევის, რუდიკ ალბოროვის, სტანისლავ ჯიოევის, ჯამბულ კოკაევის, ამირან ვალიევის**, ძმებ **სერგო** და **ფელიქს ალბოროვების, ბორის კულუმბეგოვის, ვლადიმერ კუძიევის, მელსი კოკაევის, ბატრას გასიევის, ოგი ალბოროვის, რისტიკ** და **ბორის ცხოვრებოვების, სელვიკ შიოევის, გენადი გიგიევის, თემურ სანაკოევის, ელზარ ლალიევის** და სხვათა სახელები.

წლების მანძილზე, სხვადასხვა რანგის ტურნირებში, არაერთხელ გამოუჩენიათ თავი თბილისელ და საქართველოს სხვა ქალაქებში მცხოვრებ, თავისუფალ, ბერძნულ-რომაულ, სამბოს და ძიუდოს მოჭიდავეებს: **მერაბ ვალიევს, გოჩა მაკოევს, ოთარ ვალიევს, კონსტანტინე დასაევს, ზაურ კოზორევს, დავით ბესტაევს, იოსებ ფუხაშვილს, ნუგზარ კულუმბეგაშვილს, სოსო ბეგიზოვს**, ძმებ **ვლადიმერ** და **ირაკლი ვალიშვილებს, ვლადიმერ ცხოვრებოვს, ნოდარ ხუგაშვილს**, ძმებ **ქელეხსაშვილებს, ტოტორბეგ ტაბუევს, გურამ კუძიევს, გიორგი ბილაევს, თენგიზ ტურიევს, გია გაგლოევს, ლეონიდ ცხოვრებოვს, მერაბ სოსიევს, ჰამლეტ თიბილოვს, ვიაჩესლავ კუძიევს, ყაზბეგ ბაბაევს, აკაკი გობოზოვს, თამაზ ბელოვს, მევლუდ გაბარაევს, ვლადიმერ გაზაევს** და მრავალ სხვას. მოჭიდავეებზე თხრობა მინდა დავამთავრო ქართული სპორტის ამაგდარის, ფიზკულტურულ-სპორტულ კლუბ "დინამოს" თავმჯდომარე **გოჩა ძასოხოვის** სიტყვებით: *"გვჯერა, რომ მოჭიდავეებს სწამთ სამშობლოს სიყვარული, უფრო მეტად არიან პასუხისმგებელნი ქვეყნის, მისი ხვალინდელი დღის ბედნიერებისა და გამარჯვების წინაშე"*.

ახლა კი ძალოსნებზე. საქართველოში მცხოვრებმა ოსმა ძალოსნებმა არაერთხელ ისახელეს თავი მაღალი რანგის ტურნირებში, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს **ვანო გრიქუროვის** დიდი დამსახურება. ამ ამაგდარმა მწვრთნელმა და შესანიშნავმა პედაგოგმა აღზარდა ოლიმპიური თამაშების სამგზის ჩემპიონი **კახი კახიაშვილი**, თბილისსა და ცხინვალში შექმნა მსოფლიოში სახელგანთქმული ძალოსნობის სკოლა. ამ სკოლის წარმომადგენელია საჩხერელი ფენომენი, ათენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი **გიორგი ასანიძე**. გრიქუროვის აღზრდილია ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის **არსენ კასაბიევი**. საქართველოში მცხოვრები ოსი ძალოსნებიდან გამოირჩევიან ვეტერანები: **ვალერი კოჩიევი, ვლადიმერ ხაჯანჯოევი, მიხეილ ხაჯანჯოევი, მიხეილ ძახაროვი, ალბერტ კუზილოვი, ნოდარ დოგუზოვი, ოთარ გალავანოვი, მურატ მელოევი, ბორის გულიაევი, ალიკ დემუროვი, იური კარგიევი, ერმაკ ჩოჩიევი**, რომლებმაც მრავალგზის ისახელეს თავი სხვადასხვა რანგის ტურნირებში. ცხინვალელი ძალოსნები - **შაქრო ფარაევი, ვლადიმერ ძასახოვი, ალექსი მედოევი, თენგიზ ზაგოევი, ნოდარ ბალამოვი, ვალერიან კოჩიევი** წარმატებით გამოდიოდნენ როგორც საკავშირო, ასევე მსოფლიო პირველობებსა და ევროპის ჩემპიონატებში. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი **გიორგი კოჩიევმა**, რომელიც ჭაბუკობაში თავისუფალ ჭიდაობაშიც ცდიდა ძალებს და საქართველოს ჩემპიონიც გახდა. როგორც ძალოსანი, ის სსრ კავშირის 1966 წლის ჩემპიონია სამჭიდში.

საწყლოსნო სპორტში გაითქვეს სახელი **ვლადიმერ ბარტაევმა** და **ბორის მარგიევმა**. ეს უკანასკნელი 60-იანი წლების სახელოვანი თბილისის "დინამოს" წყალბურთელთა გუნდის სული და გული იყო. დიდი ამაგი აქვს ვეტერან წყალბურთელს **ვაჟა ჩარტაევს**, რომლის ინიციატივით, საქართველოს სპორტის ისტორიაში პირველად, შეიქმნა წყალბურთელ გოგონათა გუნდი "ივერია" - სსრ კავშირის ჩემპიონი და მრავალგზის პრიზიორი. სანიჩბოსნო სპორტის სახეობიდან, ქართველებთან ერთად, ბევრჯერ ისახელეს თავი ოსმა ნიჩბოსნებმა - **ნუგზარ პილიევმა, სერგო ბარიევმა**, რომლებიც 1971 წელს, სსრკ ხალხთა მეხუთე სპარტაკიადაზე ბრინჯაოს მედლებს დაეუფლნენ. ამავე სპარტაკიადაზე, ფოთელების - **ნოდარ ჩარიევისა** და **ზურაბ ხოფერიას** დუეტმა ნიჩბოსნობაში, ორადგილიანი კანოეთი, პირველობა მოიპოვა. ქართული აკრობატიკის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ ოს აკრობატებს - **მიხეილ ქელეხსაშვილს, ალიკ თედეევს, გენადი გაბარაევს, სლავა დელიბატოვს, ნუგზარ ქუჯაევს, ალექსანდრე კოსიევს, სერგო სოსიევს, მადონა თედეევს**. მათი სახელოვანი ტრადიციები გააგრძელეს **ტერეზა ვალიევამ, ზალინა გუჩმაზოვამ, ნ. ბაგიევამ, ძ. ვალიევამ, ულიანა ბენიევამ, ეგნატე გათიკოვმა, ზემა გობოზოვმა, რ. ჯიჯოევმა, ი. ზარებოვმა, გ. ჯიოევმა, პ. ფეტოევმა**. მძლეოსნობაში თავისი წვლილი შეიტანეს საქართველოს სხვადასხვა ქალაქში მცხოვრებმა ოსმა სპორტსმენებმა: **ტერეზა ვალიევამ, ზალინა გუჩმაზოვამ, მადინა კაჩმაზოვამ, ინდირა გაზაევამ, ვენერა ჩარაევამ, ჟანა ბუსტაევამ, მადონა ჯიოევამ**. ვაჟებში თავი ისახელეს **ეგნატე გათიკოვმა, ოლეგ მამინოვმა, ბორის ტალხანოვმა** და ძმებმა - **ჟენია, დემურ** და **სოსო კაზიევებმა**.

ოსი მოკრივეები ცნობილნი იყვნენ, როგორც რესპუბლიკაში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. ესენი იყვნენ: **ზაურ კოზაევი, რუსლან ჩიკოევი, სერგო ჯაბაევი, ერნალდ ჩოჩიევი, ბორის ბეიზაროვი, ჯამბულ კოკოევი, ამირან ვალიევი, როსტომ შამოევი, პეტრე ხუბეჟოვი, რომან კისიკევი, ვალერი ვალიევი, გურამ ასრევი, თემურ კოჩიევი, ოგი ალბოროვი**... ჩვენდა გასაოცრად, შესანიშნავი ქალბატონი **რუსუდან კოჩიევა**, თავის დროზე, მძიმე წონაში ასპარეზობდა რინგზე. მისდა სასიქადულოდ, შემდგომში ის ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი გამხდარა.

ოსი ფრენბურთელი **ანა ძუგაევა** და **მარინა გაგლოევა** ამშვენებდნენ თბილისის "ბურევესტნიკის" ფრენბურთელ ქალთა გუნდს. ტანმოვარჯიშე სპორტის ოსტატები იყვნენ **ემა ქოვლევა, ზაზუმა ცხოვრებოვა**, სასროლო სპორტში - **დიმიტრი ფილიევი, კლიმ ფოტოევი, ბორის კაორევი**, ფარიკაობაში - **დავით ცხოვრებოვი, ხაზბი ჩიბიროვი, ელენე ბაგაევა, თენგიზ ხალდაევი**, ველოსიპედისტები - **ვალერი ჯუგაევი, გივი ხუბულოვი, ალექსანდრე ცხოვრებოვი**... მომავალში ტრადიციები აუცილებლად გაგრძელდება.

ოსები ამბობენ: "ვასტერჯი" - წმინდა გიორგის მადლი, "ამენხვეშავ" - დიდება ღმერთს! ამ მადლით და ღმერთის შემწეობით დედასაქართველო ერთად გვედიდებინოს, ძვირფასო თანამემამულენო!



ვლადიმერ გუცაევი

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# რამდენს გაქაჩავს ლებრონი?

დღეს, ერთი კაცის გუნდები ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში, წინა დეკადისგან განსხვავებით, ნაკლებად ბობოქრობენ, თუმცა ერთ-ერთი გამონაკლისი, ამ შემთხვევაში კი "კლივლენდ კავალიერსი", მთლიანად იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ წინასამატჩო გუნებაზეა **ლებრონ ჯეიმსი** და თუ მას თამაში მისდის, მაშინ სულ ერთია, ვის წინააღმდეგ უწევს გამოსვლა აღმოსავლელს - ოპონენტი ნაგებისთვისაა განწირული.

**კრის უებერის** "დეტროიტში" გადასვლამდე, აღმოსავლეთში სწორედ ჯეიმსი და მისი თანაგუნდელები ითვლებოდნენ კონფერენციის მოგების მთავარ ფავორიტებად. უებერმა "პისტონზი" საბოლოოდ შეკრა, "კავალიერსს" კი ხან ვინ დაემტვრა და ხან – ვინ. გუნდებს შორის ჰანდიკაპი ნელ-ნელა იზრდებოდა, მაგრამ ლებრონმა სული მოითქვა, ათამაშდა მისი ერთადერთი მოვარსკვლავო თანაგუნდელი **ლარი ჰიუზი** და "კლივლენდიც" გუნდს, და არა ერთი კაცის იმპროვიზაციის სამჭედლოს დაემსგავსა.

დეტროიტის "პელესში" ჯეიმსმა მიმდინარე რეგულარულში თავისი საუკეთესო მატჩი ჩაატარა. 41 ქულით პირადი (საამსეზონო) რეკორდი ხომ დაამყარა, ოვერტაიმში კი ისე ითამაშა, სტაჟიან გულშემატკივარს იქნებ "ბულზის" ერთი ყოფილი წევრიც კი გახსენდებოდა.

**ჩონსი ბილაპსსა** და მის გუნდს, წელს "კავალიერსი" ორჯერ დაემარცხებინა, ორივეჯერ კლივლენდში და "პისტონზის" საშუალო უპირატესობა მოგებულ მატჩებში 14 ქულას შეადგენდა.

ჯეიმსმა ძირითადი დროის დასრულებასთან ერთად, ურთულესი სიტუაციიდან შორეული ტყორცნა გამოიყენა, მაგრამ მსაჯებმა ვიდეოთვალი მოიშველიეს და ერთხმად განაცხადეს - ლებრონმა ბურთი კალათისკენ საფინალო სირენის მერე გაუშვაო.

დაიწყო თუ არა დამატებითი ხუთწუთეული, ჯეიმსმა **რაშიდ უოლასს** ეგრევე პერსონალური შენიშვნა მიალებინა და ორივე საჯარიმო სროლა გამოიყენა. დაცვაში ჩასულმა ფენომენმა კი, **რიჩარდ ჰამილტონს** ისე მიაფარა, ეს უკანასკნელი "კავალიერსის" სამწამიანში ჩარჩა და კონტრშეტევაზე გადასულ "კლივლენდს" უპირატესობის გავრცობა არ გასჭირვებია.

ჯეიმსს ძირითადის დასრულებამდე ორივე საჯარიმო რომ ზუსტად შეესრულებინა, მაშინ ინტრიგა მყისვე დასამარდებოდა, მაგრამ ახალგაზრდა უნივერსალს მაჯა აუკანკალდა და "პისტონზს" ზუსტი სამქულიანის შემთხვევაში, შეხვედრის კიდევ 5 წუთით გახანგრძლივების შანსი მიეცა.

წუთშესვენების მერე, ბილაპსმა დრო გაიყვანა, მერე კი გადამწყვეტ სროლაზე უოლასი გაიყვანა, მაგრამ ვეტერან ფორვარდს მიზანმა უმტყუნა, ფარიდან ასხლეტილი ბურთი კი **ანდერსონ ვარეჟაომ** (6-დან მხოლოდ 2 ზუსტი საჯარიმო) მოხსნა. მასპინძლები მასზე დაჯარიმდნენ და ბრაზილიელმაც ორიდან ერთი საჯარიმოს ზუსტად შერულებით, შეხვედრის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

*"მთელი გუნდი ლებრონის კისერზე ვკიდივართ, მაგრამ როდემდე? რეგულარულში ეს კიდევ დასაშვებია, მაგრამ ფლეი ოფში არ გაგვახარებენ. კარგია, რომ მოვიგეთ, თუმცა სამუშაო ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს"*, - ამბობდა ნამატჩევს გამართულ პრესკონფერენციაზე ლარი ჰიუზი.

■ ■ ■

მიუხედავად იმისა, რომ "ყველა ვარსკვლავის" მატჩის მერე, "ფინიქს სანზმა" 9 შეხვედრიდან მხოლოდ ერთი დათმო, გუნდის მთავარი მწვრთნელი **მაიკ დენტონი** მაინც უკმაყოფილოა შეგირდების გამოსვლით. აქვს კიდეც ამის საბაბი.

არიზონელები, რომლებმაც მესამე მეოთხედში მეორე ტექნიკურით ვარსკვლავი ცენტრი **ამარე სტაუდმაიერი** დაკარგეს, საცოდავ "ბობქეთსთან" დაპირისპირებაში ზუსტი სამქულიანების წვიმამ გადაარჩინა. 19 ზუსტი შორეული გასროლით, "ფინიქსს" გუნდურ რეკორდამდე ერთადერთი სამქულიანი დააკლდა, **ლეანდრო ბარბოსამ** კი 32 ქულით კარიერის რეკორდი დაამყარა.

ბარბოსა, რომელიც ამ რეგულარულის საუკეთესო რეზერვისტისთვის დაწესებული პრიზის მთავარი ფავორიტია, 11-დან 7 სამქულიანი გამოიყენა.

რაც შეეხება ამარეს, კიდევ ორი ტექნიკური და სტაუდმაიერი ერთ შეხვედრას გამოტოვებს. მას ამ ეტაპზე 14 იდენტური შენიშვნა აქვს მიღებული.

"შარლოტმა" კი ზედიზედ მეშვიდე მატჩი წააგო.

■ ■ ■

იგებს და განაგრძობს სპეციალისტების განცვიფრებას "ჰიტი". **დუეინ უეიდის** არყოფნაში, ბოლომდე გაშალა ჯანიანი მხარ-ბეჭი **შაკმა,** რომელმაც ილინოისის "ბულზთან" 8 შედეგიანი გადაცემით ამ რეგულარულის საუკეთესო პირადი შედეგი აჩვენა.

ონილმა მიწასთან გაასწორა **ბენ უოლასი** (31 წუთში 5 ქულა, 9 მოხსნა და ერთადერთი დაფარება), მისმა გუნდმა კი დიდი შესვენების მერე, ერთი მონაკვეთი 38:9 (!) მოიგო და მატჩის ბედიც აქ გადაწყდა.

ამ სეზონში მოქმედმა ჩემპიონებმა "ხარებს" მეოთხე მატჩშილა აჯობეს, რეგულარულის გახსნის დაპირისპირებაში კი, **კირკ ჰაინრიხმა** და კომპანიამ ფლორიდელებს საჩემპიონო ბეჭდების მიღების სიხარული ჩაუშხამეს და "ჰიტი" მისსავე მოედანზე 108:66 გადაუარეს.

**ზურაბ თალაკვაძე**




ლებრონს ვერ დაუდგნენ

**ატლანტა–ვაშინგტონი 100:97**

21:31, 23:21, 27:15, 29:30

**ატლანტა:** ზაზა ფაჩულია (27 ქ. 12 მ. 4 პ. 3 დ. 1 ჩ), ე. ჯონსონი (19 ქ. 4 პ. 3 მ), ჯოშ სმიტი (13 ქ. 3 მ. 3 დ), ჩილდრესი (7 ქ. 13 მ).

**ვაშინგტონი:** არენასი (28 ქ. 5 მ. 4 პ. 4 ჩ), ჯეიმისონი (22 ქ. 4 მ), კ. ბატლერი (19 ქ. 11 მ. 3 პ. 2 ჩ).

**ფილადელფია–სიეტლი 92:89**

33:23, 18:22, 20:21, 21:23

**ფილადელფია:** იგუოდალა (25 ქ. 11 მ. 10 პ), ა. მილერი (17 ქ. 3 პ), ს. ჰანტერი (13 ქ. 8 მ), ჯო სმიტი (11 ქ), კორვერი (10 ქ. 3 ჩ), დალემბერი (8 ქ. 20 მ. 2 დ).

**სიეტლი:** რ. ალენი (29 ქ. 3 მ. 3 პ), რ. ლიუისი (11 ქ. 2 ჩ. 2 დ), უოტსონი (10 ქ. 9 პ. 5 მ. 4 ჩ), კოლისონი (9 ქ. 11 მ).

**ტორონტო–მემფისი 95:87**

25:20, 24:18, 26:21, 19:28

**ტორონტო:** ბოში (19 ქ. 9 მ. 3 დ. 2 ჩ), ბარნიანი (18 ქ. 3 მ. 2 ჩ. 1 დ), დიქსონი (17 ქ. 5 მ), კალდერონი (11 ქ. 9 პ. 4 მ), ჯ. გრემი (10 ქ. 5 მ).

**მემფისი:** მ. მილერი (19 ქ), გეი (17 ქ. 11 მ), გასოლი (16 ქ. 4 მ. 4 პ), კინსი (11 ქ. 8 მ).

**დეტროიტი–კლივლენ. 97:101 (ო)**

24:34, 26:18, 20:18, 23:23, 4:8

**დეტროიტი:** რ. ჰამილტონი (29 ქ), უებერი (20 ქ. 11 მ. 4 პ), ბილაპსი (16 ქ. 14 პ. 7 მ), პრინსი (12 ქ), რ. უოლასი (7 ქ. 6 მ).

**კლივლენდი:** ლ. ჯეიმსი (41 ქ. 8 პ. 7 მ. 3 ჩ), გუდენი (22 ქ. 10 მ), ილგაუსკასი (14 ქ. 10 მ), ჰიუზი (12 ქ. 8 მ. 6 პ. 2 ჩ).

**მაიამი–ჩიკაგო 103:70**

30:18, 22:25, 18:13, 33:14

**მაიამი:** შ. ონილი (24 ქ. 9 მ. 8 პ), ე. ჯოუნსი (23 ქ. 6 პ. 3 ჩ. 2 დ), ა. უოკერი (14 ქ. 10 მ. 5 პ. 2 დ), ჰასლემი (12 ქ. 6 მ. 2 ჩ).

**ჩიკაგო:** გორდონი (14 ქ. 8 მ. 4 პ), დიუჰონი (12 ქ), ჰაინრიხი (11 ქ. 3 ჩ).

**ბოსტონი–ჰიუსტონი 80:111**

22:30, 27:32, 19:31, 12:18

**ბოსტონი:** ელ ჯეფერსონი (20 ქ. 13 მ. 3 პ), პირსი (20 ქ), პოუ (9 ქ. 5 მ).

**ჰიუსტონი:** მაკგრეიდი (25 ქ. 9 პ), ბეტიე (15 ქ. 5 მ), ალსტონი (14 ქ. 7 პ), ჩ. ჰეიესი (14 ქ. 11 მ. 2 ჩ), ჯუვან ჰოვარდი (12 ქ. 5 მ. 2 დ), მინი (11 ქ. 5 მ. 4 პ).

**მილუოკი–ლეიკერსი 110:90**

21:21, 29:23, 27:17, 33:29

**მილუოკი:** ვილიანოვა (26 ქ. 3 პ), ბოგუტი (22 ქ. 6 მ. 5 პ), ჩ. ბელი (20 ქ), პატერსონი (13 ქ), მო უილიამსი (10 ქ. 13 პ. 2 ჩ), რედი (10 ქ).

**ლეიკერსი:** მ. ევანსი (22 ქ), კუკი (20 ქ. 5 მ), კვამე ბრაუნი (13 ქ. 6 მ. 3 დ), ს. პარკერი (10 ქ. 5 პ).

**ფინიქსი–შარლოტი 115:106 (ო)**

30:19, 25:33, 24:27, 19:19, 17:8

**ფინიქსი:** ბარბოსა (32 ქ. 4 პ), ნეში (24 ქ. 11 პ. 6 მ. 2 ჩ), რ. ბელი (18 ქ. 4 პ), მერიონი (16 ქ. 11 მ. 6 დ), ა. სტაუდმაიერი (10 ქ. 6 მ), ჯ. ჯოუნსი (10 ქ).

**შარლოტი:** ჯ. უოლასი (22 ქ. 15 მ), ა. მორისონი (22 ქ. 5 მ. 3 პ. 2 ჩ), კეროლი (16 ქ. 6 მ), ნაითი (14 ქ. 9 პ), ფელტონი (13 ქ. 8 მ. 8 პ. 3 ჩ), ვოსკული (13 ქ. 13 მ).

**იუტა–ინდიანა 94:72**

24:22, 26:15, 17:24, 27:11

**იუტა:** დ. უილიამსი (17 ქ. 6 პ), ბუზერი (14 ქ. 16 მ. 4 პ), ჰარპრინგი (14 ქ. 2 ჩ), ფიშერი (11 ქ. 4 მ. 4 პ).

**ინდიანა:** მერფი (15 ქ. 2 დ), დ. გრეინჯერი (12 ქ. 7 მ. 3 პ. 2 ჩ), დ. არმსტრონგი (12 ქ), ჯ. ონილი (11 ქ).

**გოლდენ სტ.–დენვერი 110:96**

31:28, 28:30, 22:11, 29:27

**გოლდენ სტეიტი:** ბ. დევისი (22 ქ. 9 პ. 5 მ. 2 ჩ), ელ ჰარინგტონი (20 ქ. 9 მ), ს. ჯექსონი (18 ქ. 8 პ), ჯ. რიჩარდსონი (16 ქ. 6 მ. 3 დ), ბიედრინსი (12 ქ. 15 მ. 3 დ).

**დენვერი:** აივერსონი (35 ქ. 6 მ. 3 პ. 2 ჩ), დ. ჯონსონი (15 ქ. 3 დ), კემბი (9 ქ. 14 მ. 2 ჩ. 2 დ), კლეიზა (8 ქ. 10 მ), რ. ევანსი (4 ქ. 11 მ).



ეროვნული ბიბლიოთეკა




პოლ შჩასტნის (26) რეკორდს ულოცავენ

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

# ჩემპიონობისთვის დიდი ბრძოლაა

**ბაფალო–კოლორადო 2:3**

1:1, 1:1, 0:1

**გოლები:** 1:0 პაეტჩი-2 (ბ. კემპბელი-34, მეირი-6), 1:1 ჰეიდუკი-27 (პ. შჩასტნი-42, ზაუერი-3), 1:2 მაკლინი-12 (ჰეიდუკი-30, პ. შჩასტნი-43), 2:2 პომინვილი-27 (ბრიერი-52, ჰეხტი-29), 2:3 ვოლსკი-20 (საკიკი-50, ბრუნეტი-40).

ამ მატჩში სპეციალიტების ყურადღება ლიგის დებიუტანტ **პიტერ შჩასტნისკენ** იყო მიპყრობილი. თუ ეს ახალგაზრდა ჰოკეისტი შეხვედრაში თუნდაც ერთ ქულას მოიპოვებდა, მაშინ ის ფინელი ტეემუ სელიანეს რეკორდს გაიმეორებდა. საქმე ისაა, რომ ამ მატჩამდე, შჩასტნი ზედიზედ 16 თამაშში აგროვებდა მინიმუმ ერთ ქულას, ხოლო ლეგენდარული ფინელის წარმატებული სერია 17 მატჩს უტოლდებოდა. ეს რეკორდი სელიანემ თავის სადებიუტო სეზონში, 1993 წელს "ვინიპეგ ჯეტსში" თამაშისას დაამყარა.

შჩასტნის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ამოცანა გადაჭარბებით შეასრულა, ორი შედეგიანი გადაცემა მიითვალა და რეკორდის თანამფლობელი გახდა.

რაც მთავარია, შჩასტნიმ დიდი წვლილი შეიტანა "კოლორადოს" ზედიზედ მეხუთე გამარჯვებაში. ეს გუნდი გააფთრებით იბრძვის დასავლეთ კონფერენციის ბოლო საფლეიოფო საგზურისთვის. ამ მოგების შემდეგ, "ეველანში" მერვე ადგილზე მყოფ "მინესოტას" ექვსი ქულით მოუახლოვდა. "კოლორადო" ერთადერთი გუნდია, რომელსაც შეუძლია მინესოტელებს პრობლემები შეუქმნას, ვინაიდან დასავლეთის ცხრილის ქვედა ნაწილში მყოფ დანარჩენ გუნდებს, პრაქტიკულად, დაკარგული აქვთ სტენლის თასზე თამაშის შანსი.

სტენლის თასზე მოსახვედრად "კოლორადოს" მოტივაცია გასაგებია - ამ გუნდს 1994 წლის შემდეგ არცერთხელ არ გამოუტოვებია ფლეი ოფის ეტაპი.

აღნიშნულ შეხვედრაში კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი ამბავი მოხდა - სტუმართა კაპიტანმა **ჯო საკიკმა** კარიერაში 965-ე შედეგიანი პასი გააკეთა და NHL-ის ყველა დროის სიაში მე-11 ადგილზე გადაინაცვლა. ჯომ ერთი გადაცემით გაუსწრო ლეგენდარულ **დუგ გილმორს**.

თუ "კოლორადოს" ჯერ კიდევ მოსაგვარებელი აქვს ფლეი ოფში მოხვედრის საკითხი, "ბაფალოს" ეს ამოცანა უკვე კარგა ხანია გადაჭრილი აქვს. ამ გუნდს სულ სხვა მიზნები ამოძრავებს, კერძოდ, "სეიბრზი" მთლიანად რეგულარულის ჩემპიონობისთვის იბრძვის. ლიგის 30 გუნდს შორის, "ბაფალო" ჯერჯერობით მეორე ადგილზეა და ლიდერ "ნეშვილს" ერთი ქულით ჩამორჩება, თუმცა მასზე ორით ნაკლები მატჩი აქვს ჩატარებული. ცნობისთვის, "სეიბრზმა" ბოლო 12 შეხვედრაში მხოლოდ მესამედ წააგო.

ამჯერად "ბაფალოს" ვერ უშველა შემადგენლობაში დაბრუნებულმა **კრის დრურიმ**, რომელმაც ტრავმის გამო ოთხი შეხვედრა გამოტოვა.

**ედმონტონი–ტამპა ბეი 1:3**

0:0, 0:2, 1:1

**გოლები:** 0:1 პროსპალი-12 (ბ. რიჩარდსი-39, ბოილი-40), 0:2 ლეკავალიე-44 (პროსპალი-36, სენტ ლუისი-51), 1:2 შმიდი-2 (ტორესი-19, ლუპული-11), 1:2 ლეკავალიე-45 (სენტ ლუისი-52, იანიკი-7).

სტენლის თასის შარშანდელი ფინალისტი "ედმონტონი", ფლეი ოფის საგზურის მომტან მერვე ადგილს 13 ქულით არის დაშორებული, რაც იმას ნიშნავს, რომ "მენავთობეებს" სტენლის თასზე მოხვედრის თეორიული შანსი დარჩათ.

ეს წარუმატებლობა "ედმონტონმა" საკუთარ თავს უნდა დააბრალოს. მას შემდეგ, რაც კლუბის ხელმძღვანელებმა გუნდის ლიდერი და სიმბოლო - **რაიან სმიტი** "ნიუ იორკ აილენდერსში" გაუშვეს, "ოილერზმა" ზედიზედ ხუთი თამაში წააგო და სწორედ ამის შემდეგ გახდა ამ გუნდის შანსები მიზერული.

"ტამპა ბეისთვის" კი "ედმონტონთან" გამარჯვებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს გუნდი სამხრეთ-აღმოსავლეთი დივიზიონის ჩემპიონობისთვის იბრძვის და ამ მოგებით, ის ლიდერ "ატლანტა ტრეშერზს" ქულათა რაოდენობით გაუთანაბრდა.

"ლაითნინგის" წარმატება მისმა ლიდერებმა განაპირობეს. დუბლი შეასრულა **ვენსან ლეკავალიემ**, რომელმაც სეზონში გოლების რიცხვი 45-მდე აიყვანა და სნაიპერთა დავაში ლიდერობა გაიმყარა. ორ-ორი ქულით გუნდს **ვაცლავ პროსპალი** და **მარტინ სენტ ლუისიც** შეეწიენ.

ზემოთ "ოილერზის" ჩავარდნაზე ვისაუბრეთ. მიუხედავად იმისა, რომ ამ გუნდს ფლეი ოფის მატჩები გვერდზე რჩება, ედმონტონელი გულშემატკივრები მაინც ბოლომდე ერთგულნი რჩებიან. გუშინ, "ედმონტონის" საშინაო არენა - "რექსოლ პლეისში" ზედიზედ 67-ე ანშლაგი დაფიქსირდა.

**ანაჰაიმი–ფინიქსი 2:1**

1:1, 0:0, 1:0

**გოლები:** 0:1 დოენი-23 (სიოსტრიომი-8), 1:1 ჯეკმენი-2 (პერი-20, ე. მაკდონალდი-44), 2:1 დიპენტა-2.

რეგულარულში ჩემპიონობის შანსი "ანაჰაიმსაც" აქვს. მცირეხნიანი ჩავარდნის შემდეგ, ამ გუნდმა კვლავ გაიხსენა გამარჯვებების გემო, რისი წყალობითაც, "იხვებმა", პრაქტიკულად, გაინაღდეს წყნარი ოკეანის დივიზიონის ჩემპიონის ტიტული, ხოლო ჩემპიონატის ლიდერ "ნეშვილს" სამ ქულამდე მიუახლოვდნენ.

ის, რომ "ანაჰაიმი" "ფინიქსს" მოუგებდა, რთული გამოსაცნობი სულაც არ ყოფილა - ამ გუნდების ბოლო 18 დაპირისპირებაში 16-ჯერ უპირატესობა "დაქსის" მხარეს იყო.

**კოლამბუსი–ლ. ანჯელესი 3:2 (ო)**

1:0, 0:2, 1:0, 1:0

**გოლები:** 1:0 პლატი-1 (ნეში-24, ვიბორნი-42), 1:1 დალმანი-1 (დ. არმსტრონგი-32, ო'სალივანი-4), 1:2 ჰიუვარდი-5 (კამალერი-40, ფროლოვი-30), 2:2 ვიბორნი-15 (ა. ერიქსონი-20, პლატი-3), 3:2 ვიბორნი-16 (ჰეინსი-22, ნეში-25).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კრივი

ზემძიმე წონა

# კლიჩკოს სხვაც უნდა



რეი ოსტინი და ვლადიმირ კლიჩკო

თანამედროვე პროფესიული კრივის ზემძიმე წონას გამოკვეთილი ვარსკვლავი აკლია. ოთხივე პრესტიჟულ გაერთიანებას "თავისი" ჩემპიონი ჰყავს და ისე ხდება, რომ ეს ჩემპიონები ერთმანეთს ან ვერ ხვდებიან, ან უბრალოდ, გაურბიან. მათში ყველაზე ნიჭიერ და გამორჩეულ ჩემპიონად სპეციალისტების უმეტესობა უკრაინელ **ვლადიმირ კლიჩკოს** მიიჩნევს.

კრივის საერთაშორისო ფედერაციის (IBF) ჩემპიონის ტიტულის მფლობელი თავის მორიგ ბრძოლას გერმანიის ქალაქ მანჰაიმში, ამერიკელი **რეი ოსტინის** წინააღმდეგ ხვალ გამართავს და იმედოვნებს, რომ ამ ბრძოლის შემდეგ, რომელიმე სხვა ჩემპიონთან ბრძოლის საშუალებაც მიეცემა.

თავის ბოლო ბრძოლებში, კლიჩკოს დამარცხებული ჰყავს **კრის ბერდი, კელვინ ბროკი** და **სემუელ პიტერი**. ოსტინი კი იმით დაიკვეხნის, რომ უკვე ექვსი წელია, ერთი ბრძოლაც არ წაუგია. უკრაინელთან შეხვედრა მის კარიერაში ტიტულის მოპოვების რეალური შანსია, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ მას არასოდეს დაუმარცხებია ცნობილი მოკრივეები.

*"რეი ოსტინს მთლიანად შეცვლილსა და აშკარად საუკეთესო ფორმაში მყოფ ვლადთან ბრძოლა მოუწევს. გარწმუნებთ, ამ ბრძოლის მნახველნი ზემძიმე წონის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული მოკრივის აღმასვლის დასაწყისის მოწმენი შეიქმნებიან"*, - ამბობს კლიჩკოს მწვრთნელი **ემანუელ სტიუარდი**, ვინც არაერთი სახელოვანი მოკრივის მწვრთნელი ყოფილა, რომელთა შორისაც აშკარად გამორჩეული იყო ბრიტანელი **ლენოქს ლიუისი**.

თავისი მწვრთნელისგან განსხვავებით, გაცილებით თავშეკავებულია თავად კლიჩკო: *"ჯერაც ბევრი გარჯა მმართებს იმისთვის, რომ ჭეშმარიტ ჩემპიონად ჩამოვყალიბდე. ახლა სწორ გზას ვადგავარ, მაგრამ მთავარი მიზნისთვის ჯერ არ მიმიღწევია"*.

ვლადიმირ კლიჩკოს (47-3, 42 ნოკაუტი) "მომდევნო დიდ ჩემპიონად" უკვე მეორედ მოიხსენიებენ. კრივის მოყვარულებს ალბათ ახსოვთ, თუ რით დამთავრდა მისი პირველი აღმასვლა - 2003 წელს უკრაინელი ორ რაუნდში დაანოკაუტა **კორი სანდერსმა**, ერთი წლის შემდეგ კი კლიჩკოს ხუთ რაუნდში აწვნია ნოკაუტი **ლეიმონ ბრიუსტერმა**.

ვლადიმირის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ზედიზედ ორი მწარე მარცხის მიუხედავად, მან შეძლო, თავის თავში ეპოვნა რეზერვი, რომლის წყალობითაც კიდევ ერთხელ დაუბრუნდა კრივის მწვერვალს.

*"ბევრი ფიქრობდა, რომ ბრიუსტერთან წაგების შემდეგ, ჩემს კარიერას წერტილი დაესმებოდა, მაგრამ თავდაჯერებულობა არასოდეს დამიკარგავს და ამის წყალობით, კვლავ ჩემპიონი ვარ. უფრო მეტიც, იმ ჩავარდნამ კრივისადმი სიყვარული გამიძლიერა"*, - ამბობს კლიჩკო.

კლიჩკო რომ ბრძოლის ფავორიტია, ამას კომპანია HBO-ს სარეკლამო ბილბორდიც გვეუბნება, რომელზეც მხოლოდ უკრაინელის სურათია გამოსახული, ოსტინი (24-3) კი საერთოდ არ ჩანს. ამასთან, ამერიკელის სახელიც პატარა ასოებითაა გამოსახული.

ალსანიშნავია, რომ წინა, მასზე დაბალი მეტოქეებისგან განსხვავებით, ოსტინი კლიჩკოს სიმაღლისაა. ამ ფაქტს ამერიკელის ბანაკში განსაკუთრებით უსვამენ ხაზს და ამბობენ, რომ უკრაინელს პირველად ექნება თავისი ზომის მეტოქესთან საქმე და ახლა იგრძნობს, რას ნიშნავს ესო.

*"გაიხსენეთ, რომ კლიჩკოს უჭირს მაღალ და მძიმე მოკრივეებთან ბრძოლა. რეი ოსტინი მისი სიმაღლისაა და არც წონითაა ნაკლები. თანაც, ის საუკეთესო ფორმაშია და ამდენად, ჩემპიონისთვის რეალურ საფრთხეს წარმოადგენს"*, - ამბობს ოსტინის მწვრთნელი **სტეისი მაკკინლი**.

ოსტინი 36 წლისაა. მან ბოლო მარცხი 2001 წელს ვინმე **ატილა ლევინისგან** იწვნია, მას შემდეგ კი მხოლოდ არაფრით გამორჩეულ მეტოქეებს უგებს, უფრო ცნობილებთან - რუს **სულთან იბრაგიმოვსა** და ამერიკელ **ლარი დონალდთან** კი ფრეს მიაღწია.

კლიჩკომ შეიძლება მართლაც დაამტკიცოს, რომ თანამედროვე ჩემპიონებს შორის ყველაზე გამორჩეულია, მაგრამ მაინც გაუჭირდება მთავარი მიზნის მიღწევა - ტიტულების გაერთიანება. ამის მიზეზი კი, ზემოთაც ვთქვით, დანარჩენი სამი პრესტიჟული გაერთიანების (WBA, WBO, WBC) ხელისუფალთა ჭირვეულობაა.

და მაინც, არჩევანი რომ ჰქონდეს, ვისთან შეხვედრას ისურვებდა ყველაზე მეტად, ვლადიმირი რუს გიგანტ **ნიკოლაი ვალუევს** ასახელებს:

*"ჩვენ, მე და ნიკოლაის, შეგვიძლია, დაუსრულებელ მსჯელობას წერტილი დავუსვათ. ჩვენი ბრძოლა ჭეშმარიტ ჩემპიონს გამოავლენს. მთავარია, ეს ბრძოლა შედგეს"*!

**მერაბ ლორთქიფანიძე**

## ველოსპორტი

ვარსკვლავი

# ვალვერდე ტაქტიკას ცვლის



ალეხანდრო ვალვერდე

ესპანელი ველომრბოლი **ალეხანდრო ვალვერდე** "მიხვდა", რომ თუ ტაქტიკას შეცვლის, საფრანგეთის ტურზე უფრო მეტის მიღწევის შანსი ექნება. მან აღმოაჩინა მიზეზი, რის გამოც საფრანგეთის გზებზე ყოველთვის მეორეხარისხოვან როლს თამაშობს. არადა, უფრო მეტიც შეუძლია.

ვალვერდემ დაასკვნა, რომ თუ სეზონის დასაწყისში გამოაცხადებს, რომ ტურის შემდეგ ვუელტაზეც გამოვა, მაშინ საფრანგეთში არაფერი გამოუვა. ამის დასტური ისაა, რომ წინა ორ შემთხვევაში, როცა ორივე რბოლაში მიიღო მონაწილეობა, მიზანს ვერცერთში მიაღწია.

ახლა ის არაფერს ამბობს იმაზე, აპირებს თუ არა ესპანეთის ველომარათონზე გამოსვლას. სამაგიეროდ, აცხადებს, რომ სეზონში მისი მთავარი მიზანი, ტურ დე ფრანსის მოგებაა.

*"ადრე ვამბობდი, რომ თუ ტურზე კარგად ვერ გამოვიდოდი, მაშინ ვუელტაზე ვიასპარეზებდი. მაგრამ როგორც ჩანს, ამით ვითარსებოდი. ახლა ასე აღარ მოვიქცევი და წინდაწინ ვიტყვი, რომ ვუელტაზე გამოსვლას არ ვაპირებ და მთელი მონდომებით მოვემზადები ტურისთვის. იქნებ, იღბალმა ამ შემთხვევაში მაინც არ მაქციოს ზურგი"*, - ამბობს ვალვერდე.

შეგახსენებთ, რომ შარშანდელ ტურს ვალვერდე პირველივე კვირაში გამოეთიშა მას შემდეგ, რაც ინციდენტი შეემთხვა და ლავიწის ძვალი მოიტეხა. თუმცა, ვუელტამდე ტრავმაც მოიშუშა და ესპანეთშიც გამარჯვებისთვის იბრძოლა, მაგრამ ყაზახ **ალექსანდრ ვინოკუროვთან** წააგო.

ამჯერად მან რადიკალურად შეცვალა ტაქტიკა. ჯერ გაზაფხულის კლასიკურ რბოლებში აპირებს თავის გამოჩენას, რის შემდეგაც, მთელ ყურადღებას ტურისთვის მზადებას დაუთმობს. ოღონდ, ამბობს, რომ მთავარი არაა, თუ რა ადგილი ეკავება რბოლის მიწურულს. მთავარია, ფინიშს მივაღწიოო.

*"ტურზე კარგად გამოსვლა ჩემი მიზანია, არ მინდა, ტვინი დავიმძიმო იმაზე ფიქრით, რომ ამ რბოლის მოგებას ვაპირებ. მთავარია, ფინიშს მივაღწიო. წურავინ იფიქრებს რომ პასუხისმგებლობას გავურბივარ და გულახდილობისა მეშინია. არა! მაგრამ სიფრთხილეს ვამჯობინებ. ვიცი რბოლის მარშრუტი და ვფიქრობ, ის არც ისე ცუდია. ვნახოთ, ყველაფერს პასუხი პარიზში, შონზ ელისეზე გაეცემა"*, - ამბობს ვალვერდე.

## ჩოგბურთი

ტურნირები

| WTA |
|---|
| **Pacific Life Open** |
| ინდიან ველსი (აშშ). 7-18 მარტი. ჰარდი |
| **საპრიზო ფონდი:** 2 100 000 დოლარი |
| **I წრე** |

**ნიკოლ პრატი (ავსტრა)**-ვირხინია რუანო პასკუალი (ესპ) 7:6(4), 2:6, 6:3; **ნატალი დეში (საფ)**-იუნ-იან ჩანი (ტაივ) 7:6(2), 6:1; **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ)**-ალინა ჟიდკოვა (რუს) 4:6, 6:2, 6:4; **მეილენ ტუ (აშშ)**-ტატიანა პუტჩეკი (ბლრ) 6:3, 6:2; **მიხაელა კრაიჩეკი (ჰოლ)**-სოფია არვიდსონი (შვედ) 6:4, 6:3; **კაია კანეპი (ესტ)**-კრისტინა ბრანდი (პ-რიკო) 3:6, 7:5, 6:0; **ჯილ კრეიბასი (აშშ)**-მარია ელენა კამერინი (იტა) 6:1, 7:5; **ლურდეს დომინგეს ლინო (ესპ)**-ევა ბირნეროვა (ჩეხ) 6:0, 6:4; **შენაი პერი (აშშ)**-გალინა ვოსკობოევა (რუს) 6:3, 6:2; **სუნ ტიანტიანი (ჩინ)**-კაროლინა შპრემი (ხორ) 6:4, 7:6(1); მარტინა სუხა (სლოვაკ)-იულიანა ფედაკი (უკრ) 2:6, 6:3, 6:3; **ვიქტორია აზარენკა (ბლრ)**-ემილი ლუა (საფ) 7:5, 6:3; **ალბერტა ბრიანტი (იტა)**-ოლგა სავჩუკი (უკრ) 6:2, 6:4; **ივონ მოისბურგერი (ავსტრია)**-ანა ტატიშვილი (საქ) 1:6, 6:3, 6:3; **მირიანა ლუჩიჩი (ხორ)**-ლინდსი ნელსონი (აშშ) 6:4, 7:6(5); **კაროლინ ვოზნიაჩკი (დან)**-იარმილა გაიდოშოვა (სლოვაკ) 6:3, 6:1.

## სხვადასხვა

მძლეოსნობა

### მერიონ ჯონსმა ბარბადოსელზე იქორწინა

ცნობილმა ამერიკელმა სპრინტერმა, სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა **მერიონ ჯონსმა** სიდნეის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორ **ობადელე ტომპსონზე** იქორწინა. ეს მძლეოსანი საერთაშორისო ტურნირებზე ბარბადოსის სახელით გამოდის.

საქორწინო ცერემონიალი ჩრდილოეთ კაროლინის შტატის პატარა ქალაქში შედგა. როგორც სააგენტო "როიტერი" იტყობინება, ქორწილი მცირე რაოდენობის სტუმრების თანხლებით, შინაურ ატმოსფეროში გაიმართა.

ჩოგბურთი

### ჯონ მაკინროი სეზონის შემცირების მომხრეა

მსოფლიო ჩოგბურთის ლეგენდა **ჯონ მაკინროი** აცხადებს, რომ საჩოგბურთო სეზონი უნდა შემოკლდეს და ის 10 თვე უნდა გრძელდებოდეს. შეგახსენებთ, რომ დღეს არსებული წესებით, ჩოგბურთელები თამაშს ყოველი წლის 1 იანვარს იწყებენ და სეზონს ნოემბრის ბოლოს ასრულებენ, ანუ ისინი ტურნირებზე 11 თვის განმავლობაში თამაშობენ.

კითხვაზე, თუ რას გააკეთებდა მსოფლიო ჩოგბურთის ხელმძღვანელთა ადგილზე, ამერიკელმა ჩოგბურთელმა ასეთი პასუხი გასცა: *"მე იმ იდეის მომხრე ვარ, რომლის მიხედვითაც, სეზონი 8-10 თვეზე დიდხანს არ უნდა გრძელდებოდეს. დიდი სლემის პირველი ტურნირი - ავსტრალიის ღია პირველობა არა იანვრის მეორე ნახევარში, არამედ მარტში უნდა ტარდებოდეს"*.

გარდა ამისა, მაკინრომ განაცხადა, რომ უნდა გაიზარდოს იმ ტურნირების რიცხვი, რომელიც ბალახის კორტებზე იმართება. ეს იმიტომ, რომ ამ საფარზე მატჩები ყველაზე სანახაობრივ ხასიათს ატარებს.

### დემენტიევა ისევ ტრავმირებულია

ამერიკის ქალაქ ინდიან უელსში სტარტი აიღო პირველი კატეგორიის ტურნირმა, რომლის საპრიზო ფონდი 2.1 მილიონ დოლარს შეადგენს. შეჯიბრი უკვე დატოვა ერთმა განთესილმა ჩოგბურთელმა - მეხუთე ნომერმა **ელენა დემენტიევამ**.

თუმცა, რუსი მოთამაშის გამოვარდნის მიზეზი არა წაგება, არამედ ნეკნის ტრავმა გახლავთ. *"ვცდილობ კორტზე გავიდე და ვითამაშო, მაგრამ აუტანელი ტკივილი ამის საშუალებას არ მაძლევს"*, - მოჰყავს დემენტიევას სიტყვები სააგენტო "როიტერს".

ჰოკეი

### პრონგერი მეორედ დაიმტვრა

რეგულარული ჩემპიონატის გადამწყვეტი მატჩების წინ, სერიოზული დანაკლისი განიცადა "ანაჰაიმ დაქსმა". კვირას, "ნეშვილთან" გამართული მატჩის შემდეგ, ერთ-ერთ ვარჯიშზე თითი მოიტეხა გუნდის წამყვანმა მცველმა **კრის პრონგერმა**. ამ დაზიანების გამო, ჰოკეისტი მინიმუმ ორი კვირა ვერ შეძლებს თამაშს.

შეგახსენებთ, რომ ამ სეზონში პრონგერს 10 მატჩი გაუცდა ფეხის მოტეხილობის გამო. მიუხედავად ხშირი ტრავმიანობისა, "ანაჰაიმის" მცველი შედეგიანობის მხრივ, ერთ-ერთი საუკეთესოა ლიგის დამცველებს შორის - მის ანგარიშზე 53 ქულა (11 გოლი+42 შედეგიანი გადაცემა) მოდის.

### კოლამბუსში ტრავმების ეპიდემიაა

"კოლამბუს ბლუ ჯეკეტსი" რეგულარული ჩემპიონატის დარჩენილ ნაწილს ოთხი წამყვანი ჰოკეისტის გარეშე ჩაატარებს. ტრავმების გამო სეზონის დასკვნით ეტაპს გამოტოვებენ მეკარე **პასკალ ლეკლერი**, მცველები **დიუვი უესკოტი, ბრაიან ბერარი** და თავდამსხმელი **დენ ფიტჩი**. ეს ინფორმაცია ჟურნალისტებს კლუბის გენერალურმა მენეჯერმა **დუგ მაკლინმა** აცნობა.

გარდა ამისა, კითხვის ნიშნის ქვეშ დგას ამ სეზონში "კოლამბუსის" კაპიტნის, ვეტერან **ადამ ფუტის** თამაშიც.

### ოლიმპიადაზე ჰოკეის ტურნირის ფორმატი შეიცვალა

ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციის ინფორმაციით, 2010 წლის ოლიმპიურ თამაშებზე სპორტის ამ სახეობაში გამარჯვებული ახალი სისტემით გამოვლინდება. ნაცვლად ექვსგუნდიანი ორი ჯგუფისა, შეიქმნება სამი ჯგუფი თითოში ოთხი ნაკრებით.

თითოეულ ქვეჯგუფში გამარჯვებული გუნდი მეოთხედფინალში მოხვდება. მათ დაემატება საუკეთესო მეორეადგილოსანი. დარჩენილი რვა ნაკრები კი, საკვალიფიკაციო ეტაპზე გამოავლენს კიდევ ოთხ მეოთხედფინალისტს.

ფორმულა 1

### FIA-მ ფერადი საბურავები დაუშვა

ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ (FIA) 2007 წლის სეზონში გუნდებს ფერადი საბურავების გამოყენების ნება დართო.

"ბრიჯსტოუნი" სხვადასხვა შეფერილობის საბურავებს გამოუშვებს და თითოეულ ფერს გარკვეული დატვირთვა ექნება. შესაბამისად, მაყურებლები ფერის მიხედვით მიხვდებიან, თუ რა ტაქტიკა აქვს არჩეული ამა თუ იმ გუნდს.

კალათბურთი

### ბრაიანტი უხეშობისთვის დაისაჯა

"ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ლიდერი **კობი ბრაიანტი** დისკვალიფიკაციის გამო რეგულარული ჩემპიონატის ერთ მატჩს გამოტოვებს. ეს სასჯელი ბრაიანტმა "მინესოტასთან" მატჩის შემდეგ მიიღო. აღნიშნულ შეხვედრაში, კობიმ სახეში ხელი ჩაარტყა **მარკო იარიჩს**. ასე რომ, ბრაიანტი თავის გუნდს "მილუოკისთან" შეხვედრაში ვერ დაეხმარა.

ეს უკვე მეორე შემთხვევაა, როცა კობი უხეშობისთვის დაისაჯა. იანვარში, "სან ანტონიოსთან" შეხვედრისას, მან იდაყვი ჩაარტყა **მანუ ჯინობილის** და მაშინაც ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა.

### ჰანტერი ნარკომანი ყოფილა

როგორც სააგენტო "როიტერი" იტყობინება, "დეტროიტ პისტონზის" ხელმძღვანელობამ 10-მატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა ამ კლუბის მცველი - **ლინდსი ჰანტერი**. ამგვარი მკაცრი სასჯელი იმით არის განპირობებული, რომ ეს კალათბურთელი ნარკოტიკების ხმარებაშია ეჭვმიტანილი.

დისკვალიფიკაცია "დეტროიტი"-"კლივლენდის" მატჩიდან მოყოლებული იქნება ძალაში.

### ინდიანამ ონილი დაკარგა

რეგულარული ჩემპიონატის ბოლო ტურში, "ინდიანასა" და "იუტას" შეხვედრისას ტრავმა მიიღო "პეისერზის" ლიდერმა **ჯერმეინ ო'ნილმა**.

ინდიანელ ცენტრს მეორე მეოთხედში მარცხენა მუხლის ძველმა ტრავმამ შეახსენა თავი და მეორე ტაიმში ის მოედანზე აღარ გამოჩენილა.

ჯერჯერობით ცნობილი არ არის, რამდენი ხანი ვერ შეძლებს თამაშს ო'ნილი.



მაკაბი-ესპანიოლი. უგოლო მატჩი ბევრი ორთაბრძოლით



სელტა-ვერდერი.
უგო ალმეიდას გააქვს გამარჯვების
გოლი ესპანელთა კარში

# უეფას თასი. 1/8 ფინალი. პირველი მატჩები

### ლანსი-ლევერკუზენი 2:1

**ლანსი:** იტანჯი, ა. კულიბალი, ჰილტონი, კარიერი, დემონი, სიდი კეიტა (80. მონე-პაკე), სეიდუ კეიტა, ტიქსიე, კუზენი (71. ჟემაა), დინდანი, მონტერუბიო (72. ა. ბუხარი).

**ლევერკუზენი:** ადლერი, ჰაგი, ჟუანი, ბაბიჩი, ბარბარესი, ბარნეტა (80. კისლინგი), კასტრო, რამელოვი, როფლესი, შნაიდერი (90. ფრაიერი), ვორონინი (70. კალსენ-ბრაკერი).

**გოლები:** 1:0 მონტერუბიო (17), 1:1 ჰაგი (52), 2:1 კუზენი (70-პენ)

**გაძევება:** ჰაგი (69. ლევერკუზენი)

**გაფრთხილება:** 2-3

**მაყურებელი:** 29 200

### მაკაბი-ესპანიოლი 0:0

**მაკაბი:** დავიდოვიჩი, ჰარაზი, კეინანი, მარგალიშვილი, ანდერსონი, ბოკოლი, დირსეუ, რაფაელოვი (86. გაზალი), სოანი, კოლაუტი, კატანი (70. არბაიტმანი).

**ესპანიოლი:** ირაისოლა, ჩიკა, ხარკე, ლაკრუსი, მოისესი, ტორეხონი, დე ლა პენია (63. კოსტა), მოა (74. რიერა), ლუის გარსია (85. კორომინასი), პანდიანი, რუფეტე.

**გაფრთხილება:** 1-2

**მაყურებელი:** 14 700

### ნიუკასლი-ალკმაარი 4:2

**ნიუკასლი:** გივენი, ბრემბლი, კარი, ტეილორი, ბატი, დაფი (77. ემრე), დაიერი, პარკერი, სოლანო, მარტინსი, სიბირსკი (65. მილნერი).

**ალკმაარი:** ვატერმანი, დე კლერი, იალენსი, ოპდამი, სტეინსონი, დე ზეეუვი, იენერი (65. ლენსი), მარტენსი (59. დემბელე), ნ. ბუხარი (83. ლუირინკი), **არველაძე**, კუვერმანსი.

**გოლები:** 1:0 სტეინსონი (8-საკ. კარში), 2:0 დაიერი (22), 3:0 მარტინსი (23), 3:1 **არველაძე** (31), 4:1 მარტინსი (37), 4:2 კუვერმანსი (73)

*73-ე წუთზე დემბელემ ვერ გაიტანა პენალტი*

**გაფრთხილება:** 0-1

**მაყურებელი:** 28 452

### სევილია-შახტარი 2:2

**სევილია:** პალოპი, ნავარო, ალვეში, ესკუდე, ალფარო (46. კორეია), დუდა, მარტი (57. ლუიშ ფაბიანო), პოულსენი, პეურტა, კერჟაკოვი, ნავასი (67. მარესკა).

**შახტარი:** შუსტი, ჩიგრინსკი, ჰუბშმანი, შევჩუკი, დულიაი, ელანო (68. ჟადსონი), ფერნანდინიო, მათუსალემი, სრნა, ბრანდაუ, ბელიკი (75. გაი).

**გოლები:** 1:0 მარტი (8-პენ), 1:1 ჰუბშმანი (19), 1:2 მათუსალემი (60-პენ), 2:2 მარესკა (88-პენ)

**გაფრთხილება:** 3-4

**მაყურებელი:** 20 000

### სელტა-ვერდერი 0:1

**სელტა:** ესტებანი, ლეკი, პლასენტე, ტამასი, იაგო, გუსტავო ლოპესი, კანობიო, ანდერსონ კარვალიო (46. ბაიანო), პაბლო გარსია, ჯონათანი, ნუნიესი (74. დე რიდერი).

**ვერდერი:** ვიზე, მერტეზაკერი, ნალდო, ვომე, ფრიტცი, იენსენი, ვრანიესი, ფრინგსი, დიეგო (65. შულცი), ჰანტი, კლოზე (65. უგო ალმეიდა).

**გოლი:** 0:1 უგო ალმეიდა (84)

**გაფრთხილება:** 2-1

**მაყურებელი:** 6 360

### პსჟ-ბენფიკა 2:1

**პსჟ:** ლანდრო, არმანი (79. დრამი), მენდი, როზენალი, შანტომი, სისე, როტენი (61. გალიარდო/73. ლუინდულა), სახო, ფრო, კალუ, პაულეტა.

**ბენფიკა:** კუიმი, კლებერი, ლეო, ლუიზაო (33. დავიდ ლუიში), ნელსონი, კოიმბრა (72. ბეტუ), კარაგუნისი, პეტი, სიმაო, დერლეი (68. ნუნუ გომეში), მიკოლი.

**გოლები:** 0:1 სიმაო (9), 1:1 პაულეტა (36), 2:1 ფრო (41)

**გაფრთხილება:** 2-2

**მაყურებელი:** 25 000

### რეინჯერსი-ოსასუნა 1:1

**რეინჯერსი:** კლოსი, ეჰიოგუ, ჰატონი, უეირი, ადამი (46. ნოვო), ბერკი, ფერგიუსონი, ემდანი, მიურეი, ტომპსონი (66. პრშო), ბოიდი (87. სებო).

**ოსასუნა:** რიკარდო, კუელიარი, ფლანო, ისკიერდო, მონრეალი, რაულ გარსია, ხუანლუ (77. ხუანფრანი), დავიდ ლოპესი, ნექუნამი, მუნიოსი, ვებო (82. რომეო).

**გოლები:** 0:1 რაულ გარსია (17), 1:1 ემდანი (90)

**გაფრთხილება:** 2-3

**მაყურებელი:** 50 290

**ბრაგა-ტოტენჰემი 2:3**




რეინჯერსი-ოსასუნა. ემდანმა და რაულ გარსიამ გოლებიც გაიტანეს და იჩხუბეს კიდეც

# TV სპორტი

## 9 მარტი. პარასკევი

### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

**13:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**13:15** უიქენდის მატჩების ანონსი.
**13:20** უეფას თასი. 1/8 ფინალი. პირველი მატჩი.
**15:00** ჩემპიონთა ლიგა. 1/4 და 1/2 ფინალის წილისყრა (LIVE).
**15:30** უეფას თასი. 1/8 ფინალი. პირველი მატჩი.
**17:10** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**17:25** ტოქ-შოუ - 2:1.
**18:10** საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**19:10** არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**20:10** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**20:30** საფეხბურთო კლუბი.
**21:15** FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.
**21:45** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალის მიმოხილვა.
**23:15** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**23:30** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ნიურნბერგი-აინტრახტი (LIVE).
**01:20** არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**02:20** საფეხბურთო კლუბი.

### SPORT 1 (უკრაინა)

**08:00** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-სელტა.
**09:50** ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
**10:20** მძლეოსნობა.
**10:55** ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ტურნირი. ამერიკა (მექსიკა)-ბანფილდი (არგენტინა).
**12:40** ექსტრემალური სპორტი.
**13:10** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. რომა-ლიონი.
**15:00** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 და 1/2 ფინალის წილისყრა (LIVE).
**15:35** ფიტნესი.
**16:05** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**17:05** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/8 ფინალი. პირველი მატჩი. პსჟ-ბენფიკა.
**18:50** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**19:20** მძლეოსნობა.
**19:45** ცურვა. მსოფლიო ჩემპიონატის წინ.
**20:00** ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**20:30** სპორტინფორმი.
**20:40** ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. ოტავა-ტორონტო.
**22:22** ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
**22:45** სპორტინფორმი.
**23:00** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**23:24** სპორტკლუბი.
**23:30** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ნიურნბერგი-აინტრახტი (LIVE).
**01:25** სპორტინფორმი.
**01:40** კრივი. რინგ-საიდი.
**02:40** ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ტურნირი. ამერიკა (მექსიკა)-ბანფილდი (არგენტინა).
**04:25** სპორტკლუბი.
**04:30** ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. დეტროიტი-ლოს ანჯელესი (LIVE).
**07:05** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალის მიმოხილვა.

### EUROSPORT

**11:30** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/8 ფინალი. პირველი მატჩები.
**12:00** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩები.
**13:00** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. კომბინაცია - სწრაფდაშვება. კვიტფიელი. ნორვეგია (LIVE).
**14:15** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/8 ფინალი. პირველი მატჩები.
**15:00** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 და 1/2 ფინალის წილისყრა (LIVE).
**15:30** სათხილამურო ორჭიდი.. მსოფლიო თასი. ტრამპლინი HS130. ლაჰტი. ფინეთი (LIVE).
**16:45** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. კომბინაცია - სლალომი. კვიტფიელი. ნორვეგია (LIVE).
**17:15** მოტოსპორტი. კატარის გრან-პრი. კვალიფიკაცია. დოჰა.
**18:00** სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო თასი. 15 კმ. ლაჰტი. ფინეთი (LIVE).
**18:45** საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
**19:00** ფეხბურთი. ალგარვის თასი. ჯგუფური ეტაპი. შვედეთი-ჩინეთი. პორტუგალია (LIVE).
**21:00** ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS130. კვალიფიკაცია. ლაჰტი. ფინეთი (LIVE).
**22:00** ფეხბურთი. ალგარვის თასი. ჯგუფური ეტაპი. საფრანგეთი-გერმანია. პორტუგალია (LIVE).
**00:00** მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. მსოფლიო თასი. გერმანია.
**01:00** პოკერი. ევროპის ტური. ლონდონი. ინგლისი.
**02:00** საფეხბურთო პროგრამა - TOP 24.
**02:30** ექსტრემალური სპორტი.
**03:00** ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS130. კვალიფიკაცია. ლაჰტი. ფინეთი.
**04:00** საფეხბურთო პროგრამა - TOP 24.

### EUROSPORT-2

**10:30** ახალი ამბები.
**13:00** არენა ფეხბურთი. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ იორკი-დალასი.
**14:00** ექსტრემალური სპორტი.
**15:00** ახალი ამბები.
**17:00** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/8 ფინალი. პირველი მატჩები.
**18:00** ფეხბურთი. ალგარვის თასი. ჯგუფური ეტაპი. შვედეთი-ფინეთი. პორტუგალია.
**19:00** ფრისტაილი. მსოფლიო ჩემპიონატი. მოგული. კვალიფიკაცია. მადონა დი კამპილიო. იტალია (LIVE).
**20:45** ახალი ამბები.
**21:00** მულტისპორტი.
**21:30** ფრისტაილი. მსოფლიო ჩემპიონატი. მოგული. ფინალი. მადონა დი კამპილიო. იტალია (LIVE).
**22:30** ახალი ამბები.
**23:00** კალათბურთი. ევროლიგა. მიმოხილვა.
**23:30** ფრისტაილი. მსოფლიო ჩემპიონატი. მოგული. ფინალი. მადონა დი კამპილიო. იტალია.
**00:00** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/8 ფინალი. პირველი მატჩები.
**01:00** ფეხბურთი. ალგარვის თასი. ჯგუფური ეტაპი. შვედეთი-ფინეთი. პორტუგალია.
**02:00** ახალი ამბები.
**02:15** კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა.
**02:45** კალათბურთი. ევროლიგა. მიმოხილვა.
**03:15** ახალი ამბები.
**03:30** ექსტრემალური სპორტი.
**04:30** ახალი ამბები.

# ცხელი ხაზი

## ფეხბურთი

| როიალლიგა | |
|---|---|
| კოპენჰაგენი-ჰელსინგბორგი | 3:1 |
| ბრონდბიუ-ოდენსე | 1:1, დ.დ. 2:1 |

| ფინეთის ლიგის თასი | |
|---|---|
| ტამპერე-ოულუ | 3:0 |

## კალათბურთი

| ევროლიგა | |
|---|---|
| პროკომი-ბარსელონა | 59:77 |
| დინამო-არისი | 71:69 |
| ეფესი-პანათინაიკოსი | 65:79 |
| ბენეტონი-უნიკახა | 76:79 |

## ჰოკეი

| რუსეთი | |
|---|---|
| ამური-აკ ბარსი | 3:1 |
| სევერსტალი-მვდ | 4:3 |
| მეტალურგი (ნ)-ავანგარდი | 4:4 |
| დინამო-სიბირი | 5:3 |
| ლადა-ცსკა | 1:1 |
| ლოკომოტივი-ნეფტეხიმიკი | 4:4 |
| სკა-ს. იულაევი | 0:2 |
| ტრაქტორი-მეტალურგი (მ) | 1:0 |
| ვიტიაზი-ხიმიკი | 5:1 |

| სლოვაკეთი | |
|---|---|
| ნიტრა-ზვოლენი | 2:3 |

| ჩეხეთი | |
|---|---|
| ქლინი-სპარტა | 5:2 |
| სლავია-ბუდეიოვიცე | 4:3 |

| შვეიცარია | |
|---|---|
| კლოტენი-ლუგანო | 3:1 |
| ციურიხი-დავოსი | 1:3 |
| რაპერსვილი-ცუგი | 1:5 |

| შვედეთი | |
|---|---|
| ფერიესტადი-მორა | 5:3 |
| ჰვ71-ბრინასი | 3:3 |
| მოდო-ტიმრა | 3:2 |
| ლინჩოპინგი-ლულეა | 2:2 |

## ჩოგბურთი

| WTA. ინდიან უელსი | |
|---|---|
| ლაინე-როდიონოვა | 1:6, 4:6 |
| პირონკოვა-ფორეტცი | 7:6, 7:6 |
| მატეკი-შულცი | 6:1, 6:1 |
| ვოზნიაკი-დულკო | 4:6, 3:6 |
| ბარდინა-ჰარკლროუდი | 6:0, 6:0 |
| იაკიმოვა-როული | 4:6, 6:2, 0:6 |
| რაზანო-იუანი | 7:5, 1:6, 1:6 |
| ბენესოვა-ბიჩკოვა | 6:4, 3:6, 7:6 |

# ქართული ძიუდო 50 წლისაა!

## გამოვაცხადოთ 2007 წელი ძიუდოს წლად!

პაატა ნაცვლიშვილი



წელს ქართულ ძიუდოს 50 წელი უსრულდება.

საიდან იწყება სპორტის ამა თუ იმ სახეობის ისტორია ამა თუ იმ ქვეყანაში?

ზოგი თვლის, რომ ათვლის წერტილად ქვეყანაში შესაბამისი ფედერაციის ჩამოყალიბება უნდა მივიჩნიოთ, რაც, რა თქმა უნდა, არ არის სწორი. ფედერაციის შექმნა, როგორც წესი, უკვე დამკვიდრებული სახეობის გარკვეული პოპულარობის დასტური თუ შედეგია და არა მისი საფუძველი. ეს განსაკუთრებით შეეხება ძიუდოს და განსაკუთრებით საბჭოთა კავშირში (შესაბამისად – საქართველოში). ცალკე ფედერაციად ძიუდოს ფედერაცია საბჭოთა კავშირშიც და საქართველოშიც მხოლოდ 1972 წელს ჩამოყალიბდა, მანამდე იგი სამბოს ფედერაციასთან ერთად არსებობდა.

მაშ როდიდან იწყება ძიუდოს ისტორია საქართველოში?

როდიდან და იმ დღიდან, როცა პირველმა ქართველმა სპორტსმენმა, საქართველოს პირველმა წარმომადგენელმა ძიუდოგი ჩაიცვა და სპორტის მისთვის უცხო სახეობაში პირველად სცადა ძალა.

ეს კი 1957 წელს მოხდა და „პირველი ქართველი" ოთხი ქართველი მოჭიდავე იყო:

**შალვა დაუშვილი,**
**ბიძინა მაზიაშვილი,**
**გურამ სიმონიშვილი,**
ოთარ შინჯიკაშვილი.

13 წლის შემდეგ ერთი ამათგანი – ბიძინა მაზიაშვილი საბჭოთა ძიუდოისტების ნაკრების მწვრთნელი გახდება მთელი 11 წლით და დიდ წვლილსაც შეიტანს ძიუდოს საბჭოთა სკოლის ჩამოყალიბებაში. ის კი არა, 1990 წელს მას იაპონიაში მიიწვევენ სენსეიდ ქართულ ჭიდაობაში გაკვეთილების ჩასატარებლად. გარდა ამისა, ბიძინა მაზიაშვილი 21 წლის განმავლობაში (1964-1982 და 1993-1995 წლებში) სათავეში ედგა საქართველოს ძიუდოკათა ნაკრებს, რაც, თუ არ ვცდები, მსოფლიო რეკორდია და არა მხოლოდ ძიუდოში, არამედ საერთოდ.

მაშინ კი, 1957-ში, 29 წლის ბიძინა მაზიაშვილიც და სამი დანარჩენიც, სამბისტები იყვნენ. მათ ზუსტად ნახევარი შეადგინეს საბჭოთა კავშირის სამბისტთა ნაკრებისა, რომელიც ოთხჯერ შეხვდა უნგრელ სამბისტებს - ორჯერ ნოემბერში და ორჯერ დეკემბერში.

ამ ამხანაგურ შეხვედრებს დიდი პოლიტიკური დატვირთვა ჰქონდა: მსოფლიო ჯერ კიდევ არ გამოსულიყო 1956 წლის შემოდგომაზე უნგრეთში მომხდარი სისხლიანი ამბების შოკიდან, რასაც სპორტშიც სერიოზული გამოძახილი მოჰყვა. უნგრეთის მოვლენები დროში მულბურნის ოლიმპიურ თამაშებს დაემთხვა და არა ერთი და ორი უნგრელი ოლიმპიელი თამაშების შემდეგ სამშობლოში აღარ დაბრუნდა, დასავლეთის ქვეყნებმა კი საერთაშორისო სპორტული მოძრაობიდან უნგრეთის - მსოფლიოს ამ ერთ-ეთი ყველაზე ძლიერი სპორტული ქვეყნის - ჩამოშორება მოინდომეს, თითქოს უნგრეთის ბრალი იყო, რომ აჯანყება საბჭოთა ტანკებმა სისხლში ჩაახშეს.

1957 წლის 15 აგვისტოს გაზეთი „ლელო" წერდა იმის შესახებ, რომ აშშ სახელმწიფო დეპარტამენტმა კოლორადოსპრინგსში გამართულ ფიგურისტთა მსოფლიო პირველობაზე არ დაუშვა ევროპისა და უნგრეთის მრავალგზის ჩემპიონები, და-ძმა მარიანა და ლასლო ნადები; რომ პოლიტიკური მოტივით ჩაიშალა უნგრეთ-შვეიცარიისა და ავსტრია-უნგრეთის საფეხბურთო მატჩები; რომ სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონს ლასლო პაპს არ მისცეს იტალიის ვიზა, რის გამოც მან ვერ ჩაატარა კარგა ხნით ადრე დაგეგმილი თავისი პირველი ორთაბრძოლა პროფესიონალურ რინგზე იტალიელ კარლო მოლასთან...

ამ ფონზე საბჭოთა კავშირი მთელი წლის განმავლობაში ყოველნაირად ცდილობდა კონტაქტების გაფართოებას უნგრელ სპორტსმენებთან, რა მიზნითაც ამ ორი ქვეყნის წარმომადგენელთა არაერთი ამხანაგური შეხვედრა გაიმართა სპორტის სხვადასხვა სახეობაში. ამ პროგრამის შემადგენელი ნაწილი იყო საბჭოთა „დინამოსა" და უნგრეთის „დოჟას" სამბისტთა შეხვედრები ჯერ მოსკოვში და შემდეგ ბუდაპეშტში. სამბო საბჭოთა კავშირშიც ახალი ხილი იყო, მით უმეტეს - უნგრეთში და უნგრელებსაც სამბისტები პირობითად ერქვათ, ისინი უფრო ძიუდოისტები იყვნენ. ამის გამო მოსკოვური შეხვედრების წინ მხარეებს იმაზეც კი უკამათიათ, სამბოს წესებით ეჭიდავათ თუ ძიუდოს წესებით. რაკი საბჭოთა კავშირში ძიუდოზე ჯერ არაფერი სმენოდათ, მასპინძლებმა თავისი გაიტანეს და უნგრელ ძიუდოისტებს სამბო აჭიდავეს, სანაცვლოდ კი უახლოეს მომავალში ბუდაპეშტში ჩასვლა და ძიუდოს წესებით ჭიდაობა აღუთქვეს - უნგრელ სპორტსმენთა წყენინება არაფრით შეიძლებოდა.

ეს იყო პირველი საერთაშორისო შეხვედრა სამბოში და იგი საბჭოთა სპორტსმენთა გამარჯვებით დასრულდა ანგარიშით 8:0. საბჭოთა გუნდის სახელით გამოდიოდნენ: **ვ. ფრაერი, ს. ივანოვი, გ. სიმონიშვილი, ა. ბოგოლიუბოვი, ი. ზაიცევი, ი. ფედოტოვი, შ. დაუშვილი** და **ო. შინჯიკაშვილი.** უნგრეთის გუნდის ღირსებას იცავდნენ: **ჟ. ფერენცი, ი. როტა, დ. რაიმონი, ფ. დებნარი, ლ. ზოტკო, შ. გეცკო, დ. ვინცე** და **ი. მრენა.**

მეორე დღეს გუნდები კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს და საბჭოთა მოჭიდავეებმა იმავე ანგარიშით გაიმარჯვეს.

ერთი თვის შემდეგ კი საბჭოთა გუნდი ბუდაპეშტს ეწვია საპასუხო ვიზიტით. ნაკრებს ორი მოჭიდავე – ბ. მაზიაშვილი და **ვ. ხეისინი** დაემატა.

აი, რას წერდა გაზეთი „ლელო" 24 დეკემბერს:

„როცა მიმდინარე წლის ნოემბერს მოსკოვში უნგრელმა „ძიუდოისტებმა" ორი ამხანაგური შუხვედრა ჩაატარეს სამბოში საბჭოთა ფალავნებთან და და ორივე მაქსიმალური ანგარიშით წააგეს, სტუმართა დელეგაციის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ „ძიუ-დო", მიუხედავად სამბოსთან მსგავსებისა, მაინც საგრძნობლად განსხვავებული ხასიათის ჭიდაობაა.

ამ დღეებში დოჟას სახელობის სპორტული კლუბის მოჭიდავეებს საპასუხო მეგობრული ვიზიტით ესტუმრნენ „დინამოს" ნაკრები გუნდის სამბისტები. და თუ მოსკოვში „მეტოქე" მხარეთა ურთიერთშეთანხმებით „ძიუ-დოსა" და სამბოს წესებს შორის კომპრომისი ამ უკანასკნელის სასარგებლოდ გადაწყდა, ამჯერად მასპინძლებს საშუალება ეძლეოდათ მოქმედებაში მოეყვანათ „ძიუ-დოს" მთელი არსენალი".

ჩემი ცოდნით, ეს იყო „ძიუდოსა" და „ძიუდოისტების" პირველი ხსენება ქართულ პრესაში.

ისევე, როგორც მოსკოვში სამბოს წესებით, საბჭოთა მოჭიდავეებმა ბუდაპეშტში ძიუდოს წესებით გამართული ორივე შეხვედრა მშრალი ანგარიშით მოიგეს. პირველ დღეს ორი წმინდა გამარჯვება მოიპოვეს ბიძინა მაზიაშვილმა და შალვა დაუშვილმა, მეორე დღეს კი მტკივნეული ილეთებით გაიმარჯვეს არონ ბოგოლიუბოვმა და ოთარ შინჯიკაშვილმა.

ეს იყო ქართველ მოჭიდავეთა პირველი ცდა ძიუდოში - მათთვის მაშინ ჯერ კიდევ უცნობ სახეობაში.

ქართულმა ძიუდომ პირველი ნაბიჯები ბუდაპეშტში გადადგა.

სწორედ აქედან უნდა დავიწყოთ საქართველოში სპორტის ამ იაპონური სახეობის ისტორია, რომელიც იმდენად სასახელოა და იმდენი ბრწყინვალე გამარჯვებით დახუნძლული, რომ დღეს აღარავის უკვირს დაპარაკი ქართულ ძიუდოზე. შეიძლება ითქვას, რომ იაპონური ჭიდაობა დღეს საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სპორტია და ლამის ეროვნულ სახეობადაც იქცა.

ოთხი ოლიმპიური ჩემპიონი: **შოთა ჩოჩიშვილი, შოთა ხაბარელი, დავით ხახალეიშვილი** და **ზურაბ ზვიადაური.**

სამი მსოფლიო ჩემპიონი: თემურ ხუბულური, კობა კურტანიძე და ამირან ტოტიკაშვილი; ამათგან ერთი - თემურ ხუბულური - ორგზის.

ევროპის 19 ჩემპიონი, ამათგან ერთი - ოთხგზის, ერთი - სამგზის და რვა - ორგზის. ესენიც ჩამოვთვალოთ? რატომაც არა!

ევროპის ოთხგზის ჩემპიონი **ანზორ კიკნაძე;**

ევროპის სამგზის ჩემპიონი დავით ხახალეიშვილი;

ევროპის ორგზის ჩემპიონები: **ანზორ ქიბროწაშვილი, გივი ონაშვილი, თამაზ ნამგალაური, თემურ ხუბულური, კობა კურტანიძე, ამირან ტოტიკაშვილი, გიორგი ვაზაგაშვილი** და **ნესტორ ხერგიანი.**

ევროპის ჩემპიონები: **ფარნაოზ ჩიკვილაძე, ანზორ მარტყოფლიშვილი, როინ მაღალთაძე, ჯიბილო ნიჟარაძე, შოთა ჩოჩიშვილი, დავით ბოდაველი, ვლადიმერ დგებუაძე, გიორგი რევაზიშვილი** და **ზაზა კედელაშვილი.**

ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებს ხომ თვლა არა აქვს!

ქართველ მამლუქთა მიერ სხვა ქვეყნების სახელით მოპოვებულ ოქრო-ვერცხლზეც არაფერს ვიტყვი.

ის კი აუცილებლად უნდა ითქვას, რომ დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველი მედალი სწორედ ძიუდოკამ მოიპოვა - 1996 წელს **სოსო ლიპარტელიანი** ოლიმპიურ ბრინჯაოს დაეუფლა ატლანტაში.

ოლიმპიური ბრინჯაოს ხანიდან საქართველო ისევ ძიუდოკამ - **ნესტორ ხერგიანმა** გამოიყვანა, როცა 2004 წელს ათენში ვერცხლის მედალი მოიპოვა.

ხოლო პირველი ოლიმპიური ოქრო დამოუკიდებელ საქართველოს ზურაბ ზვიადაურმა ჩამოუტანა იმავე ათენიდან.

ქართველ ძიუდოკათა გუნდი 2002 და 2003 წლებში ორჯერ გახდა ევროპის ჩეპიონი გუნდურ ასპარეზობაში, 2006 წელს კი მსოფლიოს გუნდური პირველობა მოიგო.

ასეთი წარმატებებით იაპონიის გარდა 3-4 ქვეყანა თუ დაიკვეხნის. ამათგან ერთი - დღეს უკვე არარსებული საბჭოთა კავშირი - ისევ ქართველების წყალობით.

ქართველთაგან ოლიმპიურ თამაშებზე, მსოფლიოსა და ევროპის პირველობებში მოპოვებული წარმატებებით ძიუდოკებს მხოლოდ მოჭიდავეები უსწრებენ. თუმცა თუ გავითვალისწინებთ ძიუდოს შედარებით მოკლე ისტორიას, შეიძლება ითქვას, რომ ძიუდო ყველაზე უხვმედლიანი სახეობაა ქართველთათვის.

თუმცა ეს „მოკლე ისტორია" უკვე ნახევარ საუკუნეს ითვლის.

ეს ამბავი დიახაც საგანგებო აღნიშვნის ღირსია.

და მე მივმართავ საქართველოს სპორტულ საზოგადოებრიობას, საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს, საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს, საქართველოს ძიუდოს ფედერაციას, საქართველოს სპორტის აკადემიას, ვეტერან თუ მოქმედ ქართველ ძიუდოკებს, ძიუდოს მწვრთნელებს, ქართულ სპორტულ პრესას, რადიოსა და ტელევიზიას:

გამოვაცხადოთ 2007 წელი - ქართული ძიუდოს ნახევარსაუკუნოვანი იუბილის წელი - ძიუდოს წლად!

და ეს წელიწადი დეკემბრის ბოლოს დიდი იუბილით დავაგვირგვინოთ, სადაც გავიხსენებთ ქართული ძიუდოს პიონერებს, ტრიუმფს მოვუწყობთ და ღირსეულ პატივს მივაგებთ ქართული ძიუდოს სახელოვან წარმომადგენლებს - სპორტსმენებსა თუ მწვრთნელებს. თუ დღეს საქართველო მსოფლიოს სპორტულ რუკაზე უფრო დიდ ქვეყანად ჩანს, ვიდრე ფიზიკურ თუ პოლიტიკურ რუკებზე, ეს მათი დამსახურებაც არის!

დავპატიჟოთ იმ უნიკალურ იუბილეზე ძიუდოს საერთაშორისო და ევროპის ფედერაციების ხელმძღვანელები, სახელოვანი ჩემპიონები და მწვრთნელები, იაპონელები და ფრანგები, ბრიტანელები და ჰოლანდიელები, კორეელები და რუსები, გერმანელები და იტალიელები, პოლონელები და კუბელები, სხვები და სხვები.

ქართული ძიუდოს, ქართული სპორტის კიდევ ერთხელ საქვეყნოდ გაბრწყინების ასეთი შესაძლებლობის ხელიდან გაშვება არ შეიძლება!

მე იმედი მაქვს, მეტიც - დარწმუნებული ვარ, ქართველ ძიუდოკებს იმ საიუბილეო სალამოსთვის პეკინის ოლიმპიადის სალიცენზიო საქმეები მოგვარებული ექნებათ.

რაც შეეხება პეკინის ოლიმპიადას, საფუძვლიანი იმედი მაქვს, რომ ჩვენი ძიუდო არც იქ შეირცხვენს თავს.


ლელო
სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, ზერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაჟელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ებანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი
გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14, 0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა, 0159 თბილისი (დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge; gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა